ISSN 0130—1624

დრო

თეზერვალი
№ 2 1987

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს კომპარტიის XXXIII ყრილობის დელეგატი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

- კავკასიის არმიის სამი წლისთავი. ტრიბუნაზეა სერგო ქავთარაძე.
- გაზეთ „წითელი მებრძოლის“ რედაქტორი, მწერალი დ. ფურმანოვი თბილისში.
- წითელი არმიის აღლუმი.
- კავკასიის არმიის სამი წლისთავი. სიტყვით გამოდის მამია ორახელაშვილი.
- საზეიმო სვლის მონაწილეებს წინ მიუძღვის შალვა ელიავა.

18461

დოკუმენტური
კინო-კადრები.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№2 (602), თებერვალი, 1987

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ნომერში:

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის საბოლოო სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1987 წლის 28 იანვარს.

შვილები... ანუ ფიქრები ოჯახურ აღზრდაზე.

ა. გოლოვანოვი. მოგონებები.

ილია შტემლერი. მატარებელი.

გული ლორთქიფანიძე. რემბრანდტი — „იუნონა“.

თეა ჯალაღანია. ტიციანი — „აბჯარასხმული მამაკაცის პორტრეტი“.

ლევან დოლიძე. მისი საბრძოლო გზა.

ილია.

გალაქტიონ პაიჭაძე. ირაკლი არსენიძე, იცნობდეთ!

ელგუჯა მერაბიშვილი. ჯარისკაცის დედა.

ალექსანდრე ფოცხიშვილი. ორი უცხოელი მეცნიერის ქართული მიმოწერა.

სიახლეთა პანორამა.

კროსვორდი.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1987 წ.

მთავარი რედაქტორი

ოთარ ქინქლაძე

●

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა გახტაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ ბერიშვილი, ვასილ გვეტაძე, ნათელა გიორგობიანი, თენგიზ გოგოლაძე, ოთარ დემეტრაშვილი, სერგო დურმიშიძე, ვახტანგ ესვანჯია, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო ხულაბერიძე, ილია ტაბაღუა, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის

მ. ს. გორბაჩოვის საბოლოო სიტყვა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1987 წლის 28 იანვარს

ამხანაგებო! ჩვენი პლენუმი ამთავრებს მუშაობას, დღის წესრიგის მთავარი საკითხის განხილვას. ატმოსფერო, რომელშიც პლენუმის მუშაობა მიმდინარეობდა, გამართული დისკუსია საშუალებას გვაძლევენ, აღვნიშნოთ, რომ აქ აზრთა ერთიანობა სუფევდა ყველა საკითხზე, რომლებიც გამოტანილი იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის განსახილველად და გადასაწყვეტად. ეს ერთიანობა ფორმალური როდია, ეს არის ერთიანობა, რომელიც ემყარება აპრილის პლენუმისა და სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული სტრატეგიული კურსის წარმატებით განხორციელებისათვის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებლობის გაგებას.

ახლა, როცა დავამთავრეთ კამათი და გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ, ბუნებრივია, დავსვათ კითხვა — გაამართლა თუ არა ჩვენმა პლენუმმა კომუნისტების, საბჭოთა ადამიანების მოლოდინი? რა პასუხი გავცეთ ამ კითხვას? უმკაცრესი საზომითაც კი დღევანდელი პლენუმი დიდი პოლიტიკური მოვლენაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცხოვრებაშიც და საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაშიც.

ვფიქრობ, საფუძველი გვაქვს, ვთქვათ, რომ პლენუმი საგრძნობლად აწინაურებს პარტიას, ქვეყანას, მთელ საზოგადოებას გარდაქმნის გზით. მაგრამ სრულად პლენუმის მნიშვნელობა შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ ერთი უცილობელი პირობით: ყველაფერს, რის შესახებაც აქ მოვილაპარაკეთ, თანამიმდევრულად შეასხამენ ხორცს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო, რაიონული, საოკრუგო კომიტეტები, ქვეყნის ყველა პარტიული ორგანიზაცია.

ამიტომ ასე ვიტყოდი: პლენუმი გაამართლებს მოლოდინს, თუ ასე ვიმოქმედებთ პლენუმის შემდეგ. ეს პლენუმი მკვიდრ წანამძღვრებს უქმნის იმას, რომ კვლავაც გულდაჯერებით ვიაროთ დაჩქარების, გარდაქმნის, ისეთი საკადრო პოლიტიკის სრულყოფის გზით, რომელიც შეესაბამება ისტორიული განვითარების დღევანდელი ეტაპის ამოცანას.

ფართო დისკუსიამ, რომელშიც 77 ჩაწერილიდან 34 ამხანაგი მონაწილეობდა, მოგვცა უნიკალური შესაძლებლობა პარტიისა და სახელმწიფოს მუშაობის სხვადასხვა დონიდან და სხვადასხვა მიმართულებიდან კიდევ ერთხელ შეგვეხედა გარდაქმნისათვის, გაგვეზრებინა მისი მიზანდასახულობა, კიდევ ერთხელ შეგვეფასებინა თვით გარდაქმნის პროცესი, მიგვეღო შეფასება უშუალოდ ადამიანებისაგან.

ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია — ვფიქრობ, უფლება გვაქვს ვილაპარაკოთ ამაზე, — უწინარეს ყოვლისა, პლენუმის მიერ იმ ფაქტის პოლიტიკური კონსტატაცია, რომ პარტია, საზოგადოების მთელი ჯანსაღი ძალები მხარს უჭერენ გარდაქმნას. რადგან ეს ასეა, მაშინ სხვა გზა არც შეიძლება იყოს. და ამით უნდა მოვრჩეთ დისკუსიას, საჭიროა თუ არა გარდაქმნა. მთლიანად ვეთანხმები ამხანაგ დ. კ. მოტორნის, რომელმაც აქ თქვა, რომ გარდაქმნა უკვე უბრალოდ იდეა კი აღარ არის, არამედ რეალობაა.

საბჭოთა ადამიანები გარდაქმნას უკავშირებენ თავიანთ საარსებო გეგმებს, ქვეყნის ბედ-იღბალს, მის საერთაშორისო ავტორიტეტსა და გავლენას. მაშ განა შეგვიძლია დავუშვათ რაიმე ყოყმანი მის განხორციელებაში? არა, ამხანაგებო!

დიახ, გარდაქმნა უკვე რეალობაა, ახლა უფრო ნათლად და ღრმად გვესმის, რომ ქვეყნის საშინაო განვითარების თვალსაზრისითაც და საგარეო პირობების, საერთაშორისო ვითარების თვალსაზრისითაც ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება. მაგრამ დაჩქარება ვერ იქნება საზოგადოების განახლების გარეშე, ისევე როგორც საზოგადოების განახლების გარეშე ვერ იქნება მისი ცხოვრების ყველა სფეროს გარდაქმნა. ძველი მიდგომებით ვერ გადავწყვეტთ ახალ ამოცანებს, მითუმეტეს ისტორიული მასშტაბის ამოცანებს, რომლებიც დღეს დაგვიდგა.

გარდაქმნა გატკეპნილი გზით გასეირნება როდი გახლავთ. ეს არის ალმართში სვლა, ხშირად უვალი ბილიკებით. ჩვენს საზოგადოებაში, როგორც კიდევ ერთხელ ცხადყო ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, ბევრი პრობლემა დაგროვდა, საჭირო გახდება უდიდესი შემოქმედებითი ძალისხმევა და ხანგრძლივი თავდადებული ბრძოლა, რათა ბოლომდე მივიყვანოთ გარდაქმნის დიადი საქმე, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი ხალხი, როგორც ამას მოითხოვს დრო, რომელშიც ვცხოვრობთ.

ჩვენ ჯერ გზის დასაწყისში ვართ. ეს ზუსტად უნდა განვსაზღვროთ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, ვინაიდან იმის გაგება, თუ სად ვიმყოფებით გვაძლევს იმის გაგებასაც, თუ რა უნდა გავაკეთოთ და როგორ ვიმოქმედოთ. თუ ვინმემ გადაწყვიტა, უკვე გარდავიქმენიო, მას უნდა შევახსენოთ, რომ გარდაქმნას ჯერ ეს-ეს არის შეეუდექით. და უმთავრესი წინ გველის. ესეც პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დიდმნიშვნელოვანი დასკვნაა.

როცა ვაწარმოებთ, სულ უფრო ფართოდ ვშლით გარდაქმნას, უნდა ვერიდოთ უკიდურეს შეფასებებს. მტკიცედ უნდა ვიდგეთ ერთადერთ მყარ საფუძველზე — რეალობის ნიადაგზე. ჩვენი მიღწევების გადაჭარბებით შეფასებას დამღუპველი შედეგები ექნებოდა, მაგრამ, მეორე მხრივ, ასევითვე ძალით მინდა ხაზი გავუსვა: ჩვენ არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ უმცირესი წინსვლაც კი გარდაქმნაში, გამოცდილების პატარა მისხალიც კი. ეს არანაკლებ დამღუპველი იქნებოდა. უწინარეს ყოვლისა, ეს დაუშვებელია თუნდაც აი რატომ.

ჩვენ ჯერ ეს-ეს არის ვაჩაღებთ საქმიანობას, ჩვენს პოლიტიკურ გეზს აღვეურავთ კონკრეტული მიდგომებით, განვსაზღვრავთ იმ მიზნების მიღწევის გზებს, რომლებიც დავისახეთ. ჯერ ეს-ეს არის ვრთავთ გარდაქმნის მექანიზმსა და საშუალებებს, ვდგამთ პირველ ნაბიჯებს საიმისოდ, რომ ისინი ამუშავდნენ და უკუგება მოგვცენ. მაგრამ, უკვე 1986 წლის შედეგების განხილვისას დავინახეთ, რომ წინ წავიწიეთ.

რამ განაპირობა ეს წინსვლა? ეს არის პირდაპირი შედეგი იმისა, რომ ჩვენი ხალხი მხარს უჭერს გარდაქმნის, დაჩქარების გეზს.

მაშ, განა შეგვიძლია ვერ ვხედავდეთ ამას, ვთვლიდეთ, რომ არაფერი მომხდარა და არაფერი ხდება. ის კი არ არის რევოლუციონერი, ვინც რევოლუციურ ფრაზებს ისვრის, არამედ ის, ვისაც უნარი შესწევს დასახოს პერსპექტივა, დარაზმოს ხალხი და პარტია ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლისათვის და შენიშნოს ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი, გამოიყენოს იგი საიმისოდ, რომ კიდევ ერთი საყრდენი წერტილი მოუძებნოს ახალ, უფრო დიდ ნაბიჯს. დღეს ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე უდიდესი პარტიული მადლობა უნდა ვუთხრათ ჩვენს ხალხს იმისათვის, რომ მიხვდა, სულით, თავისი ხალხური გუმანით იგრძნო, რომ მას მოუხმობენ ჩაებას ძნელ ბრძოლაში, მაგრამ ბრძოლაში ისეთი ცვლილებებისათვის, ისეთი მიზნებისათვის, რომლებიც დიდებულ ნაყოფს მოუტანენ მთელ საზოგადოებას, ყოველ ოჯახს, ყოველ ადამიანს. საბჭოთა ადამიანებმა ირწმუნეს ჩვენი. მათ მხარი დაუჭირეს პარტიას. აი რატომ არის ჩვენთვის ესოდენ მნიშვნელოვანი 1986 წელს მიღწეული პოზიტიური ცვლილებები. ისინი მნიშვნელოვანი არიან იმიტომ, რომ გამოხატეს ჩვენი ხალხის მძლავრი მხარდაჭერა პარტიის პოლიტიკისადმი, დაჩქარებისათვის გამიზნული მისი კურსისადმი.

მინდა გამოვყო კიდევ ზოგიერთი მომენტი, რომლებიც პლენუმზე გაისმა. ვფიქრობ, პოლიტბიუროს მოხსენებაში სავსებით მართებულად არის წამოწეული წინა პლანზე უმნიშვნელოვანესი თემა — საბჭოთა საზოგადოების სერიოზული, გაღრმავებული დემოკრატიზაციის თემა.

ეს, ამხანაგებო, ის ბერკეტია, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს გარდაქმნისათვის ავამოქმედოთ მისი გადამწყვეტი ძალა — ხალხი. თუ ამას არ ვიზამთ, მაშინ ვერ გადავწყვეტთ დაჩქარების

ამოცანებს, ვერ უზრუნველვყოფთ გარდაქმნას, იგი უბრალოდ არ მოხდება.

მეორე მხრივ, სოციალისტური დემოკრატიის განვითარებით, წინსვლით, მისი პოტენციალის ამოქმედებით, ჩვენ ყველაზე საიმედო გარანტიებს ვუქმნით იმას, რომ აღარ განმეორდეს წარსულის შეცდომები. მაგრამ საქმე მარტო ეს როდია.

დემოკრატია ჰაერივით გვჭირდება. თუ ამას ვერ გავიგებთ, და თუ გავიგებთ კიდეც, მაგრამ რეალურ სერიოზულ ნაბიჯებს არ გადავდგამთ მისი გაფართოების, წინსვლის, გარდაქმნის პროცესში ქვეყნის მშრომელთა ფართოდ ჩაბმის მიზნით, მაშინ გაიგუდება ჩვენი პოლიტიკა, გაიგუდება გარდაქმნა, ამხანაგებო.

ეს არის ჩვენი მთავარი ჩანაფიქრი. ისევე როგორც პოლიტბიუროს ყველა წევრი — ჩვენ კი ყოველი შესვენების დროს აზრს ვუზიარებდით ერთმანეთს პლენუმის მუშაობის შესახებ — ძალზე კმაყოფილი ვართ იმით, რომ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მთლიანად დაუჭირა მხარი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობის ამ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას დაჩქარების მიზნებისათვის ბრძოლის ახლანდელ ეტაპზე.

კომუნისტური პარტია მტკიცედ დგას იმ თვალსაზრისზე, რომ ხალხმა ყველაფერი იცოდეს. საჯაროობა, კრიტიკა და თვითკრიტიკა, მასების კონტროლი, — ეს საბჭოთა საზოგადოების ჯანსაღი განვითარების გარანტიებია, რადგან ისინი ხალხს სჭირდება — მაშასადამე, სჭირდება ყველას. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მმართველი პარტიაა. და იგი დაინტერესებულია საჯაროობით, კრიტიკით და თვითკრიტიკით, ვინაიდან ეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ნორმალური ფუნქციონირების რეალური და საიმედო ფორმებია. ეს სწორედ ის საშუალებებია, რომლებსაც შეუძლიათ დაიცვან პარტია შეცდომებისაგან პოლიტიკაში. ამ შეცდომების ფასი კი ყველას მოგვეხსენება.

დღეს პლენუმზე ჩვენ ყველას გამოგვაქვს ერთიანი დასკვნა — ჩვენ გვჭირდება საჯაროობა, ჩვენ გვჭირდება კრიტიკა და თვითკრიტიკა როგორც სოციალისტური დემოკრატიის ეფექტიანი ფორმები. ჩვენს სახელმწიფოში — მუშათა და გლეხთა სახელმწიფოში — ხალხს ყველაფერი ესაქმება, ვინაიდან ეს მისი სახელმწიფოა, მან ყველაფერი უნდა იცოდეს და ყველაფრის შესახებ შეგნებულად მსჯელობდეს. ეს სიტყვები, როგორც იცით, ვ. ი. ლენინს ეკუთვნის.

ხალხს მთელი სიმართლე სჭირდება. ამასთან დაკავშირებით მინდა შეგახსენოთ ლენინის პოზიცია, რომელიც მან „ისკრის“ რედაქციისათვის გაგზავნილ წერილში ჩამოაყალიბა. „მართლაც, დროა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — გადაჭრით უკუვაგდოთ სექტანტური წრეობანას ტრადიციები და —**მახვნაზე** დაყრდნობილ პარტიაში, — წამოვაყენოთ გაბედული ლოზუნგი: **რაც შეიძლება მეტი სინათლე,** დაე პარტიამ **ყველაფერი იცოდეს**“. (ტ. 7, გვ. 126). ჩვენ, ისე როგორც არასდროს, გვჭირდება ახლა რაც შეიძლება მეტი სინათლე, რათა პარტიამ და ხალხმა იცოდნენ ყველაფერი, რათა აღარ გვქონდეს ბნელი კუთხეები, სადაც ისევ გაჩნდებოდა ობი, ყოველივე ის, რასაც ახლა დაუნდობელი ბრძოლა გამოვუცხადეთ და ჯერ კიდევ, შორს ვართ ამ ბრძოლის დასრულებისაგან. ამიტომ — რაც შეიძლება მეტი სინათლე!

ნუთუ ჩვენ ასეთი მძლავრი პარტიით, ასეთი პატრიოტი, სოციალიზმის იდეების, თავისი სამშობლოს ერთგული ხალხით ვერ მოვუვლით იმას, თუ ზოგზოგები შეეცდებიან გამოიყენონ ფართო საჯაროობა, დემოკრატიული პროცესი პირადული ან ანტისაზოგადოებრივი მიზნით, გათათხვის მიზნით!

მინდა გაგიზიაროთ ერთი დაკვირვება, რომელიც ჩემი მოგზაურობების გაანალიზებისას გავაკეთე. ადრე წინა პლანზე ხშირად სწორედ დემაგოგები გამოდიოდნენ ხოლმე და თავიანთ „გამბედაობას“ ამზეურებდნენ, ძირითადად ეს ასეთი დემაგოგია იყო: აქაოდა, რას უყურებს უფროსობა, განსაკუთრებით მოსკოვში? ახლა კი სხვანაირი სიტუაციაა. ეს დასკვნა ათობით შეხვედრის საფუძველზე გამომაქვს. ახლა უშუალო საუბარში, ამასთან ყველაზე მოულოდნელ აუდიტორიებში და ადგილებზე, ყველაზე რომ იტყვიან, მოუშზადებელ აუდიტორიაში, ებმებიან მოწიფული სერიოზული ადამიანები. ისინი საქმიანად აყენებენ საკითხებს, კითხულობენ იმას, რაც არ ესმით, არკვევენ, როგორ გადაწყდება ესა თუ ის საკითხი.

სწორედ საჯაროობისა და დემოკრატიის ვითარებამ მისცა თავის მაღლა აწევის შესაძლებლობა მუშათა კლასს, გლეხობას, ჩვენს ინტელიგენციას, მთელ ჯანსაღ ძალებს. დემაგოგი თუ ჩნდება ხოლმე — თვითონვე აშოშმინებენ, ათობით ასეთ შემთხვევას შევსწრებივარ. ხალხი ყოველთვის გაერკვევა ყველა საკითხში.

საჯაროობა, კრიტიკა, თვითკრიტიკა ჩვენთვის უბრალოდ აუცილებელია. ეს სოციალისტური ცხოვრების წესის უმნიშვნელოვანესი ნიშან-თვისებები გახლავთ. და თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს ამბავი ჩვენ მხოლოდ იმისათვის გვჭირდება, რომ წარსულის ნაკლოვანებები გავაკრიტიკოთ, ძალიან შემცდარა. ყველაზე მთავარი ის არის, რომ საჯაროობა, კრიტიკა და თვითკრიტიკა, დემოკრატია საჭიროა ჩვენი წინსვლისათვის. უზარმაზარი ამოცანების გადაწყვეტისათვის. ხალხის აქტიური მონაწილეობის გარეშე ამ ამოცანებს ვერ გადავწყვეტთ. აი რისთვის გვჭირდება ეს ყველაფერი.

და თუ ვინმეს ეჩვენება, რომ ასეთ სიტუაციაში მუშაობა ძნელია, მინდა შეგახსენოთ, რაც უკვე ექვსი თვის წინ გამოვთქვით რჩევის სახით: ისწავლეთ განვითარებადი დემოკრატიის პირობებში მუშაობა. მოდით ყველამ ვისწავლოთ!

პრესა მხარს უნდა უჭერდეს საჯაროობას ქვეყანაში, ინფორმაციას აწვდიდეს ჩვენს ხალხს. მაგრამ იგი ამას პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა აკეთებდეს — ასეთ სურვილს გამოვთქვამთ. არ ცდებოდეს სენსაციებზე, „ცხელ-ცხელი ფაქტების“ ძებნაზე. ჩვენ პრესა გარდაქმნის აქტიურ მონაწილედ გვჭირდება!

უნდა მოვუმატოთ საქმიანობას მუშაობაში. სწორად გაისმა აქ მრავალი ამხანაგის შენიშვნები, გამონათქვამები იმის თაობაზე, რომ სიტყვა უკვე ბევრი დაიხარჯა.

ეს ყველას ეხება, მათ შორის პრესასაც. ახლა ჩვენთვის ძალზე საჭიროა ვხედავდეთ ყველაფერს, რაც კი პოზიტიური, კონსტრუქციულია, აღვიჭურვებოდეთ ამით, მთელი პარტიის, მთელი ხალხის კუთვნილებად ვაქცევდეთ, ვიყენებდეთ ახალი მიდგომების აღმნაცენებს, გარდაქმნის პირობებში. აქაც არის საჭირო დიდი საჯაროობა და ყოველივე მოწინავის პროპაგანდა.

ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შემდეგ ჩვენ — არ მინდა რომ ბრალად დამდონ, თითქოს ისევ რაღაც ეტაპს ვიგონებდეთ, — მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ახლა ჩვენ მოძრაობის გარდაქმნისათვის ჩვენი მუშაობის ახალ ეტაპს ვიწყებთ. ამ აზრს ასე განვმარტავ. სიტუაცია გაანალიზდა, პოლიტიკური კურსი დაისახა, ამ კურსის სარეალიზაციო ძირითადი გადაწყვეტილებები მიღებულია. ახლა საქმე და მხოლოდ საქმეა საჭირო.

ჩვენს პოლიტიკაზე, გარდაქმნაზე ხალხი იმსჯელებს და რაც დრო გავა, მით უფრო მკაცრად — ხელშესახები შედეგებით მილიონთა შრომისა და ცხოვრების პირობების პრაქტიკულ გაუმჯობესებაში: რამდენად უფრო ზუსტი გახდა წარმოების ორგანიზაცია, რამდენად სამართლიანი — შრომის ანაზღაურება, რამდენად დაჩქარდა საცხოვრებლის მშენებლობა, გაუმჯობესდა ვაჭრობა, საყოფაცხოვრებო მომსახურება, საქალაქო ტრანსპორტის, პოლიკლინიკების, საავადმყოფოების მუშაობა, რამდენად უფრო სუფთა და ჯანსაღია ზნეობრივი კლიმატი პარტიულ ორგანიზაციაში, შრომითს კოლექტივში.

ერთი სიტყვით, ჩვენ, კომუნისტები, ყოველდღიური ცხოვრების ათასობით და ათასობით ფაქტის მეშვეობით უნდა ვამტკიცებდეთ ჩვენი პოლიტიკის სისწორეს, გარდაქმნის სოციალისტურობას. ეს განსაკუთრებით დიდ მოთხოვნებს უყენებს კადრებს, მიზნად უსახავს მათ პრაქტიკულ შედეგებს. ამიტომ არის ახლა ესოდენ საჭირო მეცადინეობის გაძლიერება, მოძრაობის დაჩქარება, მუშაობის მომატება ყველასაგან, როგორც ეს უკვე ითქვა მოხსენებაში.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო იმ ამოცანების მნიშვნელობა, რომლებსაც საიუბილეო, 1987 წელს ვწყვეტთ. ეს ამოცანები უზარმაზარია მასშტაბით, მიჯნებით, რომლებსაც უნდა მივაღწიოთ, მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ მეურნეობრიობის ახალი მეთოდების ათვისების, მთელი ეკონომიკის, მისი მრავალი დარგის მეურნეობრიობის ახალ პრინციპებზე გადასვლის თვალსაზრისით.

გარდაქმნა, ამხანაგებო, დიდი სკოლაა. იგი რთულ ამოცანებს გვისახავს. და კარგად უნდა გავიაროთ ეს სკოლაც. მინდა კიდევ ერთხელ გავიმეორო: საჭიროა მოქმედება, მოქმედება და კიდევ ერთხელ მოქმედება — აქტიურად, გაბედულად, შემოქმედებითად, კომპეტენტურად! ეს, თუ ვნებავთ, მომენტის მთავარი ამოცანაა. და მისი გადაწყვეტა უნდა დაისახოს მიზნად ყველამ — ყოველმა პარტიულმა ორგანიზაციამ, ყოველმა პარტიულმა კომიტეტმა, ყოველმა ხელმძღვანელმა, ყოველმა კომუნისტმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელით მინდა ყველა პარტიელ ამხანაგს, ყველა საბჭოთა ამხანაგს მივმართო: გარდაქმნის საქმე, საზოგადოების რევოლუციური განახლების საქმე, ქვეყნის ბედი ხალხის ხელშია. და ეს ბედი ისეთი იქნება, როგორსაც მას ჩვენ შევქმნით — ჩვენი საერთო შრომით, ჩვენი გონებით და ჩვენი სინდისით.

გარდაქმნა ბრძოლის წინა ხაზია ყოველი პატიოსანი კაცისათვის, ყოველი პატრიოტისათვის, საქმე ყველას ეყოფა და გზაც წინ დიდი გვიძევს.

ჩვენ ურყევად ვესწრაფვით XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას, ჩვენ ვეცდებით მივაღწიოთ საბჭოთა საზოგადოების თვისებრივად ახალ მდგომარეობას, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გარდაქმნის საქმე შეუქცევადია.

ცენტრალური კომიტეტის წევრებმა მხარი დაუჭირეს სრულიად საკავშირო პარტიული კონფერენციის მოწყობას, პარტიისათვის ასეთი კონფერენცია უდიდესი პოლიტიკური მოვლენაა. მე როგორც მესმის, ისინიც, ვინც კამათში არ მონაწილეობდა, იზიარებენ ამ წინადადებას, რომელიც პოლიტბიურომ პლენუმზე წამოაყენა.

ჩვენ, ამხანაგებო, ისტორიიდან არაერთი კონფერენცია გვახსოვს, რომლებიც გარდატეხის ეტაპებზე გვეხმარებოდნენ დასახული მიზნების მიღწევის, ახალი გზებისა და საშუალებების დანახვაში, ჭრიდნენ პრობლემებს, რომლებიც შორს სცილდებოდნენ ტაქტიკის ფარგლებს.

ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, და ამას გთავაზობთ განსახილველად, რომ პოლიტბიურომ ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი უახლოესი პლენუმისათვის მოამზადოს წინადადებები კონფერენციის მოწყობის ვადებისა და წესის შესახებ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პარტიული კონფერენცია კარგ იმპულსს მისცემს ანგარიშგება-არჩევნების კამპანიას, ახალ იმპულსს შესძენს პარტიის, მისი ყველა ორგანიზაციის მუშაობას გარდაქმნისათვის.

ასეთია, მოკლედ, ის მოსაზრებები, რომლებიც მინდოდა გამომეთქვა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გამართული დისკუსიის ბოლოს.

მინდა ყველას გადაგიხადოთ მადლობა პლენუმის მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის და ვუსურვო მის ყველა მონაწილეს დიდი წარმატებები ჩვენს საერთო საქმეებში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

გთავაზობთ მშობელთა საუბარს, რომელშიც მონაწილეობენ ექიმები, პედაგოგები, მწერალი, მსახიობი, პენსიონერი და სხვა პროფესიის წარმომადგენლები.

ᲨᲕᲘᲚᲘᲡᲬᲘᲚᲘ...

ᲐᲜᲣ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲝᲯᲐᲮᲣᲠ ᲐᲚᲬᲠᲓᲐᲖᲔ

ᲛᲔᲠᲘ ᲙᲘᲖᲘᲠᲘᲐ. მე ბებია ვარ. რაც უფროსი შვილიშვილი სკოლაში მივიყვანე, ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ, მას აქეთ სულ იქ ვტრიალებ. მან უკვე დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი. მერე სკოლის მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარედაც ამირჩიეს. ათასი საზრუნავი გამიჩნდა. ახლა ჩემი მეორე შვილიშვილიც მეცხრე კლასშია. ერთად მივდივართ სკოლაში და ერთად ვბრუნდებით შინ. მთელი სკოლის ბავშვები მერი ბებიას მეძახიან და თუ რამე გაუჭირდებათ, ჩემთან გამორბიან.

უფროსზეც ასე იყო და უმცროსზეც ასეა, ერთი წუთით არ შემიძლია თვალის მოცილება.

მშობლები? როგორ არა, დედაც ჰყავთ და მამაც. ორივეს ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი აქვთ დამთავრებული. მსახურობენ, ისინიც დიდ დროს უთმობენ შვილებს, მაგრამ გამუდმებით მე ვარ მათთან...

ᲯᲐᲜᲡᲣᲚ ᲦᲕᲘᲜᲯᲘᲚᲘᲐ. დიდი გამოცდილება გქონიათ, ქალბატონო მერი, მაგრამ, ჩემი აზრით, შვილების აღზრდაზე პასუხისმგებელნი მაინც მშობლები უნდა იყვნენ — დედ-მამა. არც ასე მარტივად შეიძლება საკითხის დაყენება: ჩვენ თუ გამუდმებით მათთან ვართ და თვალს არ ვაცილებთ, ამით ყველაფერი რიგზეა. მე როცა შევიტყვე, რომ ჟურნალ „დროშის“ რედაქცია მშობლების საუბარს აწყობდა შვილებთან ურთიერთობისა და ოჯახური გარემოს როლზე ბავშვთა აღზრდის საქმეში, მართალი გითხრათ, შევშინდი, რადგან ამან კიდევ ერთხელ შემახსენა ჩემი პასუხისმგებლობა შვილის მიმართ. ფაქტიურად ის შიში გამოალვიძა, რომელიც სულ თან გვდევს ცხოვრებაში მშობლებს. ხომ არაფერი დავაკელით ბავშვის აღზრდას, სწორი გზით მიგვყავს თუ არა, როგორი იქნება, რა თვისებების მატარებელი, რა პროფესიას აირჩევს, ივლის თუ არა პატიოსნების კარნახით?

ᲛᲔᲠᲘ ᲙᲘᲖᲘᲠᲘᲐ. რა თქმა უნდა, პირველ რიგში მშობლებს არ უნდა გამოეპაროთ არაფერი, თორემ თუ ერთხელ გამოგრჩა მხედველობიდან რაიმე ძალიან მთავარი, მერე ძნელია უკან დაბრუნება, სწორედ ამაში ვეხმარები ჩემს შვილებს.

ᲜᲐᲜᲐ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ. ყველა ოჯახს ხომ არა აქვს საშუალება, ქალბატონო მერი, რომ რომელიმე წევრი მუდამ ბავშვების მეთვალყურედ გამოყოს. ბევრს ბებიაც და ბაბუაც არა ჰყავს შინ. ან თუ ჰყავს, ჯანმრთელობა არ უწყობს ხელს. რა ქნას ასეთმა ოჯახმა? როგორ გადაჭრას ის რთული პრობლემები, რომელიც თანამედროვე პირობებმა წარმოშვა?

ᲛᲔᲠᲘ ᲙᲘᲖᲘᲠᲘᲐ. მე ვერ ვხედავ ასეთ რთულ პრობლემებს. ჩვენი ოჯახი არასოდეს მდგარა კრიტიკული წუთების წინაშე, ფეხდაფეხ მივდევთ ყველაფერს, რაც ბავშვთან არის დაკავშირებული და შედეგიც სახეზეა. მოიცალონ შვილებისათვის, ყველაფერი მოიკლონ, თუ საქმე მოითხოვს, დედამ არც უნდა იმუშაოს, შვილი უნდა გაზარდოს.

ᲜᲐᲜᲐ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ. მე ერთი მეშვიდეკლასელი მეზობელი მყავს — კახა. ოჯახს არა აქვს საშუალება, რომ მუდამ თან სდიოს. კახას თვითონ ისე აქვს

გამოზომილი დრო, გაოცდებით. თავად მეცადინეობს, ფარიკაობაზეც დროზე მიდის. ერთხელ ქიმიაში გაუჭირდა, ოთხს აყოლებდა მასწავლებელი. „ქიმიამ როგორ უნდა მაჯობოსო“, უთხრა თავის თავს. დაჯდა, იმდენი უკირკიტა, ყველაფერი გაიგო, ყველაფერი დაისწავლა — დამსახურებული ხუთიანიც მიიღო. ეს მან გააკეთა სრულიად დამოუკიდებლად. თავზე არავინ სდგომია....

ჯანსულ ღვინჯილია. დიახ, აღზრდა არასოდეს ყოფილა იოლი საქმე. რამდენი და რამდენგზის თქმულა ამის თაობაზე. ამომწურავადაც თქმულა, მაგრამ ყოველ კონკრეტულ დროში ისევ აუცილებელი ხდება ამ საკითხისადმი მიბრუნება. გამზადებული რეცეპტებით, ეტყობა, საქმეს არ ეშველება. კონკრეტული დრო ახალ კონკრეტულ მოვლენას, ახალ სიტუაციებს გვთავაზობს და მათში გარკვევას გვავალებს.

დღეს მითუმეტეს ძნელია მხოლოდ წარსულის გამოცდილებით და თუნდაც დიდი მეცნიერების უკვდავი თეორიებით გახვიდე ფონს. ბატონობს სულ სხვა რიტმი, ტელევიზიის ეკრანიდან, ვიდეოდან, კინოდარბაზებიდან, საესტრადო კონცერტებიდან, ქალაქის ქუჩებიდან უამრავი საცთური დაემუქრა ბავშვის სულს. შეიძლება ნორმალური ადამიანი დაემალოს მათ? განა შესაძლებელია, დაიფარო ბავშვი ყოველივე ამისაგან? ცხოვრება რთულდება. ბავშვი იტვირთება განცდებით, მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო ინფორმაციებით, ზემოქმედებენ ახალი სიტუაციები და ყოველივე ეს რთული სამართავი ხდება. მშობლების ვალი ამ შემთხვევაში არნახულად იზრდება. ჩვენ ამას ველარ გავექცევით, მაგრამ არც ის გვეპატიება, თვალაკრულივით მივენდოთ ბედსა და თვითდინების იმედითლა ვიყოთ.

ნანა მამაცაშვილი. ცივილიზაციის ახალ ფორმებს ვერ გავექცევით და, ჩემი აზრით, არც უნდა გავექცეთ, მაგრამ, ბატონო ჯანსულ, ამ მხრივ რა საშიშროებას ხედავთ თქვენ?

ჯანსულ ღვინჯილია. ბავშვს ულამაზესი სული აქვს, შინაგანად სულ კარგისაკენ უჭირავს თვალი, მაგრამ სუსტია ის გონების თვალი, შესაძლოა, ცუდი მოეჩვენოს კარგად, მათში ხომ ასე ძლიერია გართობის წილი. ბავშვს უყვარს გართობა, ხოლო საცთური სწორედ გართობის გზით მოდის მასთან. და ამიტომაც ზემოთ ნაგულისხმევ გარემოცვაში ჩვენ, მშობლებს, გვევალება დავეხმაროთ ბავშვს სწორი ორიენტაციის არჩევაში. ეს კი ფხიზელ

გონებასა და ფაქიზ დამოკიდებულებას გვავალებს. აღზრდა ურთულეს ხელოვნებად იქცა.

მალხაზ გორგილაძე. ამ საქმისთვის, ჩემი აზრით, თქვენი ოჯახური გარემო უკვე საკმარისი იქნება. ჩვენი დიდი წინაპრების მაგალითს გავიხსენებთ განა შალვა დადიანისთვის მამის მეგობრებთან შეხვედრა, დიდი ადამიანებისა — ილიას, აკაკის, ივანე მაჩაბლისა და სხვათა საუბრები არ შეიქმნა ნამდვილი უნივერსიტეტი? რომელ უმაღლეს განათლებამიღებულს დაუდებდა ტოლს ეს „უსწავლელი“ კაცი? თქვენ უთუოდ გემახსოვრებათ ის ადგილი შალვა დადიანის მოგონებებიდან, ჭაბუკი შალვა გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვაზე ილია ჭავჭავაძის გვერდით რომ მოხვდა. მართალია, ახლა სხვა დროა, მაგრამ შვილი რომ ხელკავით გამოგყვებათ, ან ოჯახში თქვენს მეგობრებთან გულახდილ საუბარში მიიღებს მონაწილეობას, არ შეიძლება, ამან კეთილისმყოფელი ზეგავლენა არ მოახდინოს ბავშვზე.

ნანა თალაკვაძე. რაც ბრძანეთ, ეს ყველაფერი თქვენც გაგიგიოლებთ შვილებთან ურთიერთობას. ალბათ თქვენი ბავშვები გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს თქვენს დაძაბულ შრომას, შემოქმედებითი გამარჯვების ფასიც კარგად ეცოდინებათ და ისიც, რა ჯაფა სჭირდება ამის მიღწევას.

ლიანა ჩარბაძე. არც მთლად ახეა საქმე. ირგვლივ რამდენი მაგალითია, რომ მშრომელ მშობლებს უსაქმური შვილი გაზრდიათ, სახელის შემარცხვენელი.

მარიამ ბარნოვი. არ გეთანხმებით, უმეტეს შემთხვევაში მშობლების მაგალითს შვილებისათვის დიდი ზემოქმედების ძალა აქვს. მთავარია ოჯახში ბავშვი გრძნობდეს, რომ იოლი გზით არაფრის მიღწევა არ შეიძლება. ჩემი უფროსი შვილი ექვსი წლის იყო, როცა საქმემ მოითხოვა ჩვენი ოჯახის გადასვლა საცხოვრებლად მოსკოვში. მან თავის თავზე გადაიტანა ახალი ქალაქის რიტმთან შეგუების სიძნელე. ხედავდა, რომ მამამისი ღამე გვიანობამდე მუშაობდა. თბილისში რომ დავბრუნდით, უკვე მეშვიდე კლასში იყო. ქართულ სკოლაში განაგრძო სწავლა. ალბათ, მის ცხოვრებაში ეს უკვე ძნელად გადასალახი დაბრკოლება იყო. ჩვენს ოჯახში უმაღლესი განათლების კულტი არ არის. ჩვენც ასე გვჯერა და ბავშვებსაც იმას ვუნერგავთ, რომ მთავარია, კაცს თავისი საქმე უყვარდეს, საჭირო იყოს ადამიანებისთვის, კმაყოფილებას ანიჭებდეს ის, რასაც აკეთებს და სულაც არ არის აუცილებელი, უმაღლესი სასწავლებელი დაამთავროს.

რამდენი დადის ამქვეყნად ვითომ განათლებული, ფაქტიურად კი არაფერს საინტერესოს არ ქმნის არც თავისთვის და არც სხვისთვის. ჰოდა, ჩვენც, მე და ჩემი მეუღლე, ავდექით და მივედით სკოლის დირექტორთან ჩვენი გადაწყვეტილებით — ბავშვი პროფტექნიკურ სასწავლებელში გადაგვეყვანა. დირექტორმა თავი შეიკავა. ბავშვის ინდივიდუალური თვისებები, ეტყობა, იმ შემთხვევაში ჩვენზე უკეთ გაითვალისწინა და პირადად მამას დაავალა, ამ საქმეში შვილს ისე მისდგომოდა, როგორც კაცს. ჩემმა მეუღლემ ბევრი იფიქრა, თითქოს გამოსავალი ვერ იპოვა, მაგრამ ერთხელ სიზმარმ დილით მაინც ააყენა ლოგინიდან, სთხოვა, სამსახურში გამომყევიო. ადგა ნიკალაც, მეტი რა გზა ჰქონდა. — აი, ბავშვმა ნახა, რა დროს დგება მამა დილით. დარწმუნდა, რა ენერგია სჭირდება მას ყოველდღე იმისათვის, რომ საქმე წინ წავიდეს, თანამშრომელი კმაყოფილი იყოს, ათას კითხვას და ათას დავალებას თავი გაართვას და თან ოჯახზეც იზრუნოს. ბავშვი სრულიად შეიცვალა. მალე ოთხოსანი გახდა. ოჯახშიც ის აღარ არის. ოთახში თუ არავინაა, შუქს არ დატოვებს. სულ წყლის ონკანებს ამოწმებს. ვაშლს ან პურის ნაჭერს პატარა და მისი შიშით ვერ გადაადგებს. მაშინვე ეტყვის: მამიკო რამდენს წვალობს ეს რომ მოგიტანოს — შენ კი ყრიო.

ნანა მამაცაშვილი. ჩემის აზრით, მთავარი მაინც ის არის, ბავშვი რა გარემოში მოხვდება. ჩემი მეუღლე დემნა შენგელაიას დისშვილია, მასთან გაზრდილი. მოგეხსენებათ, ყველა თაობის მწერლები დადიოდნენ ამ ოჯახში და მათთან ურთიერთობამ დიდი ზეგავლენა მოახდინა მასზე. მწერლობისადმი მამის ფანატიკური სიყვარული ჩემს შვილსაც გადაედო, ხოლო როცა ბავშვი გემოვნებით შერჩეულ წიგნებს გატაცებით კითხულობს, მისი სული უკვე დაცულია დამახინჯებისაგან.

ჯანსულ ღვინჯილია. აღზრდა ბუნებრივი ხერხებით უნდა ხორციელდებოდეს. მშობელი ზედმიწევნით კარგად უნდა იცნობდეს საკუთარ შვილს. მის თვისებებს, გამუდმებით უნდა აკვირდებოდეს მისი ინტერესების ზრდას, ფერისცვალებას, რათა დროზე დაინახოს სასურველი მიმართულებით წარმართვის აუცილებლობა. დაეხმაროს, რა მიიღოს ცხოვრებიდან და რა უკუაგდოს. ორივე მიზანი ძნელად მისაღწევია. ზოგჯერ ბავშვი იქნებ სწორედ იმის მიღებას გაუჯიუტდეს, რაც მას ჰაერივით ესაჭიროება სამომავლოდ. იქნებ, სწორედ საცთურმა მიიტაცოს მისი გულისყური. ყოველ დეტალთან სწორი დამოკიდებულება უნდა შემუშავდეს. შვილმა მშობლის პოზიცია უნდა იცოდეს. ტყუილად ჰგონიათ, რომ ასეთი მეთვალყურეობა ბავშვს ზღუდავს, თავისთავადობას ართმევს. სანამ ის ბავშვია, სანამ ცხოვრებისეულ გამოცდილებას არ ემყარება პოზიცია, მანამ სულ მიხმარება უნდა, რათა იმაზე დავწყვიტოთ გული, რაც მას ავნებს და იქით ვუბიძგოთ, რაც დღეს არ იზიდავს, მაგრამ ხვალ უსათუოდ წაადგება.

მალხაზ გორგილაძე. მაგრამ, გამოვტყდეთ, განა ყოველთვის გვყოფნის ამისთვის ძალა? განა თავად ისე არ გვღლის ცხოვრება, რომ შეიძლება ზოგჯერ ხელიც ჩავიქნიოთ?

ჯანსულ ღვინჯილია. დიახ, ჩვენც დაგვღალა ცხოვრების რიტმმა და მირიადმა წვრილმანმა. ჩვენმა დაღლილმა ხელებმაც მიუშვეს სადავე თავის ნებაზე და, თავის ნებაზე მიშვებული ბავშვიც ჩვეულებრივ ამბავი გახდა.

პედაგოგიკური მეცნიერებაც დაიღალა ახალი გზების ძიებითა და გაუთავებელი ექსპერიმენტებით, ბავშვის სრულფასოვან მოქალაქედ ჩამოყალიბება კი კვლავ თავსატეხ პრობლემად რჩება.

ლიანა ჩარბაძე. უკვე ბავშვის სულიერი სიფაქიზის, სიწმინდის საკითხთან მივედით და მოდით, ახლა გულახდილად ვთქვათ — ვზრდით ჩვენ ბავშვობიდანვე კარგ მსმენელსა და მაყურებელს? რატომ არის ცარიელი ჩვენი ოპერისა და ბალეტის თეატრის დარბაზი? რატომ აკლია მაყურებელი ჩვენს თეატრებს? განა ამისთვის თავიდანვე არ უნდა ვიზრუნოთ?

ნანა მამაცაშვილი. რა თქმა უნდა, პატარობიდანვე უნდა აღვზარდოთ როგორც კარგი მკითხველი, ისე კარგი მსმენელი და მაყურებელი. რა დასამალია, რომ ჩვენს ახალგაზრდებს უჭირთ სიმფონიური ორკესტრისა თუ კამერული მუსიკის მოსმენა... ბავშვი თავიდანვე უნდა ვეტაროთ ოპერისა და ბალეტის თეატრში, კონცერტებზე, ვაჩვენოთ კარგი, ასაკის შესაფერისი სპექტაკლები. მშვენიერი წამოწყება იყო ჯანსუღ კახიძის ლექციები სიმფონიური ორკესტრის თანხლებით, მაგრამ, სამწუხაროდ, რაღაც მიზეზის გამო შეწყდა... მშობლებმა აუცილებლად უნდა მოვიცალოთ იმისათვის, რომ ჩვენმა შვილებმა იცოდნენ, რას ნიშნავს მუსიკით მიღებული ესთეტიკური ტკბობა.

მალხაზ გორგილაძე. რა დამავიწყებს ჩემს სიყმაწვილეს. სპეციალური მუსიკალური განათლება არ მიმიღია, მაგრამ ოპერას ხიბლავენებით ვუსმენდი, ბალეტს კი ვერ ვიტანდი. ერთხელ ჩემმა მეგობარმა შემარცხვინა — ვახტანგ ჭაბუკიანის დონ-კიხოტს ახლა თუ არ ნახავ, მერე წლები რომ გავა, რას იტყვი, რით იმართლებ თავსო და ძალათი წამიყვანა. განა ერთხელ? სამჯერ წამიყვანა. მერე იცით რა მოხდა? მას შემდეგ კიდევ ოთხჯერ ვნახე „დონ-კიხოტი", მაგრამ უკვე ჩემი ნებით და დიდი სიამოვნებაც განვიცადე.

ასეა! ზოგჯერ ალბათ კიდეც უნდა დავაძალოთ!

ნანა თალაკვაძე. მე ორი შვილი მყავს. უფროსი 7 წლისაა. მას უკვე გაუჩნდა დამოუკიდებლობისაკენ ლტოლვა. სულ დაწინაურების სურვილს ვამჩნევ, თვითონ უნდა რაღაცას მიაგნოს, სადღაც წავიდეს, რაღაც გააკეთოს. ეს ბუნებრივია. ისიც ვიცი, რომ რაც უფრო იზრდებიან ბავშვები, მით უფრო უღრმავდებიან თავიანთ სამყაროს და ზოგჯერ ძალიან ჭირს მათი განცდისა და ფიქრის გაგება. ვინ იცის, რამდენ დედას აღმოხდომია ოთარაანთ ქვრივის სიტყვები: მა რას ჩაკეტილხარ და დახურულხარ შენს გულშიო? შვილო, დედა ვარ და არა უცხო. შენი ჯავრი გულში ჩამიჯდა ჭიასავით და ჭიასავით მფქვავს და მჭამს. შემიბრალე და მაცოცხლეო... არ დაგიმალავთ, მეშინია, რომ შეიძლება მეც ამ პრობლემის წინაშე დავდგე.

მალხაზ გორგილაძე. ამისათვის პირველ რიგში თავად მშობლები უნდა ვიყოთ გულგახსნილნი. გარემოსთან ჯანსაღი კავშირი უნდა გვქონდეს. ჩვენმა შვილებმა უნდა იგრძნონ, რომ ჩვენ თავად ხელისგულზე გვაქვს ჩვენი ცხოვრება. გაინტერესებთ, როგორ ვშრომობთ? ინებეთ, გვადევნეთ თვალყური! გაინტერესებთ, როგორი მეგობრები ვართ? ღიაა თქვენთვის ჩვენი სამეგობროს კარი. არამც და არამც არ მოვითხოვთ ოჯახის მეგობარი რომ მოვა, თქვენს ოთახში ჩაიკეტოთ. ისმინეთ ჩვენი საუბარი, ჩაიხედეთ ჩვენს გულში, ჩვენს სიხარულსა და ტკივილში, მაშინ იგი თქვენს სიხარულად და ტკივილადაც იქცევა და არც მშობელთან გაჭირდება განდობა...

ნანა მამაცაშვილი. შვილის ნდობა რომ დავიმსახუროთ, უნდა გვახსოვდეს, უმიზეზოდ და უმიზნოდ არ ვსაუვედურობდეთ მათ ყოველ წუთს. ყოველი ჩვენთვის არასასურველი ნიშნის მიღებისას გულამაჩუყებელ სცენებს არ ვაწყობდეთ და, რაც მთავარია, გამუდმებით არ ჩავჩიჩინებდეთ, გაკვეთილები ისწავლეო. ზოგიერთი მშობელი კვირა დღეს ბავშვს არ გაუშვებს, არც თავად არ წაიყვანს, სადაც მას მიუხარია, იმ მიზნით, რომ ბევრი დრო დარჩეს სამეცადინოდ. მე კი მგონია: როცა ჩვენმა შვილმა იცის, რომ დღეს ამა და ამ საათზე მიდის, ვთქვათ, თეატრში, ის უსათუოდ მოასწრებს გაკვეთილებს მანამდე და ხალისიანადაც ჩაუჯდება წიგნებს, მაგრამ თუ რაიმე სიხარული არ ელის, მთელი დღე გაჭიმავს მეცადინეობას და მაინც არაფერი ეცოდინება.

ჯანსუღ ღვინჯილია. ბავშვს არ უნდა აწუხებდეს ჩვენი მოთვალთვალე მზერა, მაგრამ ამასთან გამუდმებით უნდა გრძნობდეს მას. ნაბიჯ-ნაბიჯ მიყოლას გვავალებს ჩვენი მშობლიური ვალი. ბავშვი ოჯახიდან გადის ჩვენი სულისკვეთებით დამუტტული, ოჯახში შემოდის ათასი განცდით დატვირთული. შეუნელებელი სიფხიზლით თუ დავეხმარებით ბავშვსაც, სკოლასაც, და მხოლოდ ასეთი სიფხიზლის წყალობით თუ მივაღწევთ სასურველ შედეგს.

ლიანა ჩარბაძე. ოღონდ გარესამყაროს ნუ დავაპირისპირებთ ოჯახთან. იგი ხომ იგივე ჩვენი საზოგადოებაა — ჩემი, თქვენი, ათიათასობით ოჯახებიდან გამოსული ადამიანები რომ ქმნიან. იქ თუ რაიმე სიმახინჯე არსებობს, ის ყველას თანაბრად გვეკუთვნის და გვეხება. განა ცხოვრება მთელი თავისი მრავალფეროვნებით არ იჭრება ჩვენს ოჯახებში? განა კეთილისა და ბოროტის ჭიდილში არ იკვეთება პიროვნება? და თუ მშობელს თავად შეუძლია წინააღმდეგობათა დაძლევაც და მართალი გზის გაგნებაც, მართლაც, უმეტეს შემთხვევაში, ეს შვილზე კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს. ასეთი მშობელი კარგი აღმზრდელიც არის. მაგრამ ბავშვის სახურველად აღზრდა, ჩემი აზრით, შეუძლებელია მუდამ რაღაცასთან ბრძოლაში მყოფის დაძაბულობით. სწორედ ეს დაძაბულობა უნდა მოვიხსნათ. ჭეშმარიტი აღმზრდელი ლაღად, თავისუფლად უნდა მოქმედებდეს, შეუმჩნეველად, ხალისით მიჰყავდეს ბავშვი სასურველი გზით.

ბოლოთქმა: უთუოდ ბევრი ითქვა საგულისხმო და უურადსაღებიც. სწორია — „გამზადებული რეცეპტით" საქმეს არ ეშველებაო, მაგრამ კიდევ უფრო სწორი ის არის, რომ ასეთი რეცეპტი საერთოდ [illegible] არადა, საზოგადოებას მუდამ აწუხებდა „მამათა და შვილთა" [illegible] პრობლემა, ესე იგი ამოცანა, რთული თეორიული და პრაქტიკული საკითხი, რომელიც გარკვევას, შესწავლას საჭიროებს. აღზრდის პრობლემაც საჭიროებს მუდმივ გარკვევას, შესწავლას. სწორედ ამიტომ განეკუთვნება აღზრდა საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიულ, განვითარებად, მარადიულ კატეგორიას და ამიტომაც უნდა განვიხილოთ იგი, როგორც წინააღმდეგობრივად განვითარებადი დინამიური პროცესი.

განვითარება არის დაპირისპირებულთა „ბრძოლა", ხოლო დიალექტიკა — შესწავლა წინააღმდეგობისა საგანთა თვით დედაარსში. წინააღმდეგობა ახასიათებს ყოველგვარ განვითარებას და, ცხადია, სოციალისტური საზოგადოების განვითარებასაც, სადაც აგრეთვე წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს თაობათა ურთიერთობა.

აღზრდას ბავშვი მხოლოდ ურთიერთობით ემორჩილება და ძნელად აღსაზრდელი ის არის, ვისაც არა აქვს სულიერი კონტაქტები მშობლებთან, კერძოდ და განსაკუთრებით დედასთან. მაგრამ, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დედამ არ უნდა იმუშაოს — შვილი გაზარდოსო. ადვილი სათქმელია, არ იმუშავოსო და ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ არც ყველა ოჯახს შეუძლია ბავშვს „მუდმივ მეთვალყურედ" ბებია ან სხვა ვინმე მახლობელი მიუჩინოს. მეთვალყურის ანუ თავისებური ზედამხედველის როლს, როცა „გამუდმებით მათთან ვართ და თვალს არ ვაცილებთ", უპირისპირდება საუბრის უხილავი მონაწილის კახას ფრიად შთამბეჭდავი ეპიზოდი და კიდევ ამ ნიკალასი, რომელიც მამის დაძაბული შრომის მოწმე გახდა. სადღაც წაკითხული კიდევ ერთი ეპიზოდი მომაგონდა. ავტორი წერდა, რომ მამა სულ არ ყოფილა მისით დაკავებული, მაგრამ, როცა ღამეები შედვიძებოდაო, მე ვხედავდი მისი ოთახის კარებიდან გამოსული სინათლის პატარა ზოლს. მამა მუშაობდა. აი, ეს სინათლის ზოლი მზრდიდა მე.

ურთიერთობა სულაც არ მოითხოვს გამუდმებულ ერთად ყოფნას. აღზრდა თავისებურ დისტანციურ მართვასაც ექვემდებარება. მაგრამ, ურთიერთობა მოითხოვს „ფხიზელ გონებას და ფაქიზ დამოკიდებულებას", რისთვისაც მშობელი „გამუდმებით უნდა აკვირდებოდეს მისი ინტერესების ზრდას" და შეეძლოს „მათი განცდისა და ფიქრის გაგება". აი, ეს არის ის „ძალიან მთავარი", რომელიც არ შეიძლება, გამოგვრჩეს.

მაგრამ, გამოვტყდეთ, განა ყოველთვის გვყოფნის ამისთვის ძალა? განა თავად ისე არ გვღლის ცხოვრება, რომ შეიძლება, ზოგჯერ ხელიც ჩავიქნიოთ? ესეც ხომ ითქვა. და ისიც, რომ რაც უფრო იზრდებიან ბავშვები, მით უფრო ჭირს მათი გაგება.

თუ გინდა, შვილს გაუგო, საკუთარი ახალგაზრდობა გაიხსენეო, — ესეც უთქვამთ. მართალია ეს, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ. იმიტომ რომ დედმამის ბავშვობამ და ახალგაზრდობამ დღევანდელობისაგან განსხვავებულ გარემოში განვლო და სხვაგვარი გავლენა მოახდინა მათს შეხედულებებზე, გემოვნებაზე, ინტერესებზე, მოთხოვნილებებზე და ». შ. მათი შვილებისათვის თავზე მოხვევა, იმდროინდელი კატეგორიებით მსჯელობა და დღევანდელ პირობებში გუშინდელი ხაზომის გამოყენება — ტყუილი გარჯაა.

თავისი სამყარო აქვთ მათ — ჩვენს შვილებს. საკუთარი და განუმეორებელი. შეუძლებელია, ამას ანგარიში არ გაეწიოს.

მაგონდება ჟოპულარული ტელეგადაცემა „მე-12 სართული". ერთ-ერთ მათგანში ბიუროკრატებს შეუტიეს, სამინისტროები გააკრიტიკეს, სამეცნიერო ცენტრებს უსაყვედურეს. „კიბეზე" მსხდომ თექვსმეტი წლის ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ყოველივე ეს საშინლად მობეზრდათ და პირდაპირ განწირული ყვირილი ატეხეს: — ჩვენ არ გვესმის, რაზე კამათობთ და რას ედავებით ერთმანეთსო. ჩვენ ეს სრულებით არც კი გვაინტერესებს და სიტყვა მოგვეცით, მოგვისმენეთ მაინცო.

აი, ასე. არ გვაინტერესებსო.

რა ვქნათ?

ხმა ჩავუმინდოთ? არაფერი ვათქმევინოთ? და არც მოვუსმინოთ?

არა. ასე არ ივარგებს.

ერთმანეთს უნდა მოვუსმინოთ და გავუგოთ.

მაგრამ, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ შვილის ყველა სურვილი და მომთხოვნი პრეტენზიები მორჩილად დავაკმაყოფილოთ კარგი სწავლის ან ყოფაქცევის სანაცვლოდ. ასეთი აღებ-მიცემობის მანკიერ პრაქტიკას ზიანის მეტი არაფერი მოაქვს. უაზრო დროსტარებით და გამორჩეული ჩაცმა-დახურვით გატაცებას დროულად სჭირდება მტკიცე წინააღმდეგობის გაწევა იმ ამხანაგების მშობლებთან ერთად, ვის წრეშიც შენი შვილი ტრიალებს.

შრომისმოყვარეობისა და ზომიერი მოთხოვნილებების აღზრდაა ის „ძალიან მთავარი", რომელიც არ შეიძლება, გამოგვრჩეს, რამეთუ სწორედ მათი შეუფასებლობა ხდება ხოლმე ფათერაკის მიზეზი. ამის მაგალითები, სამწუხაროდ, საკმარისზე მეტია.

ცხადია, ყველანი არ დაეთანხმებიან საუბრის მონაწილეთა ზოგიერთ მოსაზრებას. არც ჩემსას. მაგრამ, ეს არ უნდა გაგვიკვირდეს. აზრთა სხვადასხვაობამ საფიქრალი უნდა აღძრას და საკუთარი, დამოუკიდებელი აზრი შვას.

ეს არის მთავარი.

ოთარ ქინქლაძე

ა. გოლოვანოვი,
ავიაციის მთავარი მარშალი

ეროვნული

ა. ე. გოლოვანოვი დიდი სამამულო ომის წლებში შორი მოქმედების ავიაციის სარდალი იყო. იგი თავის მოგონებებში, რომელიც ყურნალ „ოქტიაბრის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა, მოგვითხრობს ხაბჭოთა ბომბდამშენი ავიაციის მიერ ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებაში შეტანილ თვალსაჩინო წვლილზე.

„დროშის“ მკითხველებს ვთავაზობთ ნაწყვეტს ამ მოგონებებიდან, რომლის თარგმანიც ეკუთვნის თეიმურაზ ჯანგულაშვილს.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1941 წლის 30 ნოემბრის დადგენილებით და შემდეგ თავდაცვის სახალხო კომისრის ბრძანებით 81-ე საავიაციო დივიზია გარდაიქმნა შორი მოქმედების მე-3 საავიაციო დივიზიად უმაღლესი მთავარსარდლობის ზანაკისადმი უშუალო დაქვემდებარებით, ხოლო მისი ხელმძღვანელობა დაიწყო პირადად სტალინმა. შემდგომში სტალინი სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენდა შორი მოქმედების ავიაციისადმი.

გაძლიერდა ჩვენი ავიაციის საბრძოლო მოქმედება, მათ შორის ჩვენი დივიზიის დარტყმები უკანდახეულ მტერზე, მის ზურგსა და კომუნიკაციებზე. დივიზია უფრო აქტიურად შეუდგა ღამის საბრძოლო მოქმედებას ცალკეული ეკიპაჟებით. სულ უფრო მეტი თვითმფრინავები გამოიყოფოდა მატარებლებზე სანადიროდ, აეროდრომებზე მოულოდნელი იერიშების მისატანად, გზებსა და ოპერატიულ ზურგებში მოწინააღმდეგის ჯარებისა და ტექნიკისათვის დარტყმების მისაყენებლად. იზრდებოდა საბრძოლო შემადგენლობა და თვითმფრინავთა პარკი. დივიზია იღებდა ახალ ამოცანებს. ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობად იქცა პარტიზანების კავშირისა და კვების უზრუნველყოფა, კავშირი ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებთან და აგრეთვე ბულგარეთის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე მოქმედ წინააღმდეგობის ძალებთან. ამავე დროს დიდდებოდა „ჩვეულებრივი“ სამუშაოს მოცულობა — მოწინააღმდეგის ღრმა ზურგში თავდასხმები და ჩვენი სახმელეთო ჯარებისათვის დასახმარებელი საბრძოლო მოქმედება.

მალე შივიღე სტალინის ბრძანება დივიზიის შტაბის მოსკოვში გადაყვანის შესახებ.

— ძალზე დიდი დრო გეკარგებათ მისვლა-მოსვლაში, — თქვა სტალინმა.

მე ვიდექი და შემდგომ მითითებებს ველოდი.

— თქვენთვის რაიმე გაუგებარია? — მკითხა მან.

— ყველაფერი გასაგებია, ამხანაგო სტალინ, — ვუპასუხე მე, — მაგრამ იმისათვის, რომ მოსკოვში გადმოვიდეთ, ადგილია საჭირო.

სტალინმა თავი დააქნია და თქვა:

— ეს მართალია. — ტელეფონთან მივიდა, სადღაც დარეკა: — ახლა თქვენთან მოვა გოლოვანოვი, თქვენ მას იცნობთ? ჰოდა, მაშ, კარგი. განალაგეთ იგი მოსკოვში. — და მე მომიბრუნდა: — თქვენ იცნობთ ხრულოვს?

თანხმობის ნიშნად თავი დავიქნიე.

— წადით მასთან. თქვენ ის მოგაწყობთ.

სტალინის კაბინეტიდან გამოსულმა დავაზუსტე, თუ სად იმყოფებოდა ანდრია ვასილის ძის შტაბი და მასთან წავედი. მე მას მხოლოდ ტელეფონზე ლაპარაკით ვიცნობდი და პირადად არასოდეს მენახა. პირველი სიტყვებიდანვე მოგზიბლავდათ ეს მოძრავი და ენერგიული კაცი. ალბათ, იგი გულისხმობდა, რომ მოსკოვში პირადად მე უნდა მიმეღო საცხოვრებელი ბინა და მკითხა, ოჯახში რამდენი ხართო, მაგრამ როცა გაიგო, რომ საჭირო იყო მთელი შტაბის გადმოყვანა, ჩაიცვა და მითხრა, მასთან ერთად წავსულიყავი.

მრავალი სხვადასხვა შენობა მოვიარეთ. ყველაზე მეტად ჟუკოვსკის სახელობის აკადემიის შენობა იყო ხელსაყრელი. იგი უშუალოდ ცენტრალურ აეროდრომთან მდებარეობდა, რაც დივიზიის ნაწილებთან სწრაფი, ოპერატიული დაკავშირების საშუალებას იძლეოდა, მაგრამ ეს შენობა დაკავებული იყო. მე წამოვიჩივლე და ვთხოვე, აეროდრომის მახლობლად მოგვეძებნა შენობა.

— რატომ ვეძებოთ? — თქვა ანდრია ვასილის ძემ. — ხელს გაძლევთ აკადემიის შენობა?

— რა თქმა უნდა, — ვუპასუხე.

— ჰოდა, მაშ, გადმოდით.

— მერედა, მას ჩქარა გაათავისუფლებენ?

— თქვენ როდის შეძლებთ გადმოსვლის დაწყებას?

— თუნდაც ხვალ.

— ჰოდა, გადმოდით. შენობა ხვალისათვის თავისუფალი იქნება.

„აი, ორგანიზაციაც ამას ჰქვია“, — გავიფიქრე.

მეორე დღეს სტალინმა დარეკა და იკითხა, მოსკოვში ვიყავით თუ არა.

ასე მოულოდნელად და სწრაფად განლაგდა ჩვენი შტაბი ახალ ადგილზე ჟუკოვსკის სახელობის აკადემიაში, სადაც იგი ომის მთელ მანძილზე დარჩა.

აქ მინდა, ვილაპარაკო სტალინის ზოგიერთ პირად თვისებასა და მუშაობის სტილზე. ვფიქრობ, ამის ცოდნა მკითხველს გაუადვილებს, გაიგოს ესა თუ ის მოვლენა ან ფაქტი, რომლებსაც იგი ჩვენი მომავალი თხრობის სხვადასხვა ადგილას შეხვდება. თქვენთვის შეეძლოთ, და ერეკათ დღე-ღამის ყოველ დროს [illegible] გორც წესი, რეკავდა თვითონ სტალინი ან პოსკრებიშევი, რომელიც მუდამ მასთან ერთად იმყოფებოდა მაშინაც, როცა სტალინი დასასვენებლად მიდიოდა და მაშინაც, როცა მუშაობდა.

თუ თვითონ სტალინი დარეკავდა, ჩვეულებრივად მოგესალმებოდათ, საქმის ამბავს გამოგკითხავდათ და თქვენი პირადი გამოცხადების აუცილებლობის შემთხვევაში არასოდეს არ იტყოდა: „მე თქვენ მჭირდებით, მოდით“, ანდა რაიმე ამის მსგავსს. იგი მუდამ გკითხავდათ: „შეგიძლიათ თუ არა ჩემთან მოსვლა?“ — და დადებითი პასუხის მიღების შემდეგ, იტყოდა: „მოდით, გეთაყვა“, მაგრამ თქვენ არასოდეს იცოდით, რისთვის და რა საკითხებზე მიდიოდით. თუ პოსკრებიშევი დარეკავდა და მას ჰკითხავდით, მუდამ ერთი და იგივე პასუხს მიიღებდით: „არ ვიცი“. ერთადერთი, რითაც შეგეძლოთ ცოტად თუ ბევრად ორიენტირება, ეს იყო შეკითხვა: „კიდევ ვინ არის სტალინთან?“. ამ დროს მუდამ მიიღებდით ზუსტ პასუხს, მაგრამ ეს ცოტას გშველოდათ. სტალინთან ყოფნისას თქვენ შეგეძლოთ, წასწყდომოდით რომელიც გნებავთ საკითხს, რაც, რა თქმა უნდა, თქვენს მოვალეობასა და კომპეტენციაში შედიოდა, და ვალდებული იყავით, ამომწურავი პასუხი გაგეცათ. თუ პასუხისათვის მოუმზადებელი აღმოჩნდებოდით, გაძლევდნენ დროს, რათა პირდაპირ მისაღებიდანვე ტელეფონით დაგეზუსტებინათ აუცილებელი ციფრები, ფაქტები, თარიღები, დეტალები. თუ კი აღმოჩნდებოდა, რომ გიჭირთ პასუხის გაცემა თქვენი მოვალეობის ძირითად საკითხებზე, რომლებიც ეხებოდა თქვენს დაქვემდებარებულ ნაწილებსა და შენაერთებში საბრძოლო მუშაობას, მატერიალურ ნაწილს, მეთაურთა შემადგენლობას და ასე შემდეგ, პირდაპირ გეტყოდნენ, რომ არ აკეთებთ თქვენს საქმეს, არ იცით იგი და, თუ კვლავაც ასე გაგრძელდება, პოსტი უნდა დატოვოთ.

ამხანაგ სტალინის დამახასიათებელი, მე ვიტყოდი, საოცარი თვისება ის იყო, რომ დღეს უსაზღვროდ გახარებული ამა თუ იმ წარმატებით, ხვალისთვის ამ წარმატებას უკვე განიხილავდა რაღაც თავისთავად გასაგებ მოვლენად, ხოლო ზეგ წარმატების „დამნაშავეს“ ეკითხებოდნენ, თუ რას ფიქრობდა მომავლისათვის. ამრიგად, არავის, დიდად ავტორიტეტულ ამხანაგსაც კი, არ აძლევდნენ მოპოვებული წარმატების შემდეგ განცხრომის საშუალებას. ი. ბ. სტალინი გულითადად და ჯეროვნად აფასებდა ადამიანს, რომელმაც რაიმე მნიშვნელოვანი საქმე შეასრულა და მას შემდგომი ნაბიჯის გადადგმას უბიძგებდა. ეს მისი დამახასიათებელი თვისება ადამიანებს თვითდამშვიდებისა და ადგილზე ტკეპნის უფლებას არ აძლევდა. ყველამ იცოდა აგრეთვე რომ, მისი ყოველგვარი დამსახურების მიუხედავად, ყოველმხრივ აგებდა პასუხს, თუ შეეძლო რაიმე გაეკეთებინა და არ გააკეთა. ყოველგვარ მოძიზეზებას, რომელიც, სამწუხაროდ, მუდამ მოგვეპოვება, სტალინისათვის არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა. თუ კაცი რაიმეში შეცდა, მაგრამ მოვიდა და ყველაფერი პირდაპირ განაცხადა, — როგორი მძიმეც

უნდა ყოფილიყო შეცდომის შედეგები, ამას არასოდეს არ მოსდევდა სასჯელი. მაგრამ ვაი იმას, ვინც რაიმეს გაკეთებას მოჰკიდებდა ხელს, არ აკეთებდა და ათასნაირ ახსნა-განმარტებას დაიწყებდა. ასეთი ადამიანი მაშინვე კარგავდა თავის პოსტს. სტალინი ყბედებს ვერ იტანდა. მისგან ბევრჯერ გამიგონია, რომ ადამიანი, რომელიც თავის სიტყვას არ შეასრულებს, უპირია. ასეთ ადამიანებზე ხიზღით ლაპარაკობდა. და პირიქით, პატივისცემით სარგებლობდნენ თავისი სიტყვის პატრონები. იგი ზრუნავდა მათთვის, ზრუნავდა მათი ოჯახებისათვის, თუმცა ამაზე არასოდეს ლაპარაკობდა და ამას ხაზს არ უსვამდა. თვითონ მთელ დღე-ღამეებს მუშაობდა და სხვებისგანაც მუშაობას მოითხოვდა. ვინც იტანდა, მუშაობდა, ვინც ვერც იტანდა — მიდიოდა.

ფენომენალური იყო სტალინის შრომისუნარიანობა ომის დროს. და ის ხომ უკვე ახალგაზრდა აღარ იყო, სამოც წელს იყო გადაცილებული. მას ჰქონდა იშვიათი მეხსიერება, საოცარი იყო მისი ცოდნა ყოველ დარგში, რასაც კი იგი შეეხებოდა. მე, მფრინავი, ომის დროს ჩემს თავს ვთვლიდი სრულიად განათლებულ კაცად ყველაფერში, რაც კი ავიაციას შეეხებოდა, და უნდა ვთქვა, რომ სტალინთან სპეციალურ საავიაციო საკითხებზე საუბრისას ჩემ წინ ყოველთვის ვხედავდი თანამოსაუბრეს, რომელიც ჩემზე ნაკლებ არ ერკვეოდა მათში. ასეთივე გრძნობებს განიცდიდნენ სხვა ამხანაგებიც, — არტილერისტები, ტანკისტები, მრეწველობის მუშაკები, კონსტრუქტორები, რომლებთანაც კი ამ თემაზე მქონია საუბარი. მაგალითად, ნ. ნ. ვორონოვი, შემდეგში არტილერიის მთავარი მარშალი, სტალინთან ცხადდებოდა უბის წიგნაკით, რომელშიც შეტანილი იყო ყველა ძირითადი მონაცემი ნაწილებისა და შენაერთების რაოდენობაზე, საარტილერიო სისტემების ტიპებზე, ჭურვებზე და ა. შ. მოხსენების დროს ის წინასწარ ჩაიხედავდა ამ წიგნაკში, მაგრამ ხშირი იყო შემთხვევა, როცა სტალინი მას უსწორებდა — უმაღლესმა მთავარსარდალმა ყველა ეს მონაცემი ზეპირად იცოდა — და ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს ბოდიშის მოხდა უხდებოდა. ერთხელ გ. კ. ჟუკოვი, რომელიც მაშინ დასავლეთის ფრონტის სარდალი იყო, მოხსენებით ჩამოვიდა მთავარბანაკში. გაშალეს რუკები, დაიწყო მოხსენება. სტალინი, როგორც წესი, მოლაპარაკეს არასოდეს აწყვეტინებდა სიტყვას. მოხსენების დამთავრების შემდეგ მან რუკაზე თითით უჩვენა ერთი ადგილი და ჰკითხა:

— ეს რაღა არის?

გიორგი კონსტანტინეს ძე რუკაზე დაიხარა, ოდნავ გაწითლდა და უპასუხა:

— ოფიცერმა, რომელმაც რუკაზე ფრონტის მდგომარეობა შეიტანა, აქ არასწორად გაავლო თავდაცვის ხაზი. ეს ხაზი გადის აქ. — და მან უჩვენა მოწინავე ხაზის ზუსტი ადგილი (რუკაზე თავდაცვის ხაზი ნაწილობრივ ჭაობებზე გადიოდა).

— სასურველია, რომ აქ ზუსტი მონაცემებით მოდიოდნენ, — შენიშნა სტალინმა.

ეს ყოველი ჩვენგანისათვის საგნობრივი გაკვეთილი იყო. მოდი და აქ „გლობუსის მიხედვით იბრძოლე“.

მე სტალინი არა ერთ დღეს და არა ერთ წელიწადს მინახავს და უნდა ვთქვა, რომ მის ქცევაში ყველაფერი ბუნებრივი იყო. ხანდახან მასთან ვკამათობდი, ჩემსას ვუმტკიცებდი, ხოლო რამდენიმე ხნის, თუნდაც ერთი ან ორი წლის შემდეგ ვრწმუნდებოდი: დიახ, მაშინ ის იყო მართალი და არა მე.

ერთხელ როგორღაც ფიცხად ვუთხარი:

— რა გინდათ ჩემგან? მე უბრალო მფრინავი ვარ.

— მე კი უბრალო ბაქოელი პროპაგანდისტი. — მიპასუხა მან და დაამატა: — თქვენ ასე მხოლოდ ჩემთან შეგიძლიათ ლაპარაკი. სხვასთან არავისთან ასე არ ილაპარაკებთ.

მაშინ მე ყურადღება არ მივაქციე რეპლიკის დამატებას და იგი ჯეროვნად გაცილებით გვიან შევაფასე.

უმაღლესი მთავარსარდლის სიტყვა გაუტეხელი იყო. მასთან ამა თუ იმ საკითხის განხილვის შემდეგ ჩვენ თამამად შევუდგებოდით მინდობილი საქმის შესრულებას. აზრადაც არავის მოუვიდოდა, რომ შემდეგ მას ეტყოდნენ, შენ სწორად ვერ გაგიგიაო. აქ კი, როგორც ცნობილია, უდიდესი მნიშვნელობის საკითხები წყდებოდა. სიტყვიერად, ესე იგი ზეპირი ფორმით, გაიცემოდა განკარგულებები საბრძოლო გაფრენებზე, დაბომბვის ობიექტებზე, საბრძოლო წესებზე და ასე შემდეგ, რომლებიც მერე საბრძოლო ბრძანებებად ფორმდებოდა. და არ მახსოვს შემთხვევა, ვინმეს რაიმე არეოდეს ან არ შეესრულებინოს ისე, როგორც საჭირო იყო.

სტალინი ზუსტი იყო წვრილმანებშიც კი. თუ თქვენ მის წინაშე ესა თუ ის საკითხი დასვით და მან გითხრათ, რომ მოიფიქრებს და დაგირეკავთ, შეგიძლიათ, ეჭვი არ შეგეპაროთ: გავა საათი, დღე, კვირა, მაგრამ ზარი აუცილებლად დაირეკება და თქვენ პასუხს მიიღებთ. რა თქმა უნდა, არა აუცილებლად დადებითს.

როგორღაც პირველ ხანებში, როცა ჯერ კიდევ არ ვიცნობდი სტალინის მუშაობის სტილს, მას შევახსენე შორეული გაფრენებისათვის დიზელების გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხის განხილვის აუცილებლობა. იმ დროისათვის ძალიან ჭირდა საავიაციო ბენზინი, ხოლო დიზელებს, როგორც ცნობილია, შეეძლოთ ნავთით მუშაობა. დიზელების გამოყენების შედეგები კი ძალიან წინააღმდეგობის შემცველი იყო: ზოგი თვითმფრინავი შესანიშნავად ფრინავდა, სხვებს ძრავა უმტყუნებდათ და საბრძოლო დავალების შეუსრულებლად ბრუნდებოდნენ უკან. ჩვენთან კი პე—8 (ტბ—7) თვითმფრინავების გარდა, დიზელებით მუშაობდა ბევრი ერ—2 ბომბდამშენი, რომლებსაც კარგი ტექნიკური მონაცემები ჰქონდათ. მათი დაკარგვა შეუძლებელი იყო.

— თქვენ ამაზე უკვე მელაპარაკეთ, — მიპასუხა სტალინმა, — და მე შეგპირდით ამ საკითხის გარკვევას. მოთმინება იქონიეთ. არის უფრო მნიშვნელოვანი საქმეები.

საკმაოდ დიდი დრო გავიდა და მე ვაპირებდი, კიდევ ერთხელ შემეხსენებინა, მაგრამ ტელეფონით ლაპარაკის დროს სტალინმა მითხრა:

— მოდით, თქვენი დიზელების განხილვის რიგიც მოვიდა.

ამრიგად, ჩემი იქ ყოფნის დროს მასთან შორი მოქმედების ავიაციის სხვადასხვა საკითხის გადაწყვეტისას, ავიაციისა, რომელიც სულ უფრო დიდ როლს ასრულებდა გერმანულ ფაშიზმთან ომში, და მრავალი სხვა საკითხის გადაჭრისას, სულ უფრო უკეთ ვეცნობოდი მას, როგორც პიროვნებას. მაგალითად, საკმაოდ ჩქარა დავინახე, რომ სტალინს აბ[illegible] ვალსიტყვაობა. მოითხოვ[illegible] არსის მოკლედ გადმოცემას. გრძელ სიტყვას ვერ ითმენდა და ასეთ სიტყვას თვითონ არასოდეს წარმოთქვამდა. მისი შენიშვნები და გამოთქმები უკიდურესად მოკლე, აბსოლუტურად ნათელი იყო. ქაღალდების წაკითხვისას ხელთ ფანქარი ჰქონდა, ასწორებდა ორთოგრაფიულ შეცდომებს, სვამდა სასვენ ნიშნებს, ხოლო „განსაკუთრებით თვალსაჩინო“ ქაღალდებს უკან უბრუნებდა ავტორს. ჩვენ მთავარბანაკში ყოველდღე წარვადგენდით ხოლმე საბრძოლო მოხსენებებს ჩვენს მოქმედებაზე და ვიდრე მათ ხელს მოვაწერდით, რამდენჯერმე ვკითხულობდით, ამასთან, უშაკოვის ლექსიკონი ჩვენი სამაგიდო წიგნი იყო.

ომის ყველაზე მძიმე დროსაც კი სტალინს ყველაფერში უყვარდა წესრიგი და სხვებისგანაც ამას მოითხოვდა.

ერთხელ მ. თ. გორკინმა, რომელიც მაშინ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი იყო, ახალი კანონის პროექტი მოიტანა განსახილველად. აღარ მახსოვს ამ კანონის დედაარსი. კარგად მახსოვს მხოლოდ ის, რომ იგი სულ ათი-თხუთმეტი სტრიქონისაგან შედგებოდა. მრავალჯერ გადაიკითხეს იგი და ყოველი წაკითხვისას იბადებოდა კითხვა: ხომ არ შეიძლება, ეს კანონი აიხსნას სხვანაირად, არა ისე, როგორც იგი ჩაფიქრებულია? და ყოველთვის აღმოჩნდებოდა, რომ შეიძლება. ლამის ორი საათი გავიდა, ვიდრე ბოლოს და ბოლოს, არ მიაღწიეს იმას, რომ უკვე აღარავის შეეძლო, სხვა ახსნა წამოეყენებინა ან გამოეთქვა.

დადგენილებების თუ გადაწყვეტილებების სახით გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი წერილობითი დოკუმენტები განსაკუთრებული გულმოდგინებით მუშავდებოდა, არაერთხელ განიხილებოდა და მხოლოდ მრავალგზის წაკითხვის, შესწორების, კრიტიკული შენიშვნების შემდეგ სუფთად გადაიბეჭდებოდა და მოეწერებოდა ხელი. სტალინი ასეთი დოკუმენტების გამო ამბობდა: „იფიქრე დღე, თუ ცოტაა — კვირა, თუ ესეც ცოტაა — თვე და თუ ესეც ცოტაა — წელიწადი. მაგრამ, როცა ყველაფერზე იფიქრებ, ხელს მოაწერ და გამოსცემ, აზრად არ გაივლო მისი შეცვლა“.

თუ ყურადღებას მიაქცევთ დოკუმენტებს, რომლებსაც იმ დროს ეწერებოდა ხელი, ნახავთ, რომ სტალინი მკაცრად იცავდა უფლებრივ ნორმებს და თუმცა მთავრობის თავმჯდომარე და ჩვენი პარტიის გენერალური მდივანი იყო, იგი, დოკუმენტისდა მიხედვით, ამ დოკუმენტის ქვეშ ხანდახან მესამე ხელმოწერის დასმითაც თავმდაბლურად კმაყოფილდებოდა.

სტალინის საქმიანი ლექსიკონიდან გამორიცხული იყო სიტყვა „მე“. საერთოდ, არ არსებობდა ისეთი გამოთქმები, როგორიც არის: „მე მივეცი მითითება“, „მე გადავწყვიტე“ და სხვა მათი მსგავსი, თუმცა ჩვენ ყველამ ვიცით, თუ როგორი წონა ჰქონდა სტალინს და რომ სახელდობრ მას, და არა სხვა ვინმეს, შეეძლო იმ დროს, ელაპარაკა პირველი პირით.

სტალინს არ უყვარდა, რომ მასთან ნალაპარაკევი მისი კარის ზღურბლს გასცილდებოდა. ნაპოლეონი ამბობდა, რომ საიდუმლო საიდუმლოა მანამდე, ვიდრე იგი

ზამთარი

...აგვიან გოგებაშვილი.

ბუნების კარი

მესამე და მეოთხე წლისათვის.

ოცდაშვიდეს გამოცემა (110,000).

შეესებული ახალი განყოფილებით — „კეფრამრამა". მრავალი სურათით, საქართველის ახალი ერცელ კარტი და ეროპის პატარა კარტია.

ფასი ეღირა 70 კაპ.

თბილისი, 1912.

ზამთარში მზე თუმცა ანათებს ქვეყანას, მაგრამ ძალიან ნაკლებად ათბობს. ცაში მზე ძლიერ ცოტა ხანს რჩება, გვიან ამოდის, ადრე ჩადის; დღე ძალიან პატარაა, ღამე კი მეტად დიდი. ამიტომ ზამთარში ცივა. ჩვენს საქართველოში ზამთარი გრძელი არ იცის, ბევრი, ბევრი სამი თვე გასტანოს: დეკემბერი, იანვარი და თებერვალი. მაგრამ სხვა ქვეყნებში, რომელიც ჩვენგან ჩრდილოეთისკენ არის, ზანგრძლივი ზამთარი იცის. მაგალითად, რუსეთში ხუთ-ექვს თვეს გასტანს ხოლმე და მასთან დიდი ყინვები დგას. ჩვენს ქვეყანაში კი ზამთრობით ზომიერად ცივა; ხან ისე გაივლის მთელი ზამთარი, რომ მიწაზედ დადებული თოვლი ორჯერ თვალით ვერა ვნახოთ. მაგრამ ამისთანა ხმელი ზამთარი ჭირნახულს ძლიერ ახდენს. თოვლიანი ზამთარი სასარგებლოა; თოვლს ქვეშ უფრო თბილა, თოვლი მიწაში ჰაერის ყინვას არ უშვებს; ამიტომ როცა ნათესს ზევიდან თოვლი აძევს, უფრო თბილა, საღად ინახება და ზაფხულში კარგი მოსავალი მოჰყავს.

ცივ ზამთარში მდინარეები მთლად იყინება და ყინულზე გადი-გამოდიან ქვევითა კაცები. მინდორი ამ დროს სულ ტიტველაა და ზედ ცივი ქარი თავისუფლად დასეირნობს. ხეებს შემოდგომაზე ფოთლები სცვივა და ზამთარში გაშიშვლებული დგას. ტოტებზე ფოთლების მაგივრად თოვლის ბარდანები და ყინულის ლოლუები ჰკიდია. ტიტველა ტყიდან მწვანედ მარტო ფიჭვი და ნაძვი მოჩანს.

ზამთარში ტყე და მინდორი დაობლებული დგას, სულდგმულით ძლიერ ღარიბი არის. მწერი ამ დროს სრულიად გამქრალია: არსადა ჩანს არც ბუზი, არც კოღო, არც სხვადასხვა ჭიები. სად არიან? ზოგნი დაიხოცნენ, მხოლოდ მიწაში ჩაფლეს თავისი კვერცხები, რომელთაც გაზაფხულის მზე გამოჩეკს: ზოგი ძირს მიწაში ღრმად ჩაძვრა და იქა ცხოვრობს მთელ ზამთარს. ასე სჩადიან ჭიანჭველები და სხვა ამგვარი მწერები. ცოცხალ მწერებს მთელ ზამთარს განუწყვეტლივ სძინავთ და მხოლოდ მაშინ იღვიძებენ, როცა გაზაფხულის მზე მიადგებათ.

უმეტესი ნაწილი ფრინველებისა ამ დროს თბილ ქვეყნებში ატარებს ცხოვრებას. ზოგი ფრინველები ჩვენთან არიან დარჩენილნი, მაგრამ ისინიც მყუდრო და თბილ ადგილებს ეძებენ და მინდორში იშვიათად გადიან. სიცივე და უსაჭმლობა სრულიად უკარგავს ჩვეულებრივ სიმხიარულესა და სიცელქეს. მომეტებული ნაწილი დაღონებული და ფრთებჩამოშვებულია. რადგანაც ფრინველები მინდორში საჭმელს ვერა შოულობენ, სოფლების ახლო ბინავდებიან. კაჭკაჭები, ყვავები და ჩიტები საბძლებს ძლიერ ეტანებიან. რისთვის? იმისთვის, რომ საბძელში ბზეს პურის მარცვლები ურევია. ბზესა ჭექავენ, მარცვლებსა პოულობენ და იმით იკვებებიან. მაგრამ ძვირად უჯდებათ საჭმლის შოვნა, მეტადრე ჩიტებს: სოფლის ბიჭები საბძლის ბოლოს ბადეს უგებენ, ქარებიდან უქშევენ და ბევრ ჩიტს იჭერენ. საცოდავი სანახავები არიან სიცივეში ჩიორები. სადღაა იმათი ზაფხულის ციბრუტივით ტრიალი, მარდი ხტუნვა, ცქვიტი ფრენა და მხიარულად ყივილ-ხივილი. სიცივე ყველაფერს ავიწყებს. ჩიტები მობუზულნი და მშიერნი საბძლის საყავეზედა სხედან და საცოდავი ხმით ჭყივიან. ვერ იქცევიან ჭკვიანად, რომ სხვა ფრინველებს სამხრეთის ქვეყნებში არ გაჰყვებიან ხოლმე.

ნადირთა უმეტესი ნაწილიც ზამთარში ბუნაგებსა, სოროებსა და ხის ფუღუროებს მოსძებნის ხოლმე. აქ ნადირნი დიდი სიცივის დროს ხანგრძლივ ძილს ეძლევიან; მაგალითად: ზღარბი, დათვი, ვირთაგვა და სხვანი. ცოყვი კი ზამთარს ბევრს არას ეპუება და თავის მოძრავ ცხოვრებას არც სიცივეში იშლის. ზაფხულში ბლომად შეაგროვა კაკალი, ზამთარში ხის ფუღუროში ზის, მხიარულად ამტვრევს და შეექცევა. შინაური პირუტყვები ამ დროს თბილ ბოსლებში უბიან: ცხენები, კამეჩები, ხარები, ძროხები და ცხვრები სიცივისა და შიმშილისაგან დაიხოცებოდნენ, ზამთარში რომ გარეთ ცხოვრობდნენ, მინდვრის ნადირი კი დიდს შეწუხებაშია. სიცივე და შიმშილი ზამთარში ჩაამხამებს ხოლმე იმათ ზაფხულში ტკბილად გატარებულ დროს. შიმშილისაგან გაცოფებული მგელი მთელი დღე და ღამე ტიტველა მინდორში დარბის, მაგრამ ბევრს ვერაფერს შოულობს; მეცხვარეს ცხვარი მაგარ ბოსელში ჰყავს, მეღორეს ღორი საღორეში უმწყვდევია, თიკნისა და გოჭების ხორცით პირს ვეღარ იტკბარუნებს; მთელი ღამე მინდორში დაწანწალებს, იქნებ გარეთ სადმე ცხენი ან სხვა შინაური პირუტყვი დარჩენილიყოსო. თუ გლეხკაცს მართლა საქონელი როგორმე გარეთ დარჩა, იმედი უნდა გადაიწყვიტოს: უთუოდ მშიერი მგლის წერა გახდება. შიმშილი მგელს დიდ გაბედულებას აძლევს: ღამ-ღამე სოფელში შემოვარდება ხოლმე და ცდილობს, ან ღორი მოიტაცოს, ან ბატი. ამ დროს მგელი გლეხკაცს ბევრ ზარალს აძლევს. არც გლეხკაცი აყრის ხეირს: ბევრი მგელი ტყვიის წერა გახდება ხოლმე.

ზამთარში გლეხკაცს ისე ბევრი საქმე არა აქვს, როგორც სხვა დროს, მაგრამ უსაქმოდ კი არც ეხლა რჩება. მოახლოვდება თუ არა ზამთარი, გლეხკაცი ზამთრულად მოეწყობა ხოლმე. ზაფხულში და შემოდგომაზე პური და ღვინო მოიმზადა, ახლა უნდა შეშაც საკმაოდ მოიტანოს. თუ ჯერ თოვლი არ არის დადებული, გლეხკაცი ურმით მიდის შეშაზედ; თუ თოვლი ძევს, მაშინ შეშა მარხილით მოაქვს...

ზამთარი დასვენების დროა მხოლოდ იმ გლეხ-კაცისთვის, რომელსაც საკმაოდ აქვს პური, ღვინოც, შეშაც და თბილს სახლშიაცა ცხოვრობს.

ერთმა კაცმა იცის. სტალინთან საიდუმლო ორმა კაცმა იცოდა: მან და იმან, ვისთანაც საუბარი წარმოებდა. მაგრამ თუ იგი რომელიმე ამხანაგს საუბრის შემდეგ გააფრთხილებდა „ამის შესახებ იცით თქვენ და მე",—შეგეძლოთ, დარწმუნებული ყოფილიყავით, რომ არც ერთი კაცი არავის არაფერს ეტყოდა იმ საუბრის შესახებ და საიდუმლო საიდუმლოდ დარჩებოდა. ყოველ შემთხვევაში, მე არ ვიცნობ ისეთ ადამიანებს, რომლებიც მესამე პირს განდიდნენ ამ საიდუმლოს მფლობელად.

სტალინი ძალზე ყურადღებიანი იყო იმათ მიმართ, ვინც მასთან მუშაობდა. ანგარიშს უწევდა იმას, რომ ომში შეიძლება ყველაფერი მოხდეს.

ცნობილია, რომ მარშალი ი. ს. კონევი ფრონტზე წარუმატებლობის გამო (ლაპარაკია ორმოცდაერთსა და ორმოცდაორ წლებზე) ორჯერ ჩავარდა ძალიან ძნიმე მდგომარეობაში. და სტალინმა, რომელიც ხედავდა, რომ ომში ხანდახან იქმნება ისეთი ვითარება, როდესაც ერთ კაცს, რაც უნდა ყოვლისმცოდნე იყოს, პირადად არაფრის გაკეთება არ შეუძლია, ორჯერვე დაიცვა იგი. უნდა ითქვას, რომ ივანე სტეფანეს ძე კონევმა თავი გამოიჩინა, როგორც გასაოცრად მამაცმა ადამიანმა. მაგალითად, როცა კალინინის ფრონტს სარდლობდა, ცნობა მიიღო, რომ ერთ-ერთმა ასეულმა დატოვა თავისი პოზიციები და უკან დაიხია. იგი იქ გაემგზავრა, ბრძოლას პირადად უხელმძღვანელა და აღადგინა ძველი მდგომარეობა. მართალია, მე ვიყავი მოწმე, თუ როგორ ლანძღავდა სტალინი მას ასეთი საქციელისათვის, უსაყვედურებდა, რომ სარდლის საქმე არ არის, პირადად მოჰკიდოს ხელი იმ საკითხებს, რომლებიც უკეთეს შემთხვევაში პოლკის მეთაურებმა უნდა გადაწყვიტონ, მაგრამ სტალინი მამაც ადამიანებს დიდად აფასებდა და პატივსა სცემდა.

ილია შტემლერი



მთარგმნელისაგან. ცხოვრება რთულია. ადამიანი ყოველთვის იქ არ კვდება, სადაც იბადება. დიახ, ადამიანის „მომთაბარული“ ცხოვრება ძალზე ფართო მასშტაბებს იღებს — დღეს რომ აქაა, ხვალ, მოვლენათა თითქმის ბუნებრივი ლოგიკით, სულ სხვაგან, გუშინ გონების თვალიც რომ ძნელად მიწვდებოდა, იქ იდებს ბინას. ყოველივე ამას ახლავს რთული, ხშირად დრამატული ურთიერთობები ახალ და ახალ ადამიანებთან. ფაქტიურად უძნელეს გამოცდას აბარებ როგორც პიროვნება და შენი ერის შვილი (გინდა, თუ არ გინდა, თვალსაჩინო ხარ თუ „რიგითი“, ყველგან და ყოველთვის შენს ერს წარმოადგენ).

ილია შტემლერის რომან „მატარებლის“ (მისი საეურნალო ვარიანტი გამოქვეყნდა ჟურნალ „ნოვი მირის“ 1986 წლის მერვე-მეცხრე ნომერში) მთავარი გმირი აპოლონ კაციტაძე ცხოვრებამ მკაცრად გამოსცადა — გამოსცადა მისი ზნეობა, მისი, ახე ვთქვათ, გენი. აპოლონი ის ადამიანი არ გახლავთ, ვინც არასოდეს ცდება, ვინც ყოველთვის იცის, როგორ უნდა მოიქცეს, ვინც თავისი ძლიერი ნებისყოფითა და იშვიათი ანალიტიკური გონებით იმორჩილებს განურჩევლად ყველას. არა, ის საკუთარ ოჯახშიც კი ვერ ამბობს მთლად ხმამაღლა იმ სიტყვას, რისი თქმის უფლებაც მას წმინდა ადამიანური თვალსაზრისითაც და, ახე ვთქვათ, იურიდიულად დაშვებული ნორმებითაც აქვს.

აპოლონ კაციტაძე არის რკინიგზელი, შვილი რკინიგზელისა. ავტორი ზედმიწევნით იცნობს ამ სამყაროს, რომელიც არც მხოლოდ სამოთხეა და არც მხოლოდ ჯოჯოხეთი, მაგრამ, რა დასამალია (ყოველ შემთხვევაში, ავტორი არ მალავს), პოზიტიურისა და ნეგატიურის, წალმართისა და უკუღმართის ყოველდღიური უკომპრომისო ბრძოლის ასპარეზი კი გახლავთ. ავტორისთვის რკინიგზა რკინისა და გზის, მატარებლისა და ენერგიის, ხივრცეში გადაადგილების უწინარეს, ათასობით და მილიონობით ადამიანთა ერთის შეხედვით შემთხვევითი, ეპიზოდური, ლამის ეფემერული ურთიერთობებია, ოღონდ ყოველივე ეს მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში, ეტაპზე მოქმედი, გარეშე თვალისთვის უხილავი, მაგრამ მაინც ჯერჯერობით კანონზომიერი ფაქტორებითაა გაპირობებული და მწერალმა შეძლო ხაგანთა და მოვლენათა არსის წარმოჩენა.

აპოლონ კაციტაძე, ვიმეორებთ, ლურჯი სათვალით დანახული, იდეალური პიროვნება სულაც არ გახლავთ, მაგრამ ავტორი გვიჩვენებს, როგორი ტანჯვით ცდილობს ის, გადაარჩინოს თავის თავში ადამიანი (რაც, როგორც ამ რომანიდანაც ჩანს, ხშირად არც ისე იოლია) და ფეხაკრეფით, მაგრამ მაინც ჯიუტად, გაკერპებით მიიწევს ადამიანური ბედნიერებისაკენ.

სიტყვას არ გავაგრძელებთ. ვისაც არ წაგიკითხავთ, გირჩევთ ილია შტემლერის ამ რომანის წაკითხვას.

ახლა კი გთავაზობთ ნაწყვეტებს რომანიდან, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას შეგიქმნით მის სტილზე, პათოსზე, სულისკვეთებაზე და, ვფიქრობ, დაგარწმუნებთ, რომ ადამიანებზე, თურმე, შეიძლება და მეტიც — საჭიროა სიყვარულით, ჭირისუფლური თანალმობით ვწეროთ.

ბაციტაძეების ოჯახი ცხოვრობდა ბაქოში, ყოფილ ძველი ფოსტის, ახლანდელ ოსტროვსკის ქუჩაზე და თეთრი კირქვით ამოყვანილი დიდი სახლის მეორე სართულის ნახევარი ეჭირა. ეს სახლი ისეთ მრავალეროვან ქალაქშიც კი, როგორიც ბაქოა, სიჭრელით გამოირჩეოდა — აქ ცხოვრობდნენ სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, ქართველები, ებრაელები, ლეკები. ბებია ინესა თავს ინგლისელი ინჟინრის შვილად ასაღებდა და „ეროვნების“ გრაფაში კათოლიკე ეწერა. ეტყობა, მეპასპორტე, როცა ქაღალდებს ავსებდა, მისი უბნის მოსახლეობის მეტისმეტმა სიჭრელემ ისე გამოათაყვანა, რომ ბებია ინესას, მაშინ ჯერ კიდევ ქორფა ქალიშვილს, სიტყვაზე დაუჯერა...

აპოლოშას მამა, ნიკოლოზ გიორგის ძე კაციტაძე, რკინიგზაზე მუშაობდა და როცა ის, თავისი მოხდენილი შავი ფორმით გამოწკეპილი, გამოჩნდებოდა ეზოში, ერთი ალიაქოთი იწყებოდა და შურით ივსებოდნენ მარიასადმი, რომელსაც ცოცხალი, — მეტიც, საერთოდ რომ არ დაჭრილა, ისეთი ქმარი ჰყავდა. მართალია, ის ცოტათი კოჭლობდა, ჯერ კიდევ ომამდე მიიღო ტრავმა რკინიგზაზე, მაგრამ მაინც ლამაზი კაცი გახლდათ.

ასეთი მამის შვილ აპოლოშას ყველაზე დიდი ავტორიტეტი ჰქონდა რკინიგზელთა შვილებს შორის. გამჭრიახი იყო, მეხსიერებას არ უჩიოდა და ეზოს გოგო-ბიჭების საფიხვნოზე რკინიგზასთან დაკავშირებულ ერთმანეთზე დაუჯერებელ, წარმოუდგენელ ამბებს ჰყვებოდა. მამას შვილის გატაცება მოსწონდა და არაერთხელ წაუყვანია თან. ბიჭის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ტკბებოდა იმის წარმოდგენით, თუ როგორ ჩაივლიდა ეზოში ისე დაღლილი და შეფიქრიანებული, თითქოს სწორედ მას წაეყვანოს შემადგენლობა შორეული სადგურისაკენ, რომელსაც ცისფერი სახელი ალიატა ერქვა.

არავითარი დაეჭვება, მხოლოდ რკინიგზის ტრანსპორტი — აი, აპოლონ კაციტაძის ბედისწერა. სკოლის დამთავრების შემდეგ აპოლონი ლენინგრადის რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტში შევიდა და როცა ისიც დაამთავრა, შემდეგ სევეროგრადის საგზაო სამმართველოში განწესდა ექსპლოატაციის ინჟინრად და თვეში ას ათი მანეთი დაენიშნა.

აპოლონი ოცდარვა წლისა იყო, როცა მისმა თანამშრომელმა სავკა პროხოროვმა თავისი ცოლის დაქალი გააცნო. მგზნებარე აპოლონი მოაჯადოვა ქერაკულულიანმა ფუნჩულა ალინამ. ხანმოკლე შეხვედრების შემდეგ ალინამ გამოუცხადა აპოლონს, რომ რაღაც უნდა ეღონათ, აბა, ის ხომ არ დაუშვებდა, რომ ალინა მარტოხელა დედა გამხდარიყო. არა, აპოლონს ეს არ შეეძლო. მაგრამ ურიგო არ იქნებოდა, მშობლებისთვის გაეგებინებინათ ყველაფერი, თორემ მათ გაანაწყენებდნენ, მამას კი გული სტკიოდა. ალინა ვერ ბედავდა აპოლონის მშობლებთან ჩასვლას, რადგან რცხვენოდა: ჯერ ცოლად არ ჰყავდა წაყვანილი, მაგრამ ბავშვი მოაკვარახჭინა. აპოლონსაც ეუხერხულებოდა ალინას შეყვანა თავის დიდ და ცხობისმოყვარე ეზოში.

ოჯახის საბჭოს სხდომა ფანჯრებგამოღებულ ვერანდაზე გაიმართა. და ვინც ეზოში იყო, ყველას ჰქონდა მოვლენის განხილვის შესაძლებლობა.

მამას, ძალიან დიდი სიცხის მიუხედავად, რკინიგზელის საპარადო კიტელი ეცვა, მაგიდის თავში იჯდა და, ფიქრებს მიცემული, თითებით მძიმე ჩეხური ბოკალის ფეხს ატრიალებდა. ქალიშვილის ფოტოგრაფიამ გაცნობის პირველი წრე უკვე ჩამოიარა და ახლა, ვაშლებიან ვაზას მიყრდნობილი, ისვენებდა.

მარიამ მაინც ვერ მოითმინა და, ვიდრე ქმარი რამეს იტყოდა, ჩაილაპარაკა:

— რაღაც ნამეტანი თეთრია ეგა. ალბათ, მზეზე არა ჯდება. ანდა, იქნებ, ავადაა?

— მზეზე არა ჯდება, — კვერი დაუკრა აპოლონმა — დედა, შენც ხომ... განა ცუდია, რომ თეთრია? იქ ყველა თეთრია. ჩრდილოეთში ცხოვრობენ.

— შენა, მარია, როცა რამეს ამბობ, ხომ უნდა იფიქრო! — აპოლონს ვიღაცამ ეზოდან დაუჭირა მხარი. — იქ დათვებიც კი თეთრია.

დედა ფანჯარასთან მივიდა და გასძახა:

— ახლა თქვენი რჩევაღა გვაკლია, არა? მთელი ეზო არ მოყრილა!

ფანჯარა მიიჯახუნა და ბუზღუნით დაბრუნდა თავის ადგილზე.

— კეთილი! — თქვა უფროსმა კაციტაძემ. — შენი გადაწყვეტილება ვადღეგრძელოთ, აპოლონ. დასანანია, რასაკვირველია, ჩვენი სარძლო რომ არ ჩამოვიდა. რატომ ეშინიათ ჩვენი, მხეცები ხომ არა ვართ.

აპოლონმა ცალყბად გაიღიმა და თითები მოკუმა. მამის მხარდაჭერას იგი რატომღაც მაინცდამაინც არ გაუხარებია.

მარია ლოყით შვილის ცხელ სახეს მიეკრა.

—მითხარი, შვილო, იძულებული ხარ, რომ ის ქალი შეირთო? გვითხარი, დედამისა ნუ მოგერიდება.

მოგზაურები

ეროვნული ბიბლიოთეკა

—იძულებული რატომ ვარ? — უხალისოდ მიუგო აპოლონმა. — ის კარგი გოგოა. — დაიბნა, სიტყვა გაუწყდა და გაწითლდა.

— აჰა! — შეჰკივლა მარიამ. — აი, თურმე რატომ არ ჩამოვიდა ეგა. რცხვენია, არა? ფიგურის დანახვება ეუხერხულება, ხომ? მაშინვე მივხვდი...

აპოლონს მაგიდის ქვეშ დამალვა უნდოდა. ამავე დროს, უხაროდა, რომ ყველაფერი ითქვა. შვება იგრძნო — თავისი ტვირთის ნაწილი მშობლებს აჰკიდა.

— გესმის, ნიკოლოზ? გული მიგრძნობდა, გული. — მარია ვერანდაზე დარბოდა. — როგორი თავის მოჭრაა! — შავგვრემან სახეზე ცეცხლი ეკიდა. — ბიჭს ინგლისურს ვასწავლიდით. — უცებ გაახსენდა. — არადა, ხედავთ, ვინ გამოვიდა?

ნიკოლოზმა ხელისგული დაჰკრა მაგიდას და ბოკლები აწკარუნდნენ.

— ვინ გამოვიდა? — წამოიძახა მამამ, — მამაკაცი გამოვიდა, აი, ვინ გამოვიდა! სწორად მოიქცა! შერთვაზე რომ უარი ეთქვა, სხვა ამბავი იქნებოდა... ნეტავი, რისთვის ვიხარშები ამ კიტელში, თუ ცხოვრებაში ყველაფერი ასე იოლად ხდება, ა? — მამამ გულიანად გადაიხარხარა.

ბოლო ხანებში უფრო შესამჩნევად კოჭლობდა: ექიმები კი აიმედებდნენ, მაგრამ ფეხი არ ურჩებოდა, პირიქით, მთლად დაძაბუნდა კაცი. რკინიგზაზე მუშაობა იჩენდა თავს. „რელსები მაცივებენ, — ამბობდა ხოლმე კაციტაძე — უფროსი. — რელსებს სად წავუვალ. საითაც მიემართებიან, იქ მიმიყვანენ. მაგრამ უიმათოდ ამ ცხოვრებაში ჩემთვის გზა არ არსებობს. არა ვნანობ, არა.“

კიტელი შკაფში დაკიდა და ბადის პერანგისამარა დარჩა. სიფონიდან მჩქეფარე წყალი დაისხა და გულიანად მოსვა. ზურგით მჯდარ აპოლონთან მივიდა და მხარზე მიუთათუნა ხელი.

— ყოჩაღ, ჩემო ბიჭო[1]. პაპა გინდა გამხადო, ხომ ასეა. მომისმინე, ოჯახი, ხომ იცი... ცოლი, შვილი... რა ფულით გინდა ირჩინო თავი?

— მამის იმედი აქვს! — გამოსძახა მარიამ სამზარეულოდან.

— როგორმე გავიტანთ თავს. — შეაწყვეტინა აპოლონმა. — მე ინჟინერი ვარ თუ ვინა ვარ?

დედა ოთახში მობრუნდა. ორივე ხელით ბრინჯიანი ლანგარი ეჭირა. აპოლონის ნაღვლიანმა გამოხედვამ მისი მრისხანება რამდენადმე დააცხრო.

— საინტერესოა, ეგენი იქ რაზე ფიქრობენ? ინჟინერი თავის თავსაც ვერ ინახავს, ახლა კი კაცმა ოჯახი შექმნა? მიდი, ხელფასი მოუმატე, ბავშვებს გაიჩენენ? კიდევ მოუმატე.

— შენც იტყვი, რაღა, მარია. — გაკიცხა მამამ. — ასე ხომ შეიძლება შინ დაჯდეს კაცი და მინისტრის ხელფასს ელოდოს. აკეთე ბავშვები და ირბინე სალაროში, არა? ე-ეჰ! — მამა მოიღუშა — მე ასე ვფიქრობ: ახალგაზრდა სპეციალისტს მცირე ხელფასს იმიტომ აძლევენ, რომ მან კბილები აილესოს, მას რომ თავიდანვე ბლომად ფული მისცენ, მაშინვე ბიუროკრატი გახდება. ახლა კი ცხენი რომ მისდევს შვრიუკას, ისე დარბის....

— ცხენსაც სჭირდება ძალა შვრიუკას დასაწევად, — თავი გადააქნია დედამ. — ეგ თუ შიმშილით მისავათებული დავარდება, შენი შვრიუკა მაშინ უკვე ვის რაში უნდა, საინტერესოა, ფუჭად დალპება.

— არავინაც არ ვარდება ჯერ. — მიუგო მამამ. — როგორი ბიჭები მოდიან ჩვენთან უბანზე! არწივები მოდიან! აგერ, სულ ახლახანს, მემანქანის თანაშემწე იყო, გაიხედავ და ლოკომოტივი არ დაჰყავს! ხელს გიქნევს, დამეწიე, ძია ნიკოო, ყვირის.

— მომისმინე, მამა, მე რისთვის ჩამოვედი თქვენთან?—შეაწყვეტინა აპოლონმა.

— მართალია, ნიკო... ისევ შენი სისულელეების გამეორებას იწყებ! — შვილს გამოესარჩლა დედა. — ბიჭი მშობლებთან მოსათათბირებლად ჩამოვიდა. სერიოზულ ნაბიჯს დგამს. შენა კიდე? ძველ ქვაბსავით ხარ! თუხთუხებ და თუხთუხებ...

მამა დაჩლუნგებულსავით დუმდა. შვილის გასაგონად როგორ შეიძლება მამას უთხრა სისულელეებს ლაპარაკობ და ძველ ქვაბსავითა ხარო?! დიახ, დაბერდა კაცი, დაბერდა. განა ადრე ნიკოლოზ კაციტაძე ცოლისგან ასეთ დამცირებას მოითმენდა?

და მარია მიხვდა...

— აპოლოშა, შვილო... მამაშენმა ბევრი რამ ნახა ამ ცხოვრებაში, ის ცუდს არაფერს გირჩევს. — და თავის თავზე საბოლოოდ გაბრაზებული მარია თეფშებზე ბრინჯის გადაღებას შეუდგა.

— რა მოგვიდა, ნიკო?! —დრო შეურჩია ქმარს მარიამ. — მე გითხარი, ძველ ქვაბსავით ხარ-მეთქი. გაიგე? ქვაბსავით ხარ-მეთქი, თორემ რომელი ქვაბი შენა ხარ? ეს-ესაა ორმოცდაათი წელი შეგისრულდა. — ქალმა ქმრის შეთხელებულ თმაში ჩამალა თავი.

როგორ უყვარდა აპოლონს ასეთი წუთები!

იქ, სევეროგრადში, ზამთრის ცივ საღამოებში, ის ხშირად იგონებდა შორეულ ბაქოს ეზოს; ამ ვერანდასაც და ამ ადამიანებსაც. რატომ ცხოვრობს ის მათგან ასე შორს? რაა სევეროგრადში მისი ყოფნის აზრი? მუშაობა? მაგრამ ასეთხელფასიანი სამუშაოს შოვნა ყველგან შეიძლება. ახლა ოჯახსაც მოეკიდება. ანდა, იქნებ, ალინასთან ერთად აქ, ამ სახლში, მობრუნდეს? ვიწროდ იქნებიან, თანაც, მალე ბავშვიც ეყოლებათ...

— რაზე ვფიქრობდი მე, როცა გკითხე, ახალგაზრდა ცოლთან ერთად რა ფულით აპირებ თავის რჩენას-მეთქი? — აღუშფოთებლად განაგრძობდა თავისას ნიკოლოზი. — მე გავიფიქრე, აპოლონ... ამდენი წელია ექსპლოატაციის ინჟინრად მუშაობ, დროა, უკვე გაიზარდო სამსახურში, დროა, ყველას უჩვენო, კაციტაძეები ვინცა ვართ.

— ინგლისური იცის, — ჩაურთო დედამ.

— ინგლისური რაში სჭირდება ამას? — შეეკამეჩნა მამა. — საქმე უნდა აკეთოს, საქმე.

დედა ამაყად გასწორდა წელში, მისი წვრილი, ფერმიხდილი თვალები მრისხანედ აენთნენ.

— ნიკოლოზ კაციტაძე! სამსახურებრივი კარიერის თქვენეული გაგება მოძრაობის სამსახურის იქით არ მიდის. მე ჩემს შვილს უფრო საინტერესო ხვედრს ვუსურვებდი. არ მინდა, რომ მასზე ხალხი ასე ლაპარაკობდეს: „ეს სწორედ ის აპოლონ კაციტაძეა, რომლის მამაც მთელი თავისი სიცოცხლე სამანევრო დისპეტჩერად მუშაობდა. არადა, რა თავი ჰქონდა! როგორ ლამაზად ეხურა ფორმის ქუდი!“

მამამ ტუჩები მოკუმა. მისი გაუპარსავი ნიკაპი ახლოს მივიდა ცხვირთან, რაც სერიოზული განაწყენების ნიშანი გახლდათ.

— აპოლონ! — შვილს მიუბრუნდა მამა. — ვისურვებდი, რომ შენი ოჯახური ცხოვრება ჩემსაზე ბედნიერი ყოფილიყოს.

— ჰო-ო?! — აიფოფრა დედა. — აპოლონ! ყური მიგდე, შვილო, შენ თუ მამაშენივით უგერგილო, დონდლო ქქნები, ცხოვრების მიწურულს საპაერო ბუშტივით ცარიელი დარჩები.

დედა ფანჯარასთან მივიდა და ჭახაჭუხით მიხურა დარაბა იმის ნიშნად, რომ მეტად სერიოზული, გარეშეთათვის საიდუმლო საუბარი იწყებოდა.

— აქეთ მოიხედე, აპოლონ, — მან შკაფის თაროდან თასმით შეკრული სქელი საქაღალდე გადმოაგდო. — აქაა დამარხული აზრები, რომლებსაც შეეძლოთ, ნიკოლოზ კაციტაძისთვის საქვეყნოდ გაეთქვათ სახელი.

— მარია, მარია... — დაბნეულად იმეორებდა მამა, ცდილობდა, მრისხანება დაეცხრო და თავისი თვინიერებით გონს მოეყვანა მეუღლე.

— გაჩუმდი! შენ შენი უკვე თქვი... აპოლონმა უნდა იცოდეს, როგორი არ უნდა იყოს ის...

აპოლონს დედ-მამის დავაში განსაკუთრებული რამ არასოდეს დაუნახავს. და იცოდა, რომ მათი დავა ხანგრძლივი მშვიდობიანობით მთავრდებოდა.

— გეყოფა, გეყოფა! — ხარხარებდა აპოლონი. — ღმერთმანი, არ ვიცი, რატომ ჩამოვედი თქვენთან! შემერთო ცოლი და ის იქნებოდა.

— როგორ არა გრცხვენია?! — უსაყვედურა მამამ, თან, ეტყობოდა, იმედი ჰქონდა, რომ შვილთან საუბრით ცოლს სხვა ტალღაზე გადართავდა. — მშობლების ნებართვის გარეშე შეგერთო? თუ გაიგონე, მარია, რა თქვა? — ცოლის მოუდრეკელობა რომ დაინახა, წამო-

[1] ყოჩაღ, ჩემო ბიჭო — ქართულადაა ჩართული მოთხრობაში (მთარგმ.).

იძახა — ეშმაკმა დასწყევლოს[1] შენი თავი, ჩემს ქაღალდებში იქექები?! ვინ მოგცა ამის უფლება, ქალო?!

მარიამ თასმები დახსნა და საქაღალდე გადაშალა.

— ეს უფლება, ნიკოლოზ კაციტაძე, შენთან ჩემი უიმბლო ცხოვრებით დავიმსახურე, — შთამბეჭდავად თქვა დედამ და საქაღალდე აპოლონს დაუგდო.

— ცის რისხვაა,[2] აბა რაა! ირგვლივ ნამცეცები, ჭუჭყი, ქონის ლაქებია... რას სჩადიხარ, მარიამ, გონს მოდი! — შეევედრა მამა, რაკი, გამძვინვარებული ქალის თვალებს უყურებდა, ვერ ბედავდა საქაღალდის ხელში აღებას. — ბიჭი სამი დღით ჩამოვიდა. ბიჭს ჩვენთან სერიოზული საუბარი უნდა. რითი უწყალებ გულს, მარია?!

— წაიკითხე, აპოლონ, წაიკითხე! — მოითხოვდა დედა და, შვილის გაცინებით გაკაპასებულმა, თვითონვე წაიკითხა სათაური: „რკინიგზის ტრანსპორტზე მგზავრთა გადაყვანაში ნაკლოვანებების აღმოფხვრის წინადადებები“. აბა! რამდენი წლის ნამუშევარია... გრაფიკები, სქემები... ისა სჯობდა, ყველაფერი ეს დამეწვა, ვიდრე ჩემი თვალებით ვხედავდე, როგორ ლპება თაროებზე ამისთანა ნაშრომი...

— აჰა... მორჩა! არა, მორჩა-მეთქი! გეყოფა! — მამა წამოვარდა და სკამი გადაყირავდა. ფართო ოთახში ბოლთას სცემდა, აქეთ-იქით აწყდებოდა. სიკოჭლე მის მოძრაობებს ამკვეთრებდა, ამძაფრებდა. დიდ აფხორილ ფრინველსავით იქნევდა ხელებს, იჩეჩავდა მხრებს, — მტერი მყავს სახლში, მტერი! — მოთქმით შეიცხადა ხმამისუსტებულმა. — კაცს საკუთარი ცოლიც კი თუ ვერ უგებს, იმას რა დარჩენია, რა?!

აპოლონმა ქაღალდების თვალიერება დაიწყო. ზოგიერთს გზათა სამინისტროს წერილების განყოფილების გრიფები ამშვენებდა, სხვებს — გზათა სამმართველოსი, აქ ცირკულარებიც იყო, ცნობებიც, ბრძანების ამონაწერებიც. მაგრამ ძირითად ნაწილს მამის ხელნაწერები შეადგენდა — ნიკოლოზს გარკვეული ხელი ჰქონდა.

— მომისმინეთ, რას ყვირიხართ თქვენა! — იფეთქა აპოლონმა. — ვერ ვკითხულობ, მიშლით...

— იმიტომ ვერ კითხულობ, რომ ჭკუათხელი ხარ! — მასზე გადაერთო გაბრაზებით დედა. — ინგლისური როგორ ისწავლე, ეს მაოცებს.

— ინგლისურად მხოლოდ ხუთი სიტყვა ვიცი, — გაბრაზდა აპოლონი. — ხუთი სიტყვა! შესაძლოა, ექვსი. მორჩა! ინსტიტუტში რაც ვიცოდი, ისიც კი დამავიწყდა... და გეყოფა! ჩემგან ვუნდერკინდი ნუ გამოგყავს, მორჩი! სტიპენდიას ძლივს ვღებულობდი. — აპოლონი სიმართლეს ამბობდა და დედამ ეს იცოდა. შენ და მამაჩემმა კი გადაწყვიტეთ, რომ მე აუცილებლად უნდა გამეთქვა სახელი ჩვენი გვარისთვის. და გიკვირთ, აქამდე რატომ არ დამნიშნეს გზის უფროსად. მე მოძრაობის სამსახურის ექსპლუატაციის ინჟინერი ვარ და ას ათი მანეთი მაქვს ხელფასი. ამ ფულით ვიცხოვრებ ჩემს ცოლთან...

— და შვილთან ერთად — გაუსწორა დედამ.

— და შვილთან ერთად, — კვერი დაუკრა აპოლონმა. — არ იკმარებს და მოვიფიქრებ რამეს. ჩვენს ქვეყანაში ფული მიწაზე ყრია, ოღონდ დაიხარე და... — აპოლონს გაახსენდა თავისი ინსტიტუტის ამხანაგის ფრაზა. — ის ამხანაგი ვაგონ-რესტორანში მოეწყო.

მაღალი, გამხდარი აპოლონი, თავისი მშობლების გვერდით, ავდრისგან გაქუცულ ჩირგვნარში ამართულ მძლავრ ხეს ჰგავდა. ხმაც უკვე დაუბოხდა და ის ცოტა რამითღა მოგაგონებდათ სამხრეთის ქალაქების მკვიდრი ბიჭებისთვის ტიპიურ მყიფე, რბილინტონაციებიან ხმას. ამიტომ იგრძნობოდა მის სიტყვებში არა მარტო კადნიერება, არამედ დაჯერებულობაც იმ კაცისა, ვინც თავისი ცხოვრებისეული პრინციპი აირჩია და დარწმუნებულია, რომ მხოლოდ ასე შეუძლია, წარმატებას მიაღწიოს და მშრალზე არ დარჩეს.

აპოლონმა საქაღალდე დახურა და მაგიდაზე დააგდო.

— ამ პროექტით თავს აბეზრებ ხალხს. აბა, ეგ ვის რაში სჭირდება. გზაზე მუშაობით რამდენი ვინმე ირჩენს თავს. იმათ შენი პროექტი რაში უნდათ? ბორბლები უიმისოდაც ტრიალებენ, — დაიქოქა აპოლონი. — მე რისთვის ჩამოვედი?! იმის მოსასმენად, თუ როგორ უნდა მამაჩემს ქვეყანას სარგებლობა მოუტანოს, მას კი ხელს უშლიან? როცა აქ უკანასკნელად ვიყავი, ეს საქაღალდე პატარა რვეულზე სქელი არ იყო. ახლა ის ტელეფონის წიგნის ხელაა... მაგრამ ამით რა შეიცვალა?! მაცივარშიც წამლები დევს და შკაფშიც... კიდევ გწყინთ, ალინა რატომ არ ჩამოიყვანეო. იმის მოსასმენად ჩამომეყვანა, თუ როგორ ლანძღავს დედაჩემი მამაჩემს იმისთვის, რომ მას თავისი პროექტისთვის ბრძოლა მობეზრდა? რათა ალინას ენახა, რომ შერეკილი მშობლები მყავს, არა? გეყოფათ, გეყოფათ! ისე იცხოვრეთ, როგორც ყველა ცხოვრობს... სვით, ჭამეთ, ბულვარში ისეირნეთ, ზღვის ჰაერი ისუნთქეთ...

მშობლები გაოცებით შეჰყურებდნენ შვილს. ეზოდან ფიცრებზე კოჭების მკვეთრი კაკუნი და მოთამაშეების ხმა მოისმოდა...

— მარია, ძვირფასო, — ცოლს მიუბრუნდა ნიკოლოზი, — „შერეკილი მშობლები“ რაღაა?

— ნიკოს ჭირიმე... ესაა მშობლები, რომლებსაც უნდათ, რომ მათით ამაყობდნენ შვილიშვილები, ან ბადიშიშვილები.

— მერედა, ეგ ჩვენ რატომ გვსაყვედურობს. ჩვენი შვილიშვილები ხომ მისი შვილებია.

— იმიტომ, რომ ეგ ჯერ მთლად ჩერჩეტია, ძვირფასო ნიკო.

— მაშინ ცოლს რისთვის ირთავს?

— იმისთვის, რომ დაჭკვიანდეს. ცოლის შერთვის შემდეგ ყოველთვის ჭკვიანდებიან, ან ჩერჩეტდებიან. თუ ეგ მთლად-მთლად გამოჩერჩეტდება... აი, მე და შენსავით... მაშინ, ალბათ, გაგვიგებს, ნიკო ჩემო...

— მართალი ხარ, მარია, ჭკვიანი ხალხი უკვე სულ ვერ გვიგებს.. აი, ვაგონში კარი რომ მოგლიჯა და აგარაკზე საპირფარეშოს ააფარა, იმას ვეკითხები, ეს რატომ ჰქენი-მეთქი. არაფერი მიპასუხა. მხოლოდ ისე შემომხედა, ძალიან ჭკვიანი კაცი ძალიან სულელს რომ შეხედავს.

ჩაი ჩუმად დალიეს და ჩუმადვე დაიშალნენ დასაძინებლად.

---

[1] ეშმაკმა დასწყევლოს — ეს სიტყვები დედანში ქართულადაა ჩართული (მთარგმ).

[2] ცის რისხვაა — ეს სიტყვები დედანში ქართულად წერია (მთარგ.)

რემბრანდტი — „იუნონა“



რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი ერთ-ერთად უდიდესი მხატვართაგანია მხოფლიო ხელოვნების ისტორიაში. მისი შემოქმედება ტაქიტალბდა ბოლანდიური ხელოვნების აყვავების ხანაში.

რემბრანდტის შემოქმედებაში განსაკუთრებული ხისრულითა და სიღრმით გამომჟღავნდა ინტერესი ადამიანის სულიერი სამყაროსადმი. დიდი რეალისტი მხატვარი, ჰუმანისტი, ღრმა ფსიქოლოგიური ფერწერისა და შუქ-ჩრდილის შეუდარებელი ოსტატი, თემატური დიაპაზონით ყველა თავის თანამედროვე ჰოლანდიელ მხატვარს აღემატება. იგი არა მხოლოდ ფერმწერია, არამედ გრავიურისა და ნახატის უბადლო ოსტატიცაა. უზარმაზარია მისი მემკვიდრეობა: 650 ფერწერული სურათი, 300-მდე გრავიურა და 1500-მდე ნახატი (რამაც ჩვენამდე მოაღწია).

რემბრანდტის შემოქმედებითი მეთოდის არსებითი მომენტია ახლობელთა სახეების გამოყენება მითოლოგიური და ბიბლიური სიუჟეტების ასახვისას.

სასკია, რემბრანდტის პირველი ცოლი, მისი შთაგონება და მუდმივი შემოქმედებითი მოდელი იყო. ხანდაზმული მხატვრის ცხოვრების განუყრელ მეგობრად კი იქცა ახალგაზრდა მსახური ქალი ჰენდრიკე სტოფელსი.

„იუნონა“ რემბრანდტის ბოლო წლებში შესრულებული ნაწარმოებია ანტიური მითოლოგიის მიხედვით, „იუნონა“ — ზევსის მეუღლე, ოლიმპის ქალღმერთებს შორის ერთ-ერთი მთავართაგანი, ნაყოფიერების, სიუხვის, მთვარისა და ხახელმწიფო ძალაუფლების მფარველი, გამოსახულია ჰენდრიკე სტოფელსის სახით, ვის ხსოვნასაც მიუძღვნა მხატვარმა ეს ტილო. მდიდრულ ტანსაცმელში, ოქროს გვირგვინით თავზე და სკიპტრით ხელში, თავისი მუდმივი ატრიბუტით — ფარშევანგით გვერდზე, დგას სიუხვისა და ნაყოფიერების ქალღმერთი მშვიდი და კეთილი სახით.

იუნონას სახეში ჩაქსოვილია ჰენდრიკე სტოფელსის ქალური სითბო და მომხიბლაობა. წერის თავისუფალი და ძალდაუტანებელი მანერა, ფერების ჰარმონიული გადაწყვეტა, შუქ-ჩრდილის ოსტატური გამოყენება, ნაწარმოების ფერადოვნება, დამადასტურებელია იმისა, რომ მხატვარმა ეს ტილო 1662-65 წლებში შექმნა.

საინტერესო ბედი ხვდა წილად ამ სურათს. მისი ადგილსამყოფელი 1678 წლიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე უცნობია. ვარაუდობენ, რომ ინგლისის რომელილაც კერძო კოლექციაში იმყოფებოდა. 1888 წლიდან სურათი გერმანელი ვაჭრის ვეზენდონკის მფლობელობაშია. შემდეგ ბონის მუზეუმშია, სადაც იგი რემბრანდტის ერთ-ერთი იმიტატორის ნაწარმოებად მიიჩნიეს. 1925 წელს კი ნახატი ბონისა და რეინის მხარის საბჭოს შეუძენია.

1933 წელს, გერმანიაში ნაცისტების ძალაუფლების ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით, მუზეუმს უბრძანეს, ყურადღება მხოლოდ რეინის ხელოვნებაზე გაემახვილებინა და გაეყიდა ყველა ექსპონატი, რომელთაც ახალ მიმართულებასთან არ ჰქონდათ კავშირი. ამ ბრძანებასთან დაკავშირებით 1935 წელს „იუნონა“ კიოლნის აუქციონზე გაიყიდა, როგორც რემბრანდტის სტილში შესრულებული ნაწარმოები. მალე ექსპერტებმა ცნეს, რომ ეს არის უდავოდ რემბრანდტის ორიგინალი და ამავე დროს მისი ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები.

აქვე მინდა დავძინო ისიც, რომ რემბრანდტმა „იუნონა“ შექმნა მდიდარი ამსტერდამელი ვაჭრის ბეკერის დაკვეთით. ტილო ახლა არმანდ ჰამერის კოლექციას ამშვენებს და სულ მალე ლოს-ანჟელესის სახვითი ხელოვნების მუზეუმში დაიმკვიდრებს ბინას.

გული ლორთქიფანიძე

რემბრანდტ ვან რეინი. იუნონა.

ვენა. „ლუიზა მილერი“. კონტ დე ვალტერის პარტიას მღერის პაატა ბურჭულაძე.

ჰერბერტ ფონ კარაიანი და პაატა ბურჭულაძე ბერლინში.

ვენა. ლუჩანო პავაროტი, პაატა ბურჭულაძე და პიტერ დვორსკი.

პაატა ბურჭულაძის თავადაზნაურებიდან ბიჭებიდან.

ვენა. მარცხნიდან მესამე, ლუჩანო პავაროტის მეუღლე, პაატა ბურჭულაძე და სხვ.

მილანი. „ლა სკალა“. „აიდა“. გენა დიმიტროვა, მარია კალა, ნიკოლო გიაურაოვი, ლუჩანო პავაროტი, პაატა ბურჭულაძე და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტიციანი (ტიციანო ვეჩელიო) აბჯარას-
ხმული მამაკაცის პორტრეტი.

ტიციანი — „აბჯარასხმული მამაკაცის პორტრეტი“

გუარშან, დეკემბერში, თბილისის ხელოვნების მუზეუმში გაიხსნა დოქტორ არშად ჰამერის შესანიშნავი კოლექციის გამოფენა, რომელმაც მნახველთა აღფრთოვანება გამოიწვია, და ეს ბუნებრივიცაა, რადგან წარმოდგენილ ფერმრწერთაგან მხოლოდ რამდენიმე სახელის ხსენებაც კი საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ ეს კოლექცია მსოფლიოს უდიდეს ხელოვანთა შედევრებისგანაა შემდგარი.

გამოფენის ერთ-ერთი უმშვენიერესი მარგალიტია ტიციანის, იტალიური აღორძინების გენიალური მხატვრის, ნაწარმოები „აბჯარასხმული მამაკაცის პორტრეტი“.

ტიციანმა, ანუ ტიციანო ვეჩელიომ, თავისი ხანგრძლივი და ბედნიერი ცხოვრება ვენეციაში გაატარა.

ტიციანმა სიცოცხლეშივე ისე გაითქვა სახელი, რომ მსოფლიოს ჭეშმარიტი „უგვირგვინო მეფე“ გახდა. იგი ფართო და მრავალმხრივი ფერმწერი იყო. ხატავდა სურათებს მითოლოგიურ და ალეგორიულ სიუჟეტებზე, ბიბლიურ სცენებსა და პორტრეტებს. თავად პორტრეტების გადაწყვეტაც ყოველთვის განუმეორებელი და საინტერესოა.

„მამაკაცის პორტრეტის“ შექმნისას ტიციანი ასევე მეტად საინტერესო კომპოზიციურ ხერხს მიმართავს: აბჯრიანი კაცის ნახევარფიგურა თითქოს ამოდის მოყავისფრო ბინდბუნდით აღსავსე სივრციდან. ნეიტრალური მუქი ფონი არ იქცევს უურადღებას და იგი სავსებით მახვილდება მთავარზე — განათებულ სახესა და ხელის მტევანზე. მართალია, ტიციანი დიდი გულისყურითა და ვირტუოზულობით გამოსახავს მოელვარე აბჯრის ორნამეტებსა და ჩუქურთმებს, მაგრამ აბჯარი მაინც მუქი ფერისაა და თანაც მისი კონტურები სიბნელეში იძირება. ოქროსფერი სხივებით სიბნელიდან ამოგლეჯილი სახე კი ერთბაშად გვაყურადებს.

დააკვირდით, რა საინტერესო, რა მრავლისმეტყველი სახეა! იგი ძალზე კონკრეტული და ინდივიდუალურია. ეს აშკარად რეალური პიროვნების გამოსახულებაა. მაგრამ მასში იგრძნობა ის საერთო თვისებებიც, რომლებიც ახასიათებდა სწორედ აღორძინების ხანის ადამიანს: საკუთარი ღირსების შეგრძნება, თავისუფალი აზროვნების უნარი, მრავალმხრივობა.

ყურადღება მიაქციეთ ერთ საინტერესო მომენტსაც: სამოსის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს მამაკაცი სამხედრო პირი უნდა იყოს. ამაზე მეტყველებს აბჯარიცა და ხმლის ვადაც. მაგრამ მის სახეზე სრულებით არ ჩანს ის სიმკაცრე და ენერგიულობა, რომელიც თითქოს უნდა ახასიათებდეს მეომარს. პირიქით, ამ კაცის ლამაზი და სუფთა ნაკვთები განსაკუთრებული სიმშვიდით, ფილოსოფიურობით გამოირჩევა. ასეთი წყნარი, დაკვირვებული და ბრძნული მზერა თითქოს უფრო მეცნიერსა და მოაზროვნეს შეეფერის. ამაზევე მეტყველებს მისი თავისუფალი, დინჯი პოზა და გრძელთითებიანი, არისტოკრატიული ხელის ჟესტი, რომლითაც მამაკაცი გრაგნილს ეხება.

ტიციანის ეს პორტრეტი უმაღლესი მხატვრული ოსტატობითაა შესრულებული. შეხედეთ, რა მძლავრი, მკვეთრი და ფართო მონასმებით გადმოგვცემს ფერმწერი ლითონის ელვარებას და რა მსუბუქი, ნაზი, ერთმანეთში შეზავებული მონასმებით ძერწავს სახის თბილ, ოქროსფერ ზედაპირს. დააკვირდით, როგორ იღვენთება და იკარგება ბნელ სივრცეში ფიგურის კონტურები, თავად ფიგურა კი მაინც მოცულობრივი, წონადი და ცოცხალია.

ტიციან ვეჩელიომ მეტად ხანგრძლივი და ნაყოფიერი ცხოვრება განვლო. მისი მხატვრული მემკვიდრეობა ძვირფასია კაცობრიობისათვის.

თეა ჯალაღანია

ფართო ფანჯრის იქით სამხრეთული ბნელი ღამე იწვა და წვრილი ვარსკვლავები ქინქლებივით აწყდებოდნენ მინას. ეს ფანჯარა გამჭოლის ქარის შიშით არ იღებოდა. და არც დახუთული იყო, ოთახს ღრეჩოები და ხვრელები ჰყოფნიდა.

ეზო კარგახანია დაშოშმინდა, დაცხრა. მხოლოდ ზემოდან მოისმოდა პიანინოს ყრუ ხმები — ვიღაც გამებს სწავლობდა. აპოლონს აღარ ახსოვდა, ვის ჰქონდა მანდ პიანინო, იშვიათად ჩამოდიოდა მშობლებთან, ყოველთვის სხვა ცდუნებები ირეოდა თავს...

ნეტა, მალე დაამტკიცებდნენ მატარებლის უფროსად. აი, ბაქოს მიმართულებით თუ მოხვდება, მაშინ კი მოაბეზრებს აქ თავს ყველას. მშობლებისთვის არ გაუმხელია, სამმართველოდან წამოსვლა რომ გადაწყვიტა. რისთვის უნდა ეთქვა? მამას ეწყინება. ნებისმიერ ვინმეს, ვინც კი რკინიგზასთანაა დაკავშირებული, ესმის, სპეციალისტი რისთვისაც გადადის მატარებელში. დღევანდელ დღეს ეს ყველაზე შემოსავლიანი სამუშაოა. განსაკუთრებით, რასაკვირველია, მამამისი, ნიკოლოზ კაციტაძე, აღშფოთდებოდა. იდეალისტია! დედამისიც მასავით იდეალისტი გახლავთ. ფერი ფერსო, მონახეს ერთმანეთი. თუმცა, დედა უფრო ფხიზლად უყურებს მოვლენებს. ეგ რომ არა, მამა თავისი ავადმყოფური წესიერებით სულ დაიკარგებოდა. არა, დედა მას ამ გზიდან არ აცდენდა, ღმერთმა დაიფაროს. უბრალოდ, ის ცდილობდა, მამით აღფრთოვანებულობიდან პრაქტიკული სარგებლობა ენახა. და მის საფიქრალს ძალიან განიცდიდა.

თუნდაც პროექტი ავიღოთ. დედა რომ არა, ის ფანტაზიად დარჩებოდა. სანამ მამა მუშაობაში ჩაებმებოდა, დედამ, განათლებით ეკონომისტმა, მგზავრთა გადაყვანაზე დიდძალი მასალა შეაგროვა, სისტემაში მოიყვანა და კართოტეკა შეადგინა. ეს ვაგონებისა და ვაგზლების რესტორნების საქონელბრუნვაო, ეს მგზავრთა საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობაო, ეს მატარებლების ფორმირება და სატრანზიტო გზებზე შემოსავლების განაწილებაო... მისმა ენერგიამ მამას ფრთა შეასხა. იდეამ, რომელსაც მამა ზოგადად აყალიბებდა, დედის ჩარევის შემდეგ კონკრეტული ფორმა მიიღო.

მამამ თავისი ხანგრძლივი ლაშქრობა დაიწყო. ადგილობრივი რკინიგზის ხელმძღვანელობას მისი წინადადებით განსაკუთრებული დაინტერესება არ გამოუჩენია და ამის გამო გულჩათხრობილი გახდა. და მარია რომ არა, რომელიც ცოცხალ საყვედურად უტრიალებდა თვალწინ, მამა მზად იყო, ეს ქაღალდები მაკულატურის შემგროვებელი მოსწავლეებისათვის მიეცა. მარია მოითხოვდა, რომ ქმარს უფრო მაღალ ინსტანციებში, მაღალ პარტიულ ორგანიზაციებში გადაეტანა ბრძოლა, მაგრამ ნიკოლოზს არ უნდოდა თავის თანამშრომლებს, ამხანაგებს, მშობლიურ ბუდეს დაპირისპირებოდა. კი არ ეშინოდა, არა. უბრალოდ, ბევრ მათგანს დიდი ხანია იცნობდა და შეეჩვია. თუ, ერთიც ვნახოთ და, პროექტს მსვლელობა მიეცემოდა, გზაზე მავანი და მავანი, როგორც სპეციალისტი, საუკეთესო მხრით არ გამოჩნდებოდა და ოჯახის ტვირთით ზურგდამძიმებული ადამიანები, ვაითუ, სამსახურიდანაც დაეთხოვათ. ასე ფიქრობდა ნიკოლოზ კაციტაძე, ეს სინდისიერი კაცი. დედა კი მიიჩნევდა, რომ ნამდვილი მამაკაცი ასე არ უნდა მოქცეულიყო და ბრაზობდა...

აპოლონი ჭერს ასცქეროდა... ეჩვენებოდა, რომ ის დაწყევლილი გამები ლაქებად ქონავდნენ ბათქაშიდან, წვიმის წვეთებს მსგავსად წყდებოდნენ და პირდაპირ [illegible] ეწვეთებოდნენ.

აპოლონი საწოლიდან ადგა, ფეხებით ფლოსტები მონახა და დერეფანში გავიდა. ერთხანს იქ იდგა. რა ჰქნას? ავიდეს მეზობლებთან და კონცერტის შეწყვეტა თხოვოს? გვიანი ღამეა. როგორღაც უხერხულია, ნიკოლოზ კაციტაძის შვილი შარიანი ვინმე დამდგარაო, იფიქრებენ.

ბავშვობიდან ნაცნობ დერეფანში ახლა სივრცეს ავსებდა შკაფები, მაგიდები, ფანჯრის რაფები. ადრე ეს დერეფანი გაცილებით ფართო ეჩვენებოდა. აი, ალინას ბინის დერეფანია ნამდვილი დერეფანი — თუ გნებავს, ველოსიპედით ისეირნე. იქ ოთახებიც უფრო დიდია.

აპოლონმა უხმაუროდ მიიჩოჩა ტაბურეტი და ჩამოჯდა. ამ დროს საძინებელი ოთახიდან ხმები შემოესმა — მშობლების საუბარს ოთახის კარი ახშობდა.

— მიდის ჩვენგან შვილი, მარია, გვტოვებს, — თქვა მამამ. — კიდევ რომ გვყავდნენ შვილები...

— ახლა გაახსენდა, — ამოიხვნეშა დედამ. — რომ გვყავდნენ, ვითომ რა? ეგენიც წავიდოდნენ. ყველანი წავიდოდნენ...

— ერთხანს ჩუმად იყო, მერე ერთხელაც ამოიხვნეშა: — როგორ ხელში მოხვდება, ვინ იცის.. შვილები თავიანთ მშობლებს ვერასდროს ვერ უგებდნენ. როცა აღარ ვიქნებით, მაშინ გაგვიგებენ.

— საქმე ეგ არაა... ქვეყანა შეიცვალა, მარია, ქვეყანა.

— შენ მაინც ძველი ქვაბი ხარ, ნიკო.

— ეგრეა. კოჭლი ხელმოცარული ვინმე ვარ.

აპოლონი სენტიმენტალური კაცი არ იყო, მაგრამ ეს საღამო, გამხმარი კამის ნაცნობი მოტკბო სუნით გაჟღენთილი ეს ძველი დერეფანი და ადამიანები, რომელთა მშობლიური ხმებიც მას ესმოდა, ახლა ისე უქმადგო ეჩვენებოდა, ისე, რომ.. დანაშაულის გრძნობა მძიმე ლოდად აწვა გულზე. მაგრამ რა დანაშაული მოუძღვის მათ წინაშე? ის, რომ სხვა ქალაქში გადავიდა? ბოლოს და ბოლოს, შეუძლიათ ბინა გადაცვალონ და მასთან, სევეროგრადში გადასახლდნენ. რამდენჯერ ჩამოუგდო ამაზე ლაპარაკი, მაგრამ მამა გაკერპდა. სად უნდა გადავიდეს, რისთვის? იმ ქალაქიდან უნდა გადავიდეს, სადაც ყოველი სახლი ისევეა მისი, როგორც საკუთარ ბინაში რომ უდგას, ის შკაფი, და სადაც ამდენი მეგობარი, ნაცნობი, ნათესავი ჰყავს? და დედაც მხარს უჭერდა მას.

და ასეთ სამჭმუნვარო ფიქრებში დანთქმული აპოლონი დიდხანს იჯდა იქ. საძინებელი ოთახიდან სულ უფრო და უფრო დაჟინებულად მოისმოდა მამის ხვრინვა და ზემო სართულიდან უკვე აღარ წვეთავდა პიანინოს ხმები.

სახლს ეძინა.

აპოლონის დაქორწინებიდან თხუთმეტი წლის შემდეგ მამამისი, ნიკოლოზ კაციტაძე გარდაიცვალა.

აპოლონსა და მის ოჯახს დეპეშა ბიჭვინთაში მოუვიდა — იქ ისვენებდნენ.

ის ბაქოში მარტოკა გამოფრინდა: შუა ზაფხულში ბილეთების შოვნა ჭირდა.

და აი, ის დგას კუბოსთან და შავთავშალმოხურული დედისთვის აქვს ხელმკლავი გაყრილი.

ალინა და მისი გოგო დაკრძალვის დღესლა ჩამოვიდნენ მატარებლით. რომელიღაც მეზობელმა ალინას თალხი წამოსასხამი ათხოვა — უხერხული იყო: მას დაკრძალვაზე ცისფერი კაბა ეცვა. „როგორი უცხო ადამიანის სახე აქვს“, — გახელებით გაიფიქრა აპოლონმა. ალინას მოსასხამზე გადმოფანტული ადრეშემოდგომის ფოთლებისფერი თმები ზეიმსა და უდარდელობას, უნაღვლობას აფრქვევდა, გეგონებოდათ, რომ ამ თმებს ზღვის წყალი ჯერ არ შეშრობიაო. ალინა ცდილობდა, თავის ჭირვეულ სახეზე მწუხარება გამოეხატა, მაგრამ მისი თვალები მოწყენილობის მეტს არაფერს გამოხატავდნენ. მის ქალიშვილს კი პაპამისი მხოლოდ ორჯერ ჰყავდა ნანახი. და ის, გამხდარი და მაღალი, ეხუტებოდა დედას და მთლად ბოლომდე არ ესმოდა, რა ხდებოდა აქ.

ეზოს შუაგულში გაჭუცულ ხალიჩაზე დადგეს კუბო — რატომღაც მეტისმეტად დიდი ჩანდა — შესაძლოა, იმის გამოც, რომ ყვავილებში იყო ჩაფლული, ანდა იმის გამო, რომ მიცვალებულის ფეხების მხარეს ორი გვირგვინი იყო მიყუდებული.

მძიმე, პირქუში ფიქრები ირეოდა აპოლონის თავში... სიკვდილს მამამისის სახე არ დაუმახინჯებია, მხოლოდ ზოგი ნაკვეთი გამოკვეთა და ყველა, ვინც იქ იყო, ხედავდა მიცვალებული კირდუღაბიანი სახისა და მიცვალებულის იქვე მდგარი ქვილის გასაოცარ მსგავსებას...

ეზოში .თავმოყრილ ბრბოში გაღწევას ცდილობდა რკინიგზელისფორმიანი კაცი, ძია ალეკპერი, — ის მძღოლებთან მოსალაპარაკებლად მიდიოდა.

ძია ალეკპერი მძიმედ სუნთქავდა, შავი ჰალსტუხი გვერდზე ჰქონდა გადაწეული, პერანგის ზედა ღილი შეხსნოდა.

იქ მყოფთაგან ბევრი დიდი ხანია იცნობდა ნიკოლოზ კაციტაძეს, რამდენი რამის თქმა შეეძლოთ მასზე! მაგრამ დუმდნენ, ყველას ეუხერხულებოდა პირველს ეთქვა სათქმელი...

ვარდისფრად თავმოტვლეპილი და მეჩხერწვერიანი მოხუცი რომ დაინახა, ძია ალეკპერი დაბნეულად მიესალმა:

— სალამ, ხაჩატურ, იქნებ, შენ გეთქვა სიტყვა?

მელოტმა მოხუცმა მხრები აიჩეჩა და მის გაცვეთილ პიჯაკზე უამრავი მედალი და ნიშანი აჩხარუნდა.

— ჯერ შენ ილაპარაკე, ალეკპერ. ჩვენს დაუვიწყარ ნიკოლოზზე მერეც ვისაუბრებ, მოვასწრებ, — თავის ამ სიტყვებს მნიშვნელობა მიანიჭა მოხუცმა.

— მე რა შემიძლია ვთქვა? — ამოიოხრა ძია ალეკპერმა და, კარგახანს დადუმების შემდეგ, ამოღერღა: — ძვირფასო ნიკო... და შენ, მარია... და შენ, აპოლონ... არ მეგონა, ნიკო, შენთან მაშინ თუ ვისაუბრებდი, როცა შენ ხმის ამოღება არ შეგეძლებოდა. პირიქით მოხდებოდა მეგონა... რამდენი წელი ვიცნობდით ჩვენ ერთმანეთს? თითქმის სამოცი წელია იმ დროიდან, როცა ბალაჯარაში, სახარისხებელში დავიწყეთ მუშაობა...

— ორმოცდათოთხმეტი წელია, — დაუზუსტა ხაჩატურმა, — მე ოსტატი ვიყავი.

— ეგრეა, ხაჩატური მაშინ უკვე ოსტატი იყო. — ძია ალეკპერი შეუკამათებლად დაეთანხმა. დაეთანხმა და, რაზეც ლაპარაკობდა, იმის აზრისგან გამოთიშულად განაგრძო, — რისი თქმა მინდა მე? მაშინ როგორ ვმუშაობდით? რა ინსტრუმენტები გვქონდა? ჰაიკოვერტი, ჩაქუჩი, ხელის ჯალამბარი. — ძია ალეკპერი

შეყოვნდა, დაფიქრდა: — ის ახლაცაა... შენა, ნიკო, ისე მუშაობდი, თითქოს რაღაც დღევანდელი ინსტრუმენტი, თვითმავალი მანქანა იყავი, ღმერთმანი... შემდეგ კი, როცა სახალხო მატარებელზე გადახვედი... რა იყო მაშინ მატარებელში, რა ხდებოდა? ყოველ შორეულ მარშრუტზე პარიკმახერი და ორი ელექტრომონტიორი მუშაობდა. ყოველ ვაგონში ორი გამყოლი იყო, ღმერთმანი. შემდეგ მონტიორები შეამცირეს, მატარებლები ვაგონების სამმართველოს უბანს გადასცეს, მატარებლის უფროს მექანიკოსს — ბრიგადირი დაარქვეს, რათა მას მექანიკოსის მაგივრადაც ეგო პასუხი ყველაფერზე, ღმერთმანი... მე რისი თქმა მინდა? — ძია ალეკპერმა სული მოითქვა. — შენ, ძმაო ნიკო, ყოველთვის პატივსაცემი და პატივცემული ადამიანი, შესანიშნავი მუშაკი, საპატიო რკინიგზელი იყავი...

— და მოძრაობის უსაფრთხოების საქმეში წარჩინებული იყო, — დასძინა ხაჩატურმა.

— ჰო, ეგრეც იყო, ხაჩატურმა შეგვახსენა... შენ მოძრაობის უსაფრთხოების საქმეში წარჩინებული იყავი, — ისევ დაეთანხმა ძია ალეკპერი. ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლი მოიწმინდა, თითქოს გონებას ინათებსო. — ძვირფასო ძმაო ნიკო... შენ გასაოცარი ადამიანი იყავი, არც კი ვიცი, შენისთანები დარჩნენ თუ არა ამ ქვეყანაზე. ომის ყველაზე მძიმე წლებში, ღმერთმანი, შენ ყოველთვის დარწმუნებული იყავი, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. მუშაობდი, მუშაობდი, დასვენება რა იყო, არ იცოდი... შენს მარიასთან ერთად, ღმერთმა ის დიდხანს აცოცხლოს...

— ჩემი ნიკო არა მყავს და მე რიღასთვის ვიცოცხლო? — ამოიკვნესა მარიამ.

— მარია, მარია, — უსაყვედურა ხაჩატურმა. შენ შვილი გყავს, შვილიშვილიც... ასე რატომ ლაპარაკობ?... როგორ შეიძლება?

— ეჰ, ხაჩატურ, ძვირფასო... უნიკოოდ...

თითქოს ლელქაშში სიომ დაუბერაო, ისე დაბურძგლა ხალხს.

— გაჩერდი, მარია, ღმერთს ვფიცავარ, შენ ძალიან სასაცილო რაღაცეებს ლაპარაკობ, თქვა ძია ალეკპერმა, ამოიხვნეშა და განაგრძო — მე რისი თქმა მინდა? შენა, ნიკო, შენს მარიასთან ერთად გადაწყვიტე, დახმარებოდი ჩვენს სამშობლოს. მაგრად ფიქრი დაიწყე და ძალიან სასარგებლო რამეები მოიფიქრე, ოღონდ, ჯერჯერობით ამ მაგარ რამეებს ცოტა ვინმე უჭერს მხარს...

— ეგ სწორედ ამან დაღუპა, — მოისმა ხალხის იმ ნაწილიდან, სადაც რკინიგზელები იყვნენ თავმოყრილნი.

— მოსკოვში უნდა დაეწერა, მინისაბჭოში, — შეეპასუხა სხვა ხმა.

— რა გამოვა მერე? წერე და იკითხე... — არ დაეთანხმა მესამე ხმა.

ძია ალეკპერი წამოძახილების შეწყვეტას ელოდებოდა.

— ერთი სიტყვით, მე მინდა ვთქვა, ნიკო, რომ... მშვიდად იძინე, ძვირფასო, ჩვენ არასოდეს, არასოდეს დაგივიწყებთ.

ძია ალეკპერი დადუმდა და გვერდზე გადგა. ჩამოწოლილი სიჩუმე მძიმდებოდა, რაღაცნაირი უხერხულობა ეუფლებოდა ხალხს.

— მეც ვიტყვი სიტყვას. — მოხუცი ხაჩატური გამოვიდა ხალხიდან — ძვირფასო ნიკოლაი გეორგიევიჩ, — ხაჩატურმა ბრძენი კაცის თვალი მოავლო იქ

მყოფთ და ისევ კუბოს მიმართა. — ძვირფასო ნიკოლოზ, კავკასიელისთვის სამოცდაათი წელი არაფერი არაა... მაგრამ მე, აი, რა მინდა ვთქვა... ჩვენ ყოველთვის ვამაყობთ, როცა ჩვენი ქვეყანა წინ გავარდება. ჩვენი რკინიგზელები ამერიკელებისას მთელი ეპოქით უსწრებს. გზის ყოველ კილომეტრზე ჩვენ ექვსჯერ მეტი ტვირთი გადაგვაქვს... და ამაშიცაა შენი დამსახურება, ძვირფასო ნიკოლაი გეორგიევიჩ... შენ განვლე დიდი გზა ვაგონების მსინჯველიდან ლოკომოტივის მემანქანემდე. უკანასკნელ რამდენიმე წელს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სადისპეტჩერო სამუშაოზე გადახვედი, შემდეგ პენსიონერი გახდი, როცა მგზავრების მომსახურება ორ უფროსს — ვაგონების სამმართველოსა და მგზავრების მთავარ სამმართველოს შორის გაიყო, შენ დაინახე, რომ ეს არ ვარგოდა, რომ ამით მგზავრის საქმე წახდა. შენს გულს, ნიკოლოზ, ძვირფასო, და შენი ცოლის, მარიას გულსაც... არ შეეძლოთ მშვიდად ყოფილიყვნენ. თქვენ არ დაგიწყიათ საღამოობით მშვიდად ჩაის სმა, თქვენ წინადადებების შემუშავება დაიწყეთ და მე, ხაჩატურ ტერ-ოვანესიანი, დარწმუნებული ვარ, რომ, ადრე თუ გვიან, შენს საქმეს, ნიკოლოზ, გაასრულებს შენი შვილი აპოლონი, რომელიც, მამამისივით, რკინიგზელია... რატომ ვერ გაგიგეთ შენ მაშინ? იმიტომ, რომ მაშინ შენი დრო არ იყო დამდგარი, ქვეყანას სხვა საზრუნაველი ჰქონდა. ახლა უნდა მივაღწიოთ მიზანს... ამიტომ მშვიდად, მშვიდად იძინე, ძვირფასო, ამხანაგები შენს ოჯახს არ მიატოვებენ... და საერთოდ, ნუ წუხხარ, ძვირფასო... — ღირსების გრძნობით აღსავსე ხაჩატური მედლების მოკრძალებული ჩხარაჩხურით გაღგა გვერდზე.

შემდეგ სხვებიც გამოვიდნენ — მეზობლები, თანამშრომლები, ნიკოლოზის ნათლულელი ბიძაშვილი...

პანაშვიდი გაჭიანურდა, სიტყვის წარმოთქმის მსურველებს ბოლო არ უჩანდათ.

ქუჩიდან ავტომობილების დელიკატური სიგნალები მოისმა. მძღოლები შეახსენებდნენ ჭირისუფლებს, რომ დრო იწურებოდა და მათ სხვა დამკვეთები ელოდნენ, —ისინი ხომ სამუშაოზე იყვნენ.

ხაჩატურ ოვანესიანმა მორიდებულ ძია ალეკპერს შეუძახა:

— გაათავე, ალეკპერ, სასაფლაოზეც ილაპარაკებენ. — ამით მან ისიც მიანიშნა იქ მყოფთ, რომ მასზე უკეთ მაინც ვერავინ ვერაფერს იტყოდა.

ძია ალეკპერმა შვებით ამოისუნთქა და გაიხედა პარმაღისკენ, სადაც მუსიკოსები უსაქმოდ ყურყუტებდნენ.

ორკესტრის ხელმძღვანელმა თეთრი მილი ამართა და სამგლოვიარო მელოდიამ იმ ქუჩის მცხოვრებთ აუწყა, რომ მათ შორის უკვე აღარ იყო უწყინარი ბერიკაცი ნიკო კაციტაძე.

აპოლონი თავის ჩაბნელებულ ოთახში იჯდა.

დედა იმ ღამით ნათესავებმა წაიყვანეს — მას მთლად გამოელია არაქათი. აპოლონიც მიჰყავდათ, მაგრამ იუარა...

კარის ღრიჭოდან მკრთალი შუქის ზოლი შემოიჭრა — ვიღაცამ სადარბაზო ოთახში შუქი აანთო, ალბათ, ალინა და გოგონა დაბრუნდნენ. ისინი ბულვარში დასეირნობდნენ, გულს აყოლებდნენ, — აღაპის გადახდის მთელი სიმძიმე მეზობლებს დააწვათ, მაგრამ საზრუნავი არც ამათ დაკლებიათ. აპოლონს არავისი ნახვა არ უნდოდა. სავარძლის რწევას თავი ანება, რათა ყურადღება არ მიეპყრო. გოგო ჭირვეული ხმით ეკითხებოდა ალინას, მამა ღამის გასათევად მოვა თუ მე შემიძლია შენთან დავწვეო? მათ იფიქრეს, რომ აპოლონი ნათესავებთან იყო წასული. ალინამ არ იცოდა, რა ეპასუხნა და გოგოს, ყოველი შემთხვევისთვის, ცალკე ან სხვა ოთახში დაწოლა ურჩია...

— მე აქა ვარ, აქა ვარ! — გასძახა აპოლონმა, რადგან იფიქრა, ქალიშვილი რომ შემოვა, მოულოდნელობისაგან შეშინდებაო.

— შენ აქა ხარ, აპიკ?! — წამოიძახა ალინამ.

„აპიკ, აპიკ... გეგონება ლოგინში ვუწევარო“ — გაღიზიანდა აპოლონი და ზღურბლზე მომდგარ ცოლს გასძახა:

— შუქს ნუ აანთებ, სიბნელეში მინდა ჯდომა.

— მეც შენთან ერთად დავჯდები. — ალინა დივანთან მივიდა, დაჯდა და ძველი დივანის ზამბარები მის უნებლიედ აჭრაჭუნდნენ. — ლამაზი ქალაქია.. როდის ვიყავი აქ უკანასკნელად? ხუთი წლის წინათ, არა? ჰო, ხუთი წელი გავიდა. ზოიკას მაშინ ათი წელი შეუსრულდა, იუბილე აღვნიშნეთ...

კარის ღიობში გოგონას უშნო ფიგურა გამოჩნდა.

— დე.. სადა ხარ? ღამურებსავით სხედხართ ამ სიბნელეში... მე სად დავწვე?

— გოგონა დემონსტრაციულად მარტო დედას ეკითხებოდა, რითაც მის ცხოვრებაში მამის როლის ზედმეტობას უსვამდა ხაზს.

„მის ასაკში მეც ასეთი შტერი ვიყავი“, — აპოლონმა თავი სავარძლის ზურგზე გადაიგდო და ცდილობდა, თვალზე მომდგარი ცრემლი შეეკავებინა.

— სად დაწვეს, აპიკ?

— სადაც უნდა, — მიუგო აპოლონმა, — მე აქ დავრჩები.

— მაშინ შენთან დავწვები, ხო, დედი?

— ოღონდ კედლისკენ.

— ბიჭვინთაში როდის დავბრუნდებით?

— არ ვიცი, — გაღიზიანებით მიუგო ალინამ. — წადი, დაწექი, ნუ წაიღე გული.

— მოდი, ხვალ წავიდეთ, დედი.

— შენ გეუბნებიან, წადი, დაწექიო, — დაუყვირა ალინამ.

აპოლონი გრძნობდა, როგორ წიწკნიდა ბოლომდე მოურჩენელი კბილი — ის ყოველთვის ახსენებდა თავს, როცა კი კრიჭა შეეკვრებოდა.

— აპიკ, ჩაი ხომ არ გინდა? — ჰკითხა ალინამ, როცა გოგონა გავიდა.

— წადი, თუ ქალი ხარ, დაიძინე.

— კარგი, კარგი... — თვინიერად უთხრა ქალმა. — მე შენი მესმის...

ვერ ვიტყვით, რომ აპოლონის ოჯახური ცხოვრების თხუთმეტ წელს ბედნიერებაში ჩაევლოს. რამდენჯერმე სცადა ალინას მიტოვება და წასვლა, მაგრამ ყოველთვის ბრუნდებოდა. დედ-მამასაც არ უნდოდა მათი გაყრა.

ალინამ თავიდანვე შეიჯავრა ახალი ნათესავები. რითი დაიწყო ეს, გაუგებარია. შესაძლოა, იმით, რომ მშობლები ყოველნაირად აგონებდნენ შვილს, დეპოში ან უბანზე „სოლიდურ საქმეს“ მოკიდე ხელიო, მაშინ, როცა ალინა დაჟინებით მოითხოვდა, რომ აპოლონი მატარებელზე დარჩენილიყო?

მატარებლის უფროსი ბევრმა რამემ შეიძლება აცდუნოსო, ამბობდა მამა. მაგრამ ალინას მოთხოვნამ გადასძალა და, სიმართლეს თუ ვიტყვით, აპოლონიც მის მხარეზე იყო. მაგრამ ახლა ერთფეროვანი სამუშაო სულ უფრო და უფრო უმძიმდა გულს. ფულის შოვნის შესაძლებლობების გამოძებნა უკვე ჩვეულებრივი საქმე იყო და მისთვის ჭეშმარიტება გახდა, რომ ფული ჯერ კიდევ ყველაფარი არ იყო. აპოლონს უკვე არ შეეძლო დანახვაც კი დეიდებისა და ბიძებისა, რომლებიც მას გრძელი მარშრუტის ყველა გაჩერებაზე ხვდებოდნენ. ალინას აგენტები! ის მათ კოლოფებით დეფიციტურ საქონელს აბარებდა, ისინი კი, თავის მხრივ, ალინასთან ამანათებს ან უბრალოდ ფულის შეკვრებს ატანდნენ. ასე გრძელდებოდა ეს ჟამიანი აღებ-მიცემობა, რომელიც ორივე მხარისთვის ხელსაყრელი იყო, ვიდრე ერთხელ აპოლონი არ აბუტდა. საშინელი სკანდალი ატყდა, კიდევ კარგი, რომ გოგონა სკოლაში იყო და ალინამ უკან დაიხია, იგრძნო, რომ მეტისმეტი მოსდიოდა...

— აპიკ, — დაუძახა ალინამ დივანიდან.

— დღეს მაინც ნუ მეძახი ამ სულელურ სახელს, — ხმადაბლა მიუგო აპოლონმა.

— ისეთი რა მოხდა, რო?

— როდის? დღეს?

— თქვენ უბრალოდ შარზე ხართ და სკანდალის ატეხის მიზეზს ეძებთ, აპოლონ ნიკოლაევიჩ, — ქრისტიანის სახელითა და მამის სახელით მიმართვა შეკავებული მრისხანების ნიშანი იყო, განრისხებისას კი ალინას რომ გადარევა და ნებისმიერი სიტყვების თქმა შეეძლო, აპოლონმა კარგად იცოდა.

— დავწვეთ, — შემრიგებლურად თქვა კაცმა.

— ჩვენ როდის წავალთ აქედან? — ჰკითხა ალინამ.

— ვერ გავიგე, — ერთხანს დუმილის შემდეგ ამოიხვნეშა აპოლონმა.

— ჩვენ ბიჭვინთაში როდის დავბრუნდებით-მეთქი, გეკითხები. ჩემი შვებულება რეზინასავით ხომ არ იწელება? ზოიკასაც უთავდება არდადეგები.

აპოლონმა სიტყვები ვერ გამოძებნა, მხოლოდ რაღაც ჩაბუზღუნა.

— მომისმინე... მამა ეს-ესაა დავასაფლავეთ... ცხრა დღე გავა და...

— ცხრა დღეო?! — ჩუმი ბოღმით გამოსცრა კბილებიდან ალინამ. — ხვალიდანვე აქ ჩემი ფეხი აღარ იქნება.

— მომისმინე... იმაზე არაფერს ვამბობ, რომ ეს მამაჩემია, — აპოლონი ცდილობდა თავს მორეოდა. — მაგრამ არსებობს, ასე ვთქვათ, ტაქტი...

— შენ ტაქტზე მელაპარაკები?—ღვარძლიანად გაიცინა ალინამ. — ერთმა ვინმემ მაინც გამიხსენა? თუნდაც საკუთარმა ქმარმა მაინც? ყველანი ნიკოლაი გეორგიევიჩზე, დედაშენზე, შენზე ლაპარაკობდნენ, მე კი თითქოს არც ვარსებობდე ამქვეყნად, ახლობლების სიიდან ამომრიცხეთ. გმადლობთ, რომ ზოიკა, შვილიშვილი ახსენა ვიღაცამ, მე კი...

— ეს აღაპია და ბრა ბანკეტი.

— სულერთია...

აპოლონი დუმდა. ოთახში ბნელოდა, მაგრამ მისი დახუჭული თვალების წინ ნარინჯისფერი მკაფიო წრეები რიალებდნენ. ახლა მას შეეძლო რამე ავი, სძაგელი ეთქვა...

— შენს აღაპზე ყველანი შენზე ილაპარაკებენ, ალინა.

— ჩემსაზე ადრე შენი იქნება, აპოლონ, — იმავე ტონით მიუგო ალინამ.

თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ.

ᲛᲘᲚᲘ ᲡᲐᲑᲠᲭᲝᲚᲝ ᲒᲖᲐ

ᲛᲐᲠᲯᲕᲔ ᲑᲘᲯᲘ

Გმირული შემართებითა და ვაჟკაცობითაა აღსავსე ჩვენი თანამემამულის, სასახლეროს წარმომადგენლის, ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, სამი ორდენისა და ოცდაერთი მედლის კავალრის, გენერალ-მაორ პანტელეიმონ გიორგაძის ცხოვრება.

პანტელეიმონ, ანუ, როგორც მას ახლობლები ეძახიან, კაკო გიორგაძე, დაიბადა 1925 წლის 17 აგვისტოს სამტრედიის რაიონის სოფელ გორმადალში. აქვე მიიღო დაწყებითი განათლება, ხოლო, როცა შვობლები სამტრედიაში გადავიდნენ საცხოვრებლად, რკინიგზის სკოლაში გადავიდა სწავლა. შვობლები კოლმეურნეობაში შუამაღნენ. კაკო და მისი უმცროსი და-ძმა სწავლასთან ერთად ხალისით ეხმარებოდნენ შვობლებს შინაც და სამეურნეოშიც. ზაფხულობით ბავშვები ხშირად 50-80 შრომადღეს გამოიმუშავებდნენ ხოლმე. ფრიადოსანი მოსწავლე და შრომაში სახელმოხვეჭილი ჰპუკი პირველი საკავშირო სასოფლო-საკეთილო გამოფენის მონაწილეობაც კი იყო.

1938 წლის მარტში იგი კომკავშირელი გახდა. ახალგაზრდა კაცმა იგრძნო, რომ უფრო მეტი პასუხისმგებლობა დაეკისრა მეგობრების, ახლობლებისა და სამშობლოს წინაშე.

1941 წლის ივნისში კაკომ საშუალო სკოლა წარჩინებით დაამთავრა და გადაწყვეტა, საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის ინდუსტრიულ ინსტიტუტში სამთო ფაკულტეტზე შეეტანა საბუთები. ჯერ თექვსმეტი წელიც არ შესრულებოდა და ინსტიტუტში მიღებაზე უარი ეთხრეს. უკან არ დაუხევია, განათლების სახალხო კომისარს მიმართა დახმარებისათვის. და აი, აგვისტოს ბოლო რიცხვებში გაზეთ „კომუნისტიდან" გაიგო ინსტიტუტში ჩარიცხვის შესახებ (იმ დროს უმაღლესში ჩარიცხულთა სიას გაზეთებში აქვეყნებდნენ).

დიდი სამამული ომი მძვინვარებდა. ყველა საშობლოს დასაცავად მიიწევდა. კაკოს ოცნებაც ფრონტზე მოხვედრა იყო. მასაც უნდოდა თანატოლებთან ერთად თავი გამოეჩინა მტრის განადგურებაში. მრავალჯერ მიმართა საბჭოთა კომისარიატს და მხოლოდ 1943 წლის აპრილში აუსრულდა წადილი: იგი გაიწვიეს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესაზღვრე ჯარებში.

... ბალანსირით — გრძელ როკებიანი ჯოხით ხელში, რომელიც თითქოს ახლახან მოეძებნოს ტყეში, მიაბიჯებს იგი იმპროვიზებულ მოედანზე ორ უბრალო პალოს შორის დაჭიმულ ბაგირზე. მას თვალები ახვეული აქვს, შემდეგ მოძრაობს ბაგირზე ტაბურეტით ან.. ტაშტითაც კი.

თბილისობაზე ამ ტრადიციულ სახალხო დღესასწაულზე, შეკრებილი ათასობით ადამიანი ტაშს უკრავდა ახმეტის მთიანი რაიონის სოფელ მატნიდან ჩამოსულ ჩვიდმეტ წლის ჰაბუკს. რამაზ გარშოლოშვილი კი ხხოლოდ მორცხვად იღიმებოდა. შემდეგ მან ტყავის ხურჯინიდან „ბორჯომის" რამდენიმე ბოთლი ამოიღო, მიატეხა იქვე რიყის ქვას, პირდაპირ ასფალტზე მიმოფანტა ნამსხვრევები და ზედ დაწვა შიშველი ზურგით. უფრო მეტი ეფექტისათვის, მაყურებელთაგან ვამოიყვანა თერთმეტ-თორმეტი წლის ბიჭი და მკერდზე გადაატარა. როცა ადგა, თავისი კამერით ამოდენ ეძებდა ტელევიზიის ოპერატორი რაიმე ნაკაწრს მის ზურგზე. არც ერთი ნაკაწრი!

რამაზმა შემდეგ შიშველი ფეხით გადაიარა ამ ნამსხვრევებზე, თითქოს ტყეში ხავსზე სეირნობდესო. როცა ჰაბუკმა დაამთავრა თავისი გამოსვლა ბანთოფლებში, პირველი, ვინც მასთან მივიდა, ვულში ჩაიკრა და გადაკოცნა, იყო თბილისის დიდწყო ხიფათითა და მოულოდნელობით აღსავსე ძმიმე ფრონტული ცხოვრება. ტამანის ნახევარკუნძულისა და ნოვოროსიისკის გასთავისუფლების ოპერაცია მზადდებოდა. 46-ე და მე-18 არმიის ზურგში ტტერმა მრავალი დივერსიული და სადაზვერვო-სადესანტო ჯგუფი გადმოისროლა. მათ აღმოსაჩენად და გასანადგურებლად დიდი მუშაობა ჩაბარდა. ოპერაციებში აქტიურად მონაწილეობდა პატტელეიმონ გიორგაძეც.

წითელი არმის ოფიცერ-ჯარისკაცების ფორმით გადაცმული ვერმახელი დივერსანტები დიდ საშიშროებას წარმადგენდნენ. ჩვენი თანამემამულე მათ წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება. არანაკლებ სამუშაო და სიმხნეზეი ჭერნდათ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატ სასაზღვრო ჯარებს, სადაც ტამანის ნახევარკუნძულიდან მტრის განდევნის შემდეგ გიორგაძე მესაზღვრე-მზვერავი იყო.

სარდლობამ არაერთხელ აღნიშნა ჩვენი თანამემამულის საზრიანობა და ვეჟაკცობა. იგი აირჩიეს მესაზღვრეთა ქვედაბაყოფის კომკავშირის ორგანიზაციის მდივნად.

1945 წელს მამაცი ჰაბუკი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატი გახდა. მაშინ ოცი წლისაც არ იყო. მალე კი ალმა-ათის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საკავალერიო-სასაზღვრო სასწავლებელში გაგზავნეს.

აქ 1947 წელს შრომისმოყვარე და საქმის კარგი მცოდნე ქართველი კურსანტი პარტიის რიგებში მიიღეს. ერთი წლის შემდეგ სასწავლებლის ჯერსდამთავრებული ლეიტენანტი ყაზახეთის სასაზღვრო ოლქში გაგზავნეს. ჯერ სამწყობრო თანამდებობაზე იყო, ხოლო შემდეგ პარტიულ პოლიტიკურ სამუშაოზე გადაიყვანეს.

1952 წელს ახალგაზრდა ოფიცერი უმაღლეს საბჭორო სასაზღვაოელად შედის. ოთხი წლის სწავლის შემდეგ კი ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქში აგრძელებს სამსახურს.

რამდენი რამ უნახავს და განუცდია აქ. რა დაავიწყებს თუნდაც 1956 წლის ზაფხულის ძმიმე დღეებს, როდესაც საშიში ბანდა ცდილობდა, მეზობელი საბჭოეთიდან საბჭოთა მიწაზე შემოკრილიყო. მაშინ მცირე კავკასიონის მთებში მართლაც დაირღვა სიმშვიდე. ჯილუბამდე შეიარაღებულმა ბანდამ ჩვენი საზღვრები გადმოლახა. როგორც კი მესაზღვრეებმა მტრის კვალი შეამჩნიეს. მთელ საზღვარზე ვაგზავნეთ ატაკი. საგანგაშო ჯგუფს გიორგაძე მეთაურობდა. იგი ბანდის კვალს გაჰყვა. ბანდასთან შეტაკება ხანმოკლე გამოდგა. მტერი მოულოდნელ თავდასხმას არ ელოდა.

საბჭოთა მესაზღვრეებმა, ფეხოსანმა ჯარის ნაწილებთან ერთად, ბანდადევნეს მტერი. მაგრამ მესაზღვრეთა სასაზღვრო მარტო მტრის დევნითა და [illegible] ... კებით რიდი შემოიფარგლება. საზღვარზე ბევრი სახიფათო სამუშაო აქვს. ჩვენ გვსმენია გამოთქმა „მესაზღვრე მხოლოდ ერთხელ ცდება", მაგრამ იშვიათად დაფიქრებულვართ, რომ მას არა აქვს ერთხელ შეცდომის უფლებაც კი. მისი შეცდომა შეიძლება მრავალი ადამიანის სიცოცხლის ფასად დაჯდეს. ეს კარგად იცოდა კაპიტანმა გიორგაძემ და ცდილობდა, მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება ახალგაზდა მესაზღვრეებისათვის გადაეცა.

1967 წელს პანტელეიმონ ივანეს ძე გიორგაძე, როგორც ნაწილის მოწინავე მეთაური, გენერალური შტაბის აკადემიაში გაიგზავნა. მისი დამთავრების შემდეგ კვლავ შვობლიურ სასაზღვრო ოლქს დაუბრუნდა. მალე მესაზღვრე ჯარების სარდლის მოადგილედ გადაიყვანეს.

1971 წლის ივნისში ვ. ი. გიორგაძეს გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება მიენიჭა.

1976 წლიდან იგი შუა აზიის სასაზღვრო ოლქში შტაბის უფროსად მუშაობდა. სამი წელი შემდეგ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების სარდლის მოადგილეა. და აი, აქედან ხხვა სამსახურიმგებლო თანამდებობაზე მიმყავთ, სადაც ახლაც წარმატებით მუშაობს.

ასეთია ჩვენი თანამემამულის — მესაზღვრე ჯარების ერთადერთი ქართველი გენერლის საბრძოლო გზა.

ლევან დოლიძე

18461

ცირკის დირექტორი, საქართველოს სახალხო არტისტი ბორის წიფურია:

— აქ საიდან გაჩნდი, ბიჭო? ჩვენ ხომ შენნაირი ნიჭის ადამიანებს მთელ საქართველოში ვეძებთ. შენ კი ჩვენთან თვითონვე მოხვედი. ახლა მხოლოდ ერთი გზა გაქვს — მთებიდან მოხვალ ცირკში სამუშაოდ, დაამთავრებ სფენტრალდო-საცირკო სასწავლებელს და პროფესიონალი მსახიობი გამოხვალ!

— ჯერ მეათე კლასში ვარ, აი დავამთავრებ სკოლას და... დედაჩემს ხუთი შვილი ჰყავს, ყველაზე უმცროსი ვარ. ჩემი დედ-მამა მეეხსიერები არიან, და არ ვიცი, რას იტყვიან და თანაც, — თავი დახარა რამაზმა, — გულახდილად თუ ვიტყვი, ცირკში ერთხელაც არ ეყოფილვარ. როგორ უნდა გამოვიდე იქ, როცა ამდენმა ადამიანმა იყიდა ბილეთი, ყველა შენ მოგჩერებია...

— კი მაგრამ, განა აქ, ქუჩაში, ცოტა ხალხია?

— აქ ყველაფერი ისეა, როგორც ჩვენს სოფელში, დღესასწაულზე.

— პირველად როდის დადექი ბაგირზე?

— ეს ბაგირი კი არა, უბრალო თოკი გაბლდათ. გაზაფხულზე საჭირო იყო ნაკადულზე გადასვლა, მთებში რომ აკსულიყავი. გადმა ნაპირზე ტტყორცნე, კვანძი ხეს ჩამოვაცურე, მეორე ბოლო კი აქეთ ნაპირზე მივაბი და გავიარე თოკზე, ფეხის დაუსველებლად. ისე მომეწონა თოკზე სიარული, რომ შემდეგ ეზოშიც გავბი თოკი და მეგობრებს ვუჩვენებდი ჩემს „ოსტატობას".

... რამაზს გარს შემოეხვივნენ: ვინ რას ეკითხებოდა და ვინ რას. ერთმა ისიც კი ჰკითხა: — ბევრი წიგნი გაქვს წაკითხული ოიგეზზე, ასე თავისუფლად რომ დალიხარ მინის ნამსხვრევებზეო?

გამოირკვა, რომ არც ერთი წიგნი არა ჰქონია წაკითხული ამ თემაზე. ოღონდ ყოველთვის უკეთებია ის, რაც ახლო ყოფილა გულთან.

ალბერტ ვიბანანსი

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საუკუნეებში გამოვლილმა ქართველმა ერმა, მისმა სულიერმა ძალამ და ენერგიამ, თითქოს ერთ დიდ კაცში მოიყარა თავი. ილია და საქართველო უერთმანეთოდ წარმოუდგენელია. სწორედ ამაზე მეტყველებენ მოგონებები და გამონათქვამები.

იაკობ გოგებაშვილი

იქნება არც ერთს მსოფლიო გენიოსს არა ჰქონდეს იმოდენა მსოფლიო მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამოდენაც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის. ეს უმაგალითო მნიშვნელობა დამოკიდებულია ერთის მხრივ ილიას განსაკუთრებულს ნიჭზე, მეორე მხრივ ჩვენი ქვეყნის დაცემაზე...

. . . .

თუ ქართველი მწერალი მგოსანია, საკმარისი არ არის იგი გენიალური პოეტი იყოს, — უკიდურესად საჭიროა, რომ ის გენიალური პოეტი იყოს აგრეთვე გენიალური მოძღვარი, გენიალური პედაგოგი თავისი ერისათვის. სწორედ ასეთია ილია. ყველა მის უკვდავ ქმნილებაში გაისმის მაღალნიჭიერი ქადაგება უმაღლესი ეთიკისა, საქვეყნო ღვაწლისა, თავდადებულობისა, მადლისა, სიყვარულისა და ყველა ეს განხორციელებულია საოცარი სიტყვაკაზმულობით. ილიას ქმნილებანი რომ რუსულად გადაუთარგმნონ ლევ ტოლსტოისა, იგი მას საუკეთესო მსოფლიო გენიოსების რიგში საპატიო ადგილს დაუთმობს...

ნიკო ნიკოლაძე

1863 წელს ილია ჭავჭავაძემ დაიწყო „საქართველოს მოამბის“ გამოცემა. ვის არ ახსოვს ეს წელიწადი, როცა ერთის მხრით ჩვენი ცხოვრება თავის უწინდელ კალაპოტს ცვლიდა და ახალში შესვლას აპირებდა. ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, არ აპირებდა, მაგრამ მაინც უნდა შესულიყო და როცა მეორეს მხრივ ატყდა სასტიკი ბრძოლა ახალგაზრდობისა ე. ი. ახალი ცხოვრების, და ძველი კაცობის ე. ი. ძველს წესსა და სჯულს შუა. რაც კი რამ იყო ჩვენში ახალგაზრდა, მხნე, ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავლის დროშა, რომელიც მხნედ ეკავა ილია ჭავჭავაძეს...

. . . .

ილია ჭავჭავაძე, რომელსაც უპირატესად წილად ხვდა პატივი სამოციანი წლების დასაწყისში საქმის ასეთი გონივრული წარმართვისა, სწორედ ისეთი ადამიანი იყო, როგორიც სჭირდებოდა მაშინდელ ქართულ ლიტერატურას. მისი ნიჭი, მისი განწყობილება და მსოფლმხედველობა მაშინ სრულიად შეესაბამებოდა დროის მოთხოვნილებებს. ილია ჭავჭავაძემ მოახერხა და შესძლო ჩასდგომოდა სათავეში მოძრაობას, შესძლო მოეტანა მეტად ხელშესახები სარგებლობა, როგორც ქართული ლიტერატურისათვის, ასევე ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარებისათვის.

ილია ჭავჭავაძემ პირველად დაამტკიცა ის საფუძვლიანი აზრი, რომ მწერლობა იმ ენას უნდა ხმარობდეს, რომლითაც ხალხი ლაპარაკობს.

ეკვთიმე თაყაიშვილი

ჩვეულებრივ, ქართველ საზოგადო მოღვაწეებს, როდესაც რაიმე საქმე ჰქონდათ მთავრობის დიდ მოხელეებთან, შუამავლად ილია უნდა წაეყვანათ. უიმისოდ მთავრობის წარმომადგენელნი ქართველებს არ იღებდნენ და, თუ მიიღებდნენ, ყურადღებას არ აქცევდნენ. ილიას ზოგჯერ ეზარებოდა ამ როლის შესრულება და ყოყმანობდა წაყოლაზე; ხშირად აგზავნიდნენ მას ისეთი საქმეების შესახებაც, რომელთა კურსში ილია ნაკლებად იყო, მაგრამ რაკი სხვა შესაფერი ადამიანი არ ჰყავდათ, სულ მას აკისრებდნენ ყველა დიდ საქმეს...

ერთხელ გადავწყვიტეთ, მთავრობის წინააღმდეგ დიდი მანიფესტაცია მოგვეხდინა და დემონსტრატიულად მოგვეთხოვა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია. როდესაც წამოიჭრა საკითხი, ვინ გაუძღვება წინ ამ არაჩვეულებრივ დემონსტრაციას, ილიამ თქვა: „თუ საჭიროა, მე წაგიძღვებითო“. მაგრამ შემდეგ ისე წავიდა თვითმპყრობელური რუსეთის საქმე, რომ ამ დემონსტრაციის მოწყობა აღარ დაგვჭირდა.

ეს ამბავი იმიტომ მოვიყვანე, რომ ილიასაგან არავინ არ მოელოდა, თუ ის დემონსტრაციის მეთაური გახდებოდა და თავის ჩვეულებრივ სიფრთხილეს გადალახავდა. მაშინ ღრმად დავრწმუნდი, რომ ილია თავს არ დაზოგავდა და არც უკან დაიხევდა საზოგადო საქმეში, თუ კი ეს საჭირო იქნებოდა საქართველოს კეთილდღეობისათვის...

ილიას ჰქონდა თავისი მოვალეობის დიდი შეგნება, ამიტომ ის დიდი სიფრთხილით ეპყრობოდა ყველა თავის ნაწერს. არ არის ილიას თხზულება, რომელიც მას რამოდენიმეჯერ არ გადაეკეთებინოს და არ შეესწორებინოს...

მას ჩვეულებად ჰქონდა მიღებული, როდესაც რაიმე თხზულებას დაწერდა, შეკრებდა თავის თანამშრომლებს, მეგობრებს და მათ წაუკითხავდა ნაწერს, ყურადღებით მოისმენდა შენიშვნებს და ამის საფუძველზე ნაწერს ზოგჯერ ასწორებდა ხოლმე.

გრიგოლ ყიფშიძე

არც ერთი შესამჩნევი საზოგადო მოღვაწეობა ისე არ ჩაივლიდა, რომ ილიას არ მიეღო ასეთი თუ ისეთი მონაწილეობა. როცა კი საქართველოს ცხოვრებაში დიდი რამ წუთი დამდგარა, უთუოდ ის შიგ შუა გულში მდგარა და უტვირთნია როლი წინამძღოლისა, საზოგადოების აზრის ხელმძღვანელისა, თითქოს პაპია რომისა, თითქო მამა-მთავარია დაობლებულის საქართველოსიო. ისე შესცქეროდა განათლებული ნაწილი ერისა და ჩვენის ქვეყნის ყოველი კუთხიდან მასთან იკრიფებოდა ყველა, რომ ან რჩევა ეკითხა, ან შემწეობა და დახმარება ეთხოვა, ზნეობრივი გამხნევება და ლოცვა-კურთხევა მიეღო ამა თუ იმ საზოგადო საქმის დაწყებისათვის...

გაჭირვების ტალკვესიო, რომ იტყვიან, სწორედ ის იყო, გაჭირვების დროს ქვეყნის გულშემატკივარნი, იმასთან მოიყრიდნენ თავს და შეჰლაღადებდნენ, გვიშველე ილია, დაბალი ღობე გვნახეს, ქვეყნის დაღუპვა უნდათ, ზედ შეგვდგნენ, უნდათ გაგვთელონ, გაგვათახსირონო. და ილიაც გამოვიდოდა საფალავნოდ, გამოვიდოდა როგორც ლომი, დინჯად, აუჩქარებლად, ღრმად მოფიქრებული საბრძოლო გეგმით, საბუმბერაზოდ შეიარაღებული ფერხით თხემამდე. გამოვიდოდა და იცავდა თავისი ძვირფასი ქვეყნის, თავის საყვარელ პატარა სამშობლოს ძნელად გასამეტ უმაღლეს ინტერესებს.

სოფრომ მგალობლიშვილი

... ილია, დიდი ჭკუითა და უსაზღვრო ნებით აღჭურვილი ადამიანი... კაცი, რომლის პიროვნებაში ტრიალებდა გოლიათისებური ნებისყოფა, ისეთივე ენერგია და ისეთივე სული...

ილია, რომელმაც სიკვდილამდე თვის უბით ატარა საქართველოს ბედი და უბედობა...

როცა გაჭირდებოდა საქმე რომელიმე საკითხის შესახებ, ილიას გაუშვებდნენ საბრძოლველად... მისი სიტყვა მაშინ მეხი იყო...

ილია დევის ბუნებისა იყო. ხშირად მოხდებოდა ხოლმე, დაისზე დამჯდარა და მეორე დღის ცხრა საათამდე მჯდარა სამუშაოდ...

კერძო ცხოვრებაში ილია ძალიან მდაბიო კაცი იყო. არისტოკრატიულად ფეხის გაჭიმა არ უყვარდა, უყვარდა სტუმრობა, ტკბილი ბაასი და მეგობრული შეჭცევა...

ილია ჭავჭავაძე ისეთი ლამაზი და მარილიანი იყო, კაცი თვალს ვერ მოაშორებდა. მშვენიერი ფართო შუბლი, თმა ხშირი და შავი, როგორც გიშერი, შუაზე გაყოფილი და გრძლად დაშვებული კისრამდე... ტანით პატარა კახს მოაგავს, მაგრამ როცა ზის, ჰგონია ადამიანს, ხიზაბავრელის მხარ-ბეჭი აქვს.

ირაკლი არსენიძე, იცნობდეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ ნიჭზე ძლიერია
ქვეყნის დაცვის ნიჭი!
გალაკტიონი

ომბულეთის აკაკი წერეთლის სახელობის № 1 საშუალო სკოლაში რომ მიმიწვიეს, როგორც ომის ვეტერანი, მშვიდობისა და მშაცობის გაკვეთილების ჩატარებაში მონაწილეობისათვის, ჩემი მეგობარი ირაკლი არსენიძე გამახსენდა, რომელიც იმ დროს ზღვისპირას ისვენებდა; მაშინვე მივაკითხე.

მასთან ერთად შეხვედრაზე მიმავალი სიამაყით ვფიქრობდი, რომ ეს დღე ჩემი მშობლიური სკოლისათვის უაღრესად შთამბეჭდავი და სამახსოვრო იქნებოდა.

შეკრებილთაგან ბევრმა როდი იცოდა, რომ მათი მოულოდნელი სტუმარი გახლდათ ლეგენდარული პიროვნება — ირაკლი თეოფილეს ძე არსენიძე, ვინც დიდი სამამულო ომის ფრონტებზე უმაგალითო გმირობა გამოიჩინა.

ტყიბულის რაიონის სოფელ სოჩჩეთის მკვიდრმა — ქუთაისის რკინიგზის სკოლის მუშფაკსა და ამიერკავკასიის რკინიგზის ინსტიტუტში აღზრდილმა ჭაბუკმა, 1939 წელს წარჩინებით დაამთავრა მოსკოვის სსრკ უმაღლესი საბჭოს სახელობის სამხედრო სასწავლებელი და თავისი ასეულით იმთავითვე ინტერნაციონალურ ბრძოლებში ჩაება. პირველი საბრძოლო ნათლობა და ჭრილობა ირაკლი არსენიძემ მოძმე მონღოლეთის მიწა-წყალზე მიიღო იაპონელი სამურაების წინააღმდეგ ბრძოლებში.

გამობრძმედილი შეხვდა იგი დიდი სამამულო ომის პირველსავე სისხლისმღვრელ ბატალიებს, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი გამოდგა სმოლენსკის ბრძოლა 1941 წლის ივლის-სექტემბერში. ეს იყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ელვისებური ომის ჩაფუშვის მნიშვნელოვანი ეტაპი. ფრონტის ამ ხაზზე მტრის შეჩერებამ ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში საბჭოთა ჯარებს იმის საშუალება მისცა, რომ მოსკოვის მიმართულებით ღრმად ეშელონირებული მრავალზოლიანი თავდაცვა შეექმნათ. სწორედ აქ, მდინარე დნეპრის მიდამოებში, 1941 წლის აგვისტოში მძიმედ დაიჭრა ირაკლი არსენიძე, რომელმაც გამოჯანმრთელებისთანავე 404-ე ცალკე სატყვიამფრქვევო-საართილერიო ბატალიონი ჩაიბარა და კვლავ დიდი ბრძოლები გადაიტანა უკრაინასა თუ მოლდავეთში, რუმინეთსა თუ უნგრეთში.

კარპატების მთებში, უნგრეთის ქალაქ სატუშარეს მისადგომებთან, ერთ-ერთ უმძიმეს ბრძოლაში, ბატალიონის მეთაურს მტრის ნაღმმა მარჯვენა ფეხი მუხლის ქვემოთ მოჰგლიჯა. ეს ტრაგედია მას 1944 წლის ოქტომბერში დაატყდა თავს.

მოსალოდნელი იყო, რომ რაღაც სასწაულად სიკვდილს გადარჩენილი ირაკლი არსენიძე მშობლიურ ოჯახს დაუბრუნდებოდა, მაგრამ პირიქით მოხდა: მან პრინციპულად მოითხოვა თავისსავე 404-ე ბატალიონში მეთაურად დაბრუნება.

მას, როგორც კადრის ოფიცერს და უკვე ოთხი საბრძოლო ორდენის კავალერს, მეტად საჭირო და საპატიო სამსახური შესთავაზეს ზურგში, ის კი კვლავ ფრონტისაკენ მიისწრაფოდა.

ირაკლი არსენიძე უკან არ იხევს, ამისათვის მას ურყევი საფუძველი აქვს... იგი თვლის, რომ კანონიერად მოითხოვს თავის უფლებებს.

ამგვარი და სხვა შეუვალი არგუმენტების წყალობით ქართველმა ოფიცერმა დაუძლეველი ზღუდეები გადალახა და კვლავ მეთაურად დაუბრუნდა 404-ე საართილერიო-სატყვიამფრქვევო ბატალიონს, რომელიც ამ დროს უკვე გამათავისუფლებელ ბრძოლებს ეწეოდა ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე.

მისი დაბრუნების შემდეგ 404-ე ცალკე ბატალიონმა უკრაინის ფრონტის სხვა ნაწილებსა და ლუდვიგ სვობოდას მებრძოლებთან ერთად ორასკილომეტრიან გზაზე ბევრი დასახლებული პუნქტი გაათავისუფლა დამპყრობლებისაგან და 1945 წლის 9 მაისს ჩეხოსლოვაკიის ქალაქ გოლეშოვოს თავზე დიადი გამარჯვების წითელი დროშა ააფრიალა.

გამარჯვებული და სახელმოხვეჭილი დაუბრუნდა ირაკლი არსენიძე მშობლიურ ქუთაისს, საითკენაც მან იაპონელი აგრესორების წინააღმდეგ ბრძოლის დაწყების წინ მოძმე მონღოლეთიდან მეუღლე გალინე ოყრეშიძე და ხუთი თვის პირმშო გამოაცილა.

გადიოდა წლები. ირაკლი არსენიძე მძიმე ჭრილობებს ნაყოფიერი საზოგადოებრივი შრომითა და ოჯახზე ზრუნვით იშუშებდა. ომგადახდილი გმირის ოჯახში კი ამასობაში სამი შვილი იზრდებოდა.

ახალი თაობის პატრიოტული აღზრდა მისი ცხოვრების ძირითადი მიზანი გახდა. იგი განადიდებს თანამებრძოლთა გმირულ საქმეებს, თავის სასწაულებრივ გმირობაზე კი ძალზე ცოტას ლაპარაკობს. მაგრამ სკოლების წითელკვალმაძიებლებს რას გამოაპარებ....

აი, ერთ-ერთი ბარათის ფრაგმენტი:

„ძვირფასო ირაკლი თეოფილეს ძევ! გილოცავთ ახალ წელს. შეიძლება დიდად გაგაკვირვოთ ამ ამბავმა, მაგრამ თქვენ ძალიან ბევრი ადამიანი გიცნობთ როგორც ნამდვილ კომუნისტს, საყვარელი სამშობლოს თავდადებულ დამცველს და მშენებელს. ამ ხანაგმა წასაკითხად მომცა ერთი პატარა წითელყდიანი წიგნი რუსულ ენაზე — პოლკოვნიკ ეფიმ დოვბიშის „ბატალიონის მეთაურის გმირობა". დიდი მადლობა თქვენ და უკრაინელ მწერალს. მხოლოდ თქვენისთანა პატრიოტი, ენერგიული, მამაცი ადამიანების წყალობით გაიმარჯვეს ჩვენმა მშობლიურმა საბჭოთა ჯარებმა. ვუსურვებ ჩვენს ქვეყანას, რომ თქვენისთანა ნამდვილი ადამიანი ბევრი ჰყოლოდეს! ნეტავ, მეც თქვენს ბატალიონში ვყოფილიყავი იმ ქარცეცხლიან დღეებში, მაგრამ იმ დროს მხოლოდ 10 წლისა თუ ვიქნებოდი..."

თუ არ ვცდები, ირაკლი არსენიძეს ჩვენზე უკეთ უკრაინელი მშრომელები იცნობენ. რომელთაც მას „ქალაქ ბოგუსლავის საპატიო მოქალაქის" მაღალი წოდება მიანიჭეს, როგორც მის განმათავისუფლებელს.

...მოსწავლეებთან ამ სამახსოვრო შეხვედრის შემდეგ ჩვენ — ომის ვეტერანები ზღვის პირას მივსეირნობდით. ირაკლი არსენიძეს არც კი ემჩნეოდა, რომ მარჯვენა ფეხზე პროთეზი ეკეთა. მის გაბედულ მოძრაობაში გამობრძმედილი მეომრის კეთილშობილური იერი ისახებოდა.

უნებურად ფიქრები მომერია: რატომ არა გვაქვს ქართულად ეფიმ დოვბიშის წიგნი „ბატალიონის მეთაურის გმირობა", რომელიც 1973 წელს რუსულ და უკრაინულ ენებზე გამოიცა. ის ხომ მთლიანად ირაკლი არსენიძის მეომრულ ცხოვრებას ეხება. მერედა, განა მარტო ეს? ვინ იცის, რამდენი ასეთი წიგნია რუსულიდან ქართულ ენაზე სათარგმნი? უფრო მეტი ყურადღება ხომ არ მართებთ ჩვენს გამომცემლობებს შინმოუსვლელებისა და ომგადახდილების მიმართ?!

მრავალჭირგამოვლილი მაიორი ირაკლი არსენიძე, რომელიც დღესაც თავდაუზოგავად შრომობს ქუთაისის ლითოფონის ქარხანაში, ღირსია იმისა, რომ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები კარგად იცნობდნენ მის სამაგალითო ცხოვრებას. იგი ჭეშმარიტი გმირია.

გალაკტიონ ჯაიჭაძე,
გვარდიის პოდპოლკოვნიკი, თბილისის ოფიცერთა სახლთან არსებული სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების ისტორიის სექციის თავმჯდომარე.

ᲒᲬვანე კომბინეზონებში გამოწყობილი ბიჭები მიჯრით დადგნენ რიგში, ჩაფხუტები შეიკრეს, პარაშუტის ღვედები შეისწორეს მხრებზე. გარეგნულად სპორტსმენებს გავდნენ, მხოლოდ შალითაში შეხვეული იარაღი ამჟღავნებდა მათში ჯარისკაცებს. მეტყვიამფრქვეველთა ოცეულში სულ ჩვიდმეტნი ვიყავით, გაფრენის წინ ორი სხვაც დაგვიმატეს — რადისტი და ახალგაზრდა ლეიტენანტი ათასეულის შტაბიდან. ლეიტენანტს რა უჭირდა, მკვირცხლი ჭაბუკი ჩანდა, მე მხოლოდ რადისტის მოსვლა არ მეპიტნავა. მას პარაშუტთან ერთად რაციაც ეკიდა და თვითონაც კაი ზოზინა ვინმე ჩანდა. მის გვერდით ვიდექი და ხტომის დაწყების სიგნალს ველოდი.

აი ისიც — გაბმული სირენა. ბორტმექანიკოსმა თვითმფრინავის ოვალური კარი გააღო. რადისტს ძალუმად დავაწექი ხელისგულით, თავი დავაღუნინე და რომ მეგონა, გავტიე-მეთქი კარში, იდაყვები გაფარჩხა, დავეჯაჯგურე, მივწი-მოვწიე და, როგორც იქნა, გავისტუმრე. დანარჩენები სწრაფად მიჰყვნენ ერთმანეთს. მივხედი, რომ ლეიტენანტს ჩემს დაუხმარებლად გაუჭირდებოდა, ჯერ ის გავუშვი, ოდნავი ბიძგით გავაცილე და მერე მე მივყევი უკან...

ანაზდად ჩემს თავს ზემოთ მსუბუქი ტლაშუნით გაიბერა თეთრი ქსოვილის გუმბათი.

ტანზე ღვედები შევისწორე და მიმოვიხედე. ცის უკიდეგანო ოკეანეში ვიმყოფებოდი, მოკამკამე ლაჟვარდში უთვალავი თეთრი მედუზა ირეოდა, ქანაობდნენ და ნელა ეშვებოდნენ.

მერე ამ ქუფრი სიღრმეებიდან თანდათან გამოჩნდა ამზევებული, მწვანედ აფერადებული მიწა. გამოიკვეთა, ერთიანი ფონიდან გამოცალკევდა მზესუმზირის ნათესები, შორიშორ დაზვინული ძნები და მესრის პუნქტირით ერთმანეთისაგან გამოყოფილი ეზოები შიგ ჩადგმული კოპწია სახლებით.

ყველა პარაშუტი მდინარის გადაღმა, დიდ ველზე, ეშვებოდა და იქ ქრებოდა. ქრებოდა იმიტომ, რომ ჯარისკაცები სწრაფად კეცავდნენ, ჩანთებში დებდნენ და შესაკრები პუნქტისაკენ მირბოდნენ.

მხოლოდ ორი პარაშუტი იყო მათგან გამოცალკევებული. მე და ლეიტენანტი გამოღმა ვეშვებოდით.

— აკალოვიჩ, მარცხნივ დაცურდი! — გავძახე და ჩემი პარაშუტის თოკებს მივწვდი. ცალ მხარეს დავამოკლე და გუმბათი ავაყირავე. ამით მარცხნივ, თანაც სწრაფად გავექანე ძირს.

დაბლა მრავალტანჯული უკრაინის მიწა მოჩანდა ომისდროინდელი ნაიარევებით — სანგრებით, თხრილებით, ბეტონით ნაგები საცეცხლე წერტებით.

მიწა ახლოვდებოდა, მდინარეს კი გადავუარე, მაგრამ ტყეს მთლად ვერ ავარიდე თავი, ბუჩქნარში ვეშვებოდი. მუხლებში ოდნავ მოვკეცე შეტყუპებული ფეხები, ზამბარასავით შევიმართე, სახე მკლავებით დავიფარე და იმავე წამს ტოტების ლიწინით გაირღვა ბუჩქი ფეხქვეშ...

ნეშომპალით დაფენილ ბილიკზე გავედი, ძახველის ტოტებზე გადაფენილი პარაშუტი დავითრიე, დავკეცე და ჩანთაში ჩავტენე. ახლაღა ვიგრძენი, რომ მარცხენა ხელის თითები ბლანტე სითხით ეწებებოდა ერთმანეთს, დავიხედე — სისხლი მდიოდა გაგლეჯილი ხელის ზურგიდან. ეტყობა, ტოტმა დამიზიანა.

— ტავარიშ სერჟანტ, ვიხოდი, სტროიტსია! — მიხმობდა ლეიტენანტი აკალოვიჩი. კარგ ხასიათზე ჩანდა.

ჩანთა წამოვიკიდე და მისკენ გავექანე.

ველზე გავედით და წინ მომნუსხავი სანახაობა გადაიშალა: ჰაერს შხუილით აპობდნენ. ზეადიოდნენ და ცაში ყვავილებად იპენტებოდნენ მწვანე შუშხუნები, შეტევის მიმართულებით მირბოდნენ ჯარისკაცები და საბრძოლო მწკრივებად იშლებოდნენ ასეულები. იმავე მიმართულებით მიგრიალებდნენ მსუბუქი ტანკები, თვითმავალი ქვემეხები, ნაღმმტყორცნები...

ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ეს ამდენი საბრძოლო ტექნიკა და ხალხი ციდან მოევლინა ამ ცარიელ მომკილ ტრამალს.

ტრამალზე ხან აქ, ხან იქ, ცაში ადიოდა კვამლი, ზარბაზნების ბათქს ავტომატებისა და ტყვიამფრქვეველების გამცხრილავი ჯერიც ემატებოდა და ამ ერთიან კანონადაში მრისხანე ძალა იგრძნობოდა.

უკვე ჩემიანებთან ვიყავი. მათთან ერთად ყველაფერი იოლი ასატანი იყო. სახალისო იყო თვითმფრინავიდან ხტომა და დამქანცავი შეტევითი ლაშქრობაც.

იერიში სოფელზე მივიტანეთ. ბაღჩებში ყვავილობის ბოლო დღეები ედგათ მზესუმზირებს, ეზოებიდან დამწიფებული ხაშხაშის თაველები ყელყელაობდნენ, ადამიანები კი არ ჩანდნენ, ალბათ, ფუჭი ვაზნების ბათქა-ბუთქმა თუ შეაშინათ. შეიძლება არც ეშინოდათ, რადგან კარგად იცოდნენ, ვინც ვიყავით, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის შინ ყოფნა არჩიეს.

სოფელს გავცდით და მდინარისპირა ბორცვებზე ჩავსანგრდით.

სანგრის თავზე აყალო მიწა კორდიანი ბელტებით შევნიღბეთ. წინ გადაშლილი სათვალთვალო სივრცე ჯარისკაცებს ორიენტირებად დავუყავი და საბრძოლო ამოცანა დავუსახე. მცირე ხნით თავისუფლად ამოსუნთქვის ჟამი დამიდგა და გულისჯიბეზე წავივლე ხელი — დედის წერილი ამოვიღე.

„თვალები გზისკენ დამაწყდა, მომწერე, ვენაცვალოს დედა, როდის გამოგიშვებენ. აქ ყურძენი შეითვალა უკვე...“

პაწია ჩრდილი დამადგა თავზე, მაღლა ამახედა.

ცისფერთვალება ქერაკულულებიანი გოგონა შემომცინოდა.

— შენ აქ საიდან გაჩნდი? — მივეფერე გოგონას.

— აგერ იმ ბაბულიას გამოვყევი, — მოხუც ქალზე მიმითითა, რომელიც ლანდივით უხმაუროდ მოდიოდა.

მოდიოდა, თითქოს ვერაფერს ხედავდა, ანთუ საკუთარი ხილვებით იყო გართული და ნაკლებ აინტერესებდა, საით წაიყვანდა სოფლიდან ბორცვებისაკენ გამოწვერილი ბილიკი. მერეღა მივხედი, რომ ჯარისკაცთა სახეებს აკვირდებოდა.

— შენი ბაბულიაა? — ვკითხე გოგონას.

თავი გააქნია უარის ნიშნად.

— არავისიც არ არის, მაგრამ ჩვენ მაინც ბაბულიას ვეძახით.

მოხუცი ქალი მომიახლოვდა, ერთი კი შემომხედა და კვლავ ტორტმანით განაგრძო გზა. ანაზდად შედგა, უკან დაბრუნდა, ათრთოლებული, დამჭკნარი ხელი გულთან მიიტანა და გაოცებული მომაჩერდა.

უკან გადავარცხნილ თეთრ თმას ქარი უწეწავდა. ჭაღარა ხეშეში თმის ბუწუწები ნაოჭებით დაფშხალულ სახეზე ეფოფინებოდა. თაფლისფერი სევდიანი თვალებით მომჩერებოდა და სისხლნაკლული სიფრიფანა ტუჩები უთრთოდა.

მერე მაღლა აღაპყრო ცალხელები ხელები და თავისთვის რაღაცა ჩაიჩურჩულა. ჩემდაუნებურად მისი ხელების მოძრაობას ავადევნე მზერა. ჯერ მეგონა, რომ ეს იყო ლოცვა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ მისი მოცახცახე, დამჭკნარი თითები ჩემ თარგს იღებდნენ, აი, ჯერ ჩემი მხრები მოხაზეს ჰაერში, მერე თავი, თმა, ულვაში და მთელი ტანი...

დედაკაცმა წამით მომაშორა მზერა, თავის ქნევით ვიღაცას რაღაცაზე დაეთანხმა და კვლავ მე მომაჩერდა. კიდევ ერთხელ დააქნია თავი, პირჯვარი გადაიწერა და ორი მსხვილი ცრემლი დაუგორდა გადაფითრებულ ღაწვებზე, ტუჩები აუთრთოლდა, ნიკაპი აუცახცახდა. ანაზდად ხელები გამოიშვირა ჩემსკენ და მის სასოწარკვეთილ მზერაში ამოვიკითხე, რომ შველას მთხოვდა, ალბათ, ეშინოდა, არ წავიქცეო.

სანგრიდან ამოვხტი და მხარში ამოვუდექი, აყალო მიწას გავაშორე, ბილიკზე გავიყვანე. ხელზე მომკიდა ხელი, აღარ ვამშვა, ერთხელ კიდევ შემათვალიერა თავით ფეხამდე და ანაზდად ბანდით შეხვეულ ხელის მტევანზე დამხედა, შეწუხდა... მის თვალებში ტკივილი აირეკლა.

ნაჭრილობევი ხელის ზურგზე სათუთად გადამისვა ათრთოლებული მარჯვენა, მერე აიღო და სულაც გულთან მიიხუტა, შემილოცა... არ გინდა-მეთქი, ბებო, ეგეთები. ამის თქმა დავაპირე, მაგრამ უმალ ენას კბილი დავაჭირე.

რაღაცით ვიგრძენი, რომ ეს ბებო არ იყო, დედა იყო და ის შვილს ხედავდა ჩემში... ვინ იცის, როდის დაკარგულს.

დედაკაცი გულისტკივილს ნაძალადევი ღიმილით მალავდა, მაგრამ თაფლისფერი თვალებიდან, ვერ იქნა და ვერ მოიშორა სევდა. წინ წადგა ნაბიჯი, შინისაკენ დააპირა წასვლა ისე, რომ ჩემთვის ხელი არ გაუშვია.

წაჰყევიო, მანიშნა ასეულის მეთაურმა. ახლაღა ვიგრძენი, რომ ყველა მე მომჩერებოდა.

— აქვე ცხოვრობს, აგერ ის არის ბაბულიას ხატა, — მოხუცი ქალის უმწეო მზერას გოგონას წკრიალა ხმა წამოეშველა.

გავყევი. მას ისევ ხელში ეჭირა ჩემი ნატკენი მარცხენა, ალერსიანი სიტყვებით ესალბუნებოდა ნაიარევს და ასე მიდიოდა, გამხდარი, მხრებში მოხრილი, წლებით დამძიმებული.

კუტიკართან შეჩერდა და ყურადღებით შემომხედა, თითქოს მამოწმებდა, ვიცნობდი თუ არა მის სახლს.

წახრილ-წამოხრილი ხავსიანი ბოძები, მილეხილი, აქა-იქ გატეხილი ფიცრები. მოუვლელი ეზო, გადაქელილი გამხმარი ბალახი.

ისლით გადახურული, თეთრად შეფეთქილი უკრაინული ხატა, ოდესღაც ალბათ კოპწიად მოჩუქურთმებული, აწ ამოღამებული სარკმელებით მომჩერებოდა. რაღაცით ვიგრძენი, რომ აქ იშვიათი იყო ჩემნაირი სტუმარი.

კართან შემაჩერა, წირთხლზე ძველისძველ ნაჭდევზე დამიდო თითი, მას შემატოლა. ალბათ ვიღაცის სიმაღლეს. ამას უმალვე მივხვდი. ძალიან მომინდა, რომ შევწვდომოდი იმ ჭდეს.

— შვილო! — აღმოხდა მოხუც ქალს და უცნაური თბილი შუქით წამოენთო თვალები, ხელი მომხვია და მკერდზე მომაყრდნო თავი.

ულიანოვაჯის დედა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელგუჯა მერაბიშვილი

„ნუთუ მის ვაჟს ვგავარ? საიდან, როგორ?.. შავგვრემანი, ულვაშა კავკასიელი, როგორ დაემგვანებოდა უკრაინელ ჭაბუკს?!“ — გამკენწლა ფიქრმა.

— დედის გული არ მოტყუვდება, — გმინვას ამოაყოლა ჩურჩულით, თითქოს ჩემს ფიქრს გაეპასუხაო.

ხის საწოლი, მაგიდა... მეტი არაფერი მომხვედრია თვალში, პირდაპირ კედელზე დაკიდულ სურათს მიეპყრო ჩემი მზერა.

ულვაშა, ბრგე ტანის ჯარისკაცი შემომყურებდა, საბრძოლო მედლებით მკერდამშვენებული, ჩემსავით შავგვრემანი ჩანდა, ჩემსავით უკან ჰქონდა გადავარცხნილი მუქი, ოდნავ ხვეული თმა.

მოხუცი ქალი ხან მე შემომხედავდა, ხან სურათს, სახეზე უჩვეულო ნათელი ადგა, მკრთალი ღიმილი ჩასდგომოდა პირის კუთხეებში, ორივეს გვეალერსებოდა.

გული ამოდუღდა.

ეს მოხუცი ქალი ამ წუთში ჩემი დედა იყო, ჩემი დედიკო, გამხდარ მხრებზე მოვხვიე ხელი და ცრემლიან ღაწვზე მივაყრდენი ლოყა.

— დაჯექი, შვილო, — დაიჩურჩულა და მაგიდასთან მიდგმული ძველისძველი სკამი გამოაჩოჩა.

დავჯექი კი, მაგრამ თვალი ვეღარ მოვწყვიტე სურათს.

„ძე მისი სახით დავბრუნდი, თანაც როგორ... ციდან ჩამოვფრინდი... და ჩემი სიახლოვე... თავისი ვაჟის ორეულის სიახლოვე უტყუარი გუმანით იგრძნო დედამ. ამ გუმანმა ატარა იგი სანგარ-სანგარ, სანამ ჩემი თავი არ აპოვნინა. ამ წუთას მე მისი შვილი ვარ. მის ადგილზე ვზივარ“.

ჭვავის პურები, ხის ჯამით პიკული, კიტრის მწნილი, თევზი, გრაფინით არაყი...

— ღმერთო, რას მოვესწარი!.. შვილი უნდა დავაპურო!.. ომიდან დაბრუნებული, დაჭრილი შვილი!..

კუთხეში მიმდგარიყო და ხატთან ლოცულობდა. მერე მობრუნდა, მხარზე ჩამომეყრდნო, ხან რა ჩამიდო ხელში, ხან რა. რას ჩურჩულებდა, არ მესმოდა, მხოლოდ ერთი რამ იყო ჩემთვის გასაგები და გულში ჩამწვდომი — ვედრების კილო.

კრიჭა შემეკრა, არაფრისათვის ხელის დაკარება არ მინდოდა, მაგრამ რაღაცით მაინც ხომ უნდა მომეგო დედის გული, ხომ უნდა გამეწია ამ ჩემი კბილა ბიჭის მაგივრობა მისი დედიკოსათვის. თავს ძალა დავატანე და როგორც იქნა, გავღეჭე ლუკმა.

ეზოში ნაბიჯების ყრუ ჩქამი დაირხა, დედაბერი შეკრთა, მაშინვე მიბრუნდა და მე ამეფარა, თითქოსდა, არ უნდოდა ვინმესთვის ჩემი თავი დაეთმო.

შიკრიკი ჯიქურ შემოიჭრა ოთახში.

— ამხანაგო სერჟანტო, შეტევისათვის მოემზადეთო! — მომაძახა და უკანვე გავარდა.

მაშინვე ფეხზე დავდექი. მოხუცი ქალი მომეხვია, მკერდზე მომეყრდნო.

— შვილო, შვილო! — დაიქვითინა.

ჭაღარა თმაზე მოწიწებით ვეამბორე.

— ნახვამდის, დედილო! — ძლივს ამოვღერღე ბოღმისაგან კრიჭაშეკრულმა და ოთახიდან გავედი.

კუტიკარს გავცდი თუ არა, სამმა წითელმა შუშხუნამ ერთდროულად და ერთ მხარეს გადასერა ცა. მეც იმ მიმართულებით გავიქეცი.

გავრბოდი, მაგრამ ფეხები უკან მრჩებოდა, რაღაცა მბორკავდა, უკან მეწეოდა. ვეღარ მოვითმინე, შევდექი და მივიხედე.

შავკაბიანი დედაკაცი სახლის წინ იდგა, ჩემს კვალს გამოჰყურებდა და ათრთოლებული ხელით პირჯვარს იწერდა.

მხატვარი თენგიზ სამსონაძე.

სიახლეთა ჯანრიბა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავეძებთ ცივილიზაციებს გალაქტიკებში

მსოფლიოს მეცნიერები არ ჰკარგავენ დედამიწის საზღვრებს გარეთ შორეულ კოსმოსსა და უკიდეგანო გალაქტიკებიდან უცხო ცივილიზაციათა სიგნალების პოვნის იმედს. ამგვარ სიგნალთა ძებნა წარმოადგენს კიდეც იმ გამოკვლევათა მიზანს, რომელიც ხერთ ჩაატარონ ტოკიოს უნივერსიტეტის ასტრონომებმა ახალი რადიოტელესკოპის მეშვეობით. ხელსაწყოს გარსშემოწერილობა 45 მეტრია და მას დადგამენ ნაგანოს პრეფექტურაში იაცუგატანის პლატოზე. სანუკვარი აღმოჩენის მოლოდინის რეალურობას განამტკიცებს არა მარტო მიმღები ანტენის შთამბეჭდავი ზომები, არამედ მრავალრიცხოვანი ელექტრონული მოწყობილობანი და ზემძლავრი კომპიუტერიც. აღნიშნული მოწყობილობა მკვლევართ საშუალებას მისცემს, სწრაფად და ზუსტად ჩაატარონ მოკლეტალღურ სიგნალთა ლოგიკური ანალიზი მათში არსებული რაიმე მათემატიკური კანონზომიერების დასადგენად.

საწვავი — ფორთოხლის კანისაგან

ბრაზილიის შტატ სან-პაულუში მთელი სიმძლავრით ამუშავდა ორი დანადგარი ფორთოხლის კანის სპირტად გადასამუშავებლად, რომელსაც ბრაზილიაში ფართო გამოყენება ხვდა, როგორც საავტომობილო საწვავს. ახი სტანდარტული ყუთი ფორთოხალი იძლევა 51,2 ლიტრ ეთილის სპირტს. განზრახულია იმდაგვარად წარიმართოს მუშაობა, რომ ყოველწლიურად თვითეულმა დანადგარმა სახელმწიფოს 32,5 მილიონი ლიტრი საწვავი მიაწოდოს.

მშვენიერ ახულთა მიგრაცია

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას სრულიად მოულოდნელი და ერთობ ხერიოზული პრობლემა დაატყდა თავს: ახალგაზრდა ქალები — გოგონები და ქალიშვილები, მასობრივად ტოვებენ სოფლებს. ყოველი მეხუთე გლეხკაცი უცოლოდ რჩება მიუხედავად იმისა, რომ გაზეთები სავსეა განცხადებებით საცოლე კანდიდატურათა შესარჩევად. ჰოლენშტეინის ოლქში ადგილობრივი საცეკვაო კლუბი ქორწინების ბოსურნეთა შეხვედრის ერთგვარ კლუბად იქცა, ხოლო გლეხობის კავშირმა ბავარიაში გამოაცხადა, მზად ვარ, დროებით მაჭანკლის მოვალეობა გავწიოო. გლეხკაცები კი, ამასობაში, დასტა-დასტად ქორწინდებიან გადამთიელებზე — ახწლოვან კარ-მიდამოთა დიასახლისებად ბავარიაში ტაილანდელი და ფილიპინელი ახულები მკვიდრდებიან.

კოსმოსში გაფრენის მსურველთათვის

ამერიკული ტურისტული ფირმა „სოსაიეთ ექსპედიშენს“ ფართო რეკლამას უკეთებს გაფრენებს კოსმოსში და აგროვებს კოსმოსურ მარშრუ-

ორი უცხოელი მეცნიერის ქართული მიმოწერა

შვედმა მეცნიერმა ანდრიას შეგრენმა 1835—1838 წლებში იმოგზაურა კავკასიაში. იგი საგანგებოდ ჩამოვიდა საქართველოში, ორჯერ იყო თბილისში. უცხოელმა მეცნიერმა დიდი ინტერესი გამოიჩინა ქართული ხელნაწერებისა და საერთოდ ქართული კულტურის, საქართველოს ისტორიის მიმართ. მოგზაურობის ანგარიშები მან აკადემიკოსების ქრ. ფრენისა და ფილ. კრუგის სახელზე გაგზავნილი ბარათების სახით გამოაქვეყნა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „ბიულეტენ სენტიფიკში“ გერმანულ ენაზე.

ერთ-ერთ ბარათში იგი წერს:

„... თბილისში საღამოსათვის ვიყავი, ავადმყოფი და დაუძლურებული ამდენი მგზავრობისა და საშინელი სიცხისაგან (შეგრენმა ფეხით გადმოლახა კავკასიონის ქედი, ჩამოვიდა რაჭაში და იქიდან იმერეთისა და ქართლის გამოვლით — თბილისში — ა. ფ.) კიდევ რამდენიმე დღე გავიდა, სანამ მოვკეთდებოდი. ნაწილობრივ ძველი ნაცნობებისა და ნაწილობრივ ახლების წყალობით მე კარგად გამოვიყენე ბოლო ყოფნა ამ ქალაქში. მომეცა შესაძლებლობა იმისა, რომ დამეთვალიერებინა ერთი საინტერესო პატარა ბიბლიოთეკა ვინმე მოხუცი მღვდლის ბინაზე, სადაც ბლომად იყო ქართული ხელნაწერები.

ამრიგად, საბოლოოდ დავრწმუნდი იმაში, რომ ქართული ხელნაწერების ფონდი საერთოდ არც თუ ღარიბი იყო.

როგორც ჩანს, ისტორიული ლიტერატურა აქ შემოფარგლულია მეტწილად წმინდანთა ცხოვრების აღწერით. რაც შეეხება „ქართლის ცხოვრებას“, შემორჩენილია მისი მეტ-ნაკლებად სრული ნუსხები, რომელთა შორისაც იგრძნობა მნიშვნელოვანი გადახრები (განსხვავებები): კრიტიკულ ჟანრს ბევრი სამუშაო აქვს ამ მხრივ, რათა ამ წყაროებიდან ამოიღოს ქვეყნის ჭეშმარიტი და ნამდვილი ისტორიული ფაქტები.

გაცილებით მდიდარია პოეტური ლიტერატურა, ასევე იდეოლოგიური. ქართველებს აქვს მრავალი თარგმანი სხვადასხვა საეკლესიო მამათაგან და ძველ ბერძენ ფილოსოფოსებისაგან.

ქართველთა შორის განსაკუთრებით პატივცემული ყოფილა არისტოტელეს ფილოსოფიური ტრაქტატები. აქვთ მისი მრავალი თარგმანი და საკუთარი ქართული კომენტარები. რადგან ქართული ლიტერატურის აყვავების პერიოდი ემთხვევა იმ ეპოქას, როცა სქოლასტიკური ფილოსოფია (არისტოტელეს თაოსნობით) მთელ ევროპაში იყო გაბატონებული, ამ ფილოსოფიას გავრცელება უპოვია საქართველოშიც, შეუქმნიათ არისტოტელეს ნაწარმოებთა უამრავი თარგმანი. როგორც ჩანს, ამასვე გამოუწვევია ისიც, რომ ქართველი ფილოსოფოსები თავიანთ სახელებს დაურთავდნენ ხოლმე განსაზღვრულ ეპითეტებს, ისეთებს, რომლებიც ევროპული სქოლასტიკოსი ფილოსოფოსების მიერ იხმარებოდა შუა საუკუნეებში. ასე, მაგალითად, ხელნაწერებიდან ცნობილია ქართველი სწავლული ზედწოდებით „ინვინციბილის“ (დაუმარცხებელი).

რადგანაც ბოლოს უფულოდ ვიყავი, არ შემეძლო, მეფიქრა არც ხელნაწერებისა და არც ძველი მონეტების შესყიდვაზე. სამაგიეროდ მოვახერხე ის, რომ ჩვენი აკადემიისათვის ვიშოვე ერთი ძველი და იშვიათი ხელნაწერის პირი, რომელსაც ვაგზავნი თქვენთვის და რომლის შინაარსზე ცნობებს მოგვაწოდებს ჩვენი ახალი წევრი ბატონი ბროსე.

ეს ხელნაწერი არის საჩუქარი იოსელიანისაგან. იგი თბილისის თეოლოგიური (სასულიერო) სემინარიის თეოლოგიის კანდიდატი და ფილოსოფიისა და ფიზიკის მასწავლებელია. მისგან, როგორც ყოჩაღი ახალგაზრდა კაცისაგან, მეცნიერება მომავალში ბევრ კარგ რამეს უნდა მოელოდეს.

ძალიან სამწუხაროა ის გარემოება, რომ ამ ადამიანს ადრე ვერ გავეცანი. თბილისში ყოფნისას მისგან მივიღე პირადად ჩემთვის საჩუქრად ანტონ კათალიკოსის „ქართული გრამატიკა“.

ნამდვილად სავარაუდოა, რომ საქართველოში შემონახული უნდა ყოფილიყო ძველი კლასიკური ორიგინალური ხელნაწერებიც. სწავლულ ეგზარქოს ევგენოსთან (ლაპარაკია საქართველოს ეგზარქოს ევგენი ბაჟანოვზე, რომელიც 1840 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს—ა. ფ.) მე თვითონ ვნახე პერგამენტის პატარა რვეული, რომელიც შეიცავდა ფრაგმენტებს სხვადასხვა საეკლესიო მამათა ნაწარმოებებიდან ბერძნულ ენაზე. იგი გელათის მონასტერში უნახავთ და შემდეგ თბილისში გადაუგზავნიათ ალბათ, იმიტომ, რომ იქ, ადგილობრივ, მის შესახებ არ ჰქონდათ გარკვეული წარმოდგენა. ძალიან სასურველი და ამავე დროს მეტად დიდი საქმე იქნებოდა, ქართულ ენაში დიდი ხნის ნავარჯიშევი, როგორც, მაგალითად, ჩვენი ბატონი ბროსეა, გამგზავრებულიყო საქართველოში საგანგებო მისიით, რათა იქაურ მონასტრებში არსებული ხელნაწერები საფუძვლიანად გადაესინჯა და გამოეკვლია.

მინდოდა რა, რომ შემევსო ჩემი ხელნაწერების კოლექცია, თბილისში ყოფნა გავაგრძელე 20 ივნისამდე: უკან დაბრუნების დროს ვაპირებდი, შენახა თბილისიდან 18 ვერსით დაშორებული ქალაქი მცხეთა—საქართველოს ძველი დედაქალაქი, სადაც გარდა სხვადასხვა მრავალი ღირსშესანიშნაობებისა, უნდა ყოფილიყო აგრეთვე ძველი ხელნაწერების ერთი პატარა ბიბლიოთეკა, რომლის ჩვენებასაც დამპირდა ადგილობრივი პროტოიერეი, რომელიც სრულიად შემთხვევით ქალაქ ქუთაისში გავიცანი.

ამ მიზნით დილაადრიან შევუკვეთე ცხე-

ᲢᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲗ. ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ: 1992 ᲬᲚᲘᲡ 12 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ, ᲓᲘᲚᲘᲡ 8 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ, ᲙᲐᲜᲐᲕᲔᲠᲐᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲮᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲝᲪᲓᲐᲗᲘᲗᲘ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘ ᲓᲐ 12 ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲔᲨᲕᲔᲑᲐ ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲐᲨᲘ, ᲜᲐᲡᲘᲡ ᲐᲔᲠᲝᲓᲠᲝᲛᲘᲡ. ᲔᲡ ᲛᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲗᲕᲘᲗᲔᲣᲚ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲡ ᲓᲐᲣᲯᲓᲔᲑᲐ 50 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ. ᲤᲘᲠᲛᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ Ტ. ᲑᲣᲐᲠᲪᲘ ᲘᲦᲔᲑᲡ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲝᲑᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲛ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲮᲓᲘᲐᲜ ᲐᲕᲐᲜᲡᲡ 5 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲡ ᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲡᲐᲠᲗᲝᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ, ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲓ ᲐᲦᲣᲗᲥᲕᲐᲛᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ, 1994 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲨᲘ ᲤᲠᲔᲜᲐ ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲐᲓ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲛᲝᲔᲬᲧᲝᲑᲐᲝ.

ᲡᲐᲑᲘᲜᲐᲝ ᲚᲐᲢᲐᲠᲔᲐ ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲨᲐᲜᲮᲐᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲪ 12 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲡ ᲘᲗᲕᲚᲘᲡ, ᲣᲛᲫᲘᲛᲔᲡ ᲡᲐᲑᲘᲜᲐᲝ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲝᲑᲐ — ᲛᲘᲡᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲛᲬᲘᲓᲠᲝᲓ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚ ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲔᲑᲨᲘ ᲗᲕᲘᲗᲗᲔᲣᲚ ᲙᲐᲪᲖᲔ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲝᲠᲘ ᲙᲕᲐᲓᲠᲐᲢᲣᲚᲘ ᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ. ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲢᲘᲛᲣᲚᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, ᲠᲐᲗᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲐ ᲒᲐᲡᲬᲘᲝᲜ ᲑᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲔᲜᲚᲐᲓ, ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲛᲐ ᲚᲐᲢᲐᲠᲔᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲝᲘᲦᲔᲡ. ᲛᲐᲡᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲛᲐᲗ, ᲕᲘᲜᲪ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚ ᲗᲐᲜᲮᲐᲡ ᲤᲚᲛᲑᲡ ᲑᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲔᲜᲐᲓ — ᲗᲐᲛᲐᲨᲓᲔᲑᲐ ᲝᲠᲝᲗᲐᲮᲘᲐᲜᲘ ᲑᲘᲜᲔᲑᲘ. ᲡᲐᲑᲘᲜᲐᲝ ᲚᲐᲢᲐᲠᲔᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲒᲔᲑᲔᲑᲘ 1.120 ᲐᲗᲐᲡ ᲨᲐᲜᲮᲐᲘᲔᲚᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲓᲐ.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲫᲕᲘᲠᲘ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲜᲐᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘ

ᲘᲐ�პᲝᲜᲘᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲜᲐᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲓᲠᲣᲓᲐᲛᲮᲕᲔᲕᲘ ᲡᲘᲡᲬᲠᲐᲤᲘᲗ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ. ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲒᲐᲡᲣᲚ ᲬᲚᲔᲚᲡ ᲐᲛ ᲤᲐᲡᲔᲑᲛᲐ ᲢᲝᲙᲘᲝᲛᲘᲡ 38, ᲝᲡᲐᲙᲐᲨᲘ — 35, ᲡᲐᲞᲠᲝᲠᲝᲨᲘ — 28 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲛᲝᲛᲘᲛᲐᲢᲔᲡ. ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲫᲕᲘᲠᲘᲐᲓ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ ᲢᲝᲙᲘᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲒᲐᲜᲗᲥᲛᲣᲚ ᲒᲘᲜᲫᲐᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲜᲐᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘ — ᲧᲝᲕᲔᲚ ᲙᲕᲐᲓᲠᲐᲢᲣᲚ ᲛᲔᲢᲠᲨᲘ 100 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲐᲡ ᲛᲝᲒᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ...

ᲕᲐᲜ ᲒᲝᲒᲘᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲗᲘ

ᲕᲐᲜ ᲒᲝᲒᲘᲡ ᲤᲔᲠᲬᲔᲠᲘᲡᲣᲚᲘ ᲢᲘᲚᲝᲒᲘ ᲐᲦᲢᲐᲪᲔᲑᲐᲡ ᲘᲬᲕᲔᲕᲔᲜ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲤᲔᲠᲗᲐ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲔᲖᲘᲐᲗᲐ... ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲕᲐᲜ ᲒᲝᲒᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲗᲐᲣᲧᲕᲐᲜᲘᲜᲨᲪᲔᲛᲔᲚᲘ, ᲰᲐᲠᲕᲐᲠᲓᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲡᲢᲠᲝᲜᲝᲛᲘ ᲩᲐᲠᲚᲖ ᲣᲝᲢᲜᲘ ᲐᲡᲙᲕᲜᲘᲡ, ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ „ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲰᲔᲓᲘᲚᲘ ᲪᲐ ᲠᲝᲜᲝᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ 1888 ᲬᲚᲘᲡ, ᲐᲠᲐᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲘᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲩᲜᲐᲕᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲗᲡ ᲪᲘᲡ ᲙᲐᲑᲐᲓᲝᲜᲖᲔ. ᲣᲝᲢᲜᲘᲗ ᲒᲣᲚᲓᲐᲒᲣᲚ ᲨᲔᲘᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲘᲛ ᲐᲓᲒᲘᲚᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲞᲝᲜᲐᲑᲔᲭᲓᲘᲡ, ᲞᲔᲘᲖᲐᲟᲣᲡ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲔᲓᲝᲗ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲐᲡᲔᲗᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲐᲦᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲘᲛ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲐᲗᲐ ᲠᲣᲯᲐ. ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ: ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲗᲕᲘᲗ ᲗᲐᲜᲐᲒᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲓᲘ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲓᲐᲛᲝᲙᲕᲔᲗᲘᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲭᲓᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲜᲐᲑᲐᲭᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲗᲣᲠᲛᲔ, ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲘᲠᲔᲑᲐᲪ ᲗᲐᲛᲐᲛᲐᲓ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ.

ᲜᲔᲑᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲜᲐᲨᲣᲐᲓᲦᲔᲕᲡ ᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ ᲘᲡᲔ ᲓᲐᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲑᲘᲜᲓᲔᲑᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲛᲪᲮᲔᲗᲐᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲕᲔᲓᲘᲗ. ᲩᲔᲛᲓᲐ ᲡᲐᲣᲑᲔᲓᲣᲠᲝᲓ... ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲕᲮᲓᲘ, ᲞᲘᲠᲨᲘ ᲩᲐᲚᲐᲒᲐᲛᲝᲕᲚᲔᲑᲣᲚᲡ ᲒᲐᲜᲛᲔᲒᲠᲫᲝ ᲒᲖᲐ...“

ᲨᲔᲒᲠᲔᲜᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲪᲐ 1837 ᲬᲚᲘᲡ 18 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲨᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲗ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ Მ. ᲑᲠᲝᲡᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲤᲒ. ᲨᲐᲠᲛᲣᲐᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ. ᲔᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ, ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ, ᲓᲐᲔᲪᲕᲐ ᲘᲥᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲤᲒ. ᲨᲐᲠᲛᲣᲐᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲜᲐᲨᲣᲐᲓᲦᲔᲕᲡ ᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ ᲘᲡᲔ ᲓᲐᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲑᲘᲜᲓᲔᲑᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲛᲪᲮᲔᲗᲐᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲕᲔᲓᲘᲗ. ᲩᲔᲛᲓᲐ ᲡᲐᲣᲑᲔᲓᲣᲠᲝᲓ... ᲛᲐᲒᲐᲡᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲔ ᲐᲛ ᲮᲔᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐᲜ ᲗᲥᲕᲔᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲗ ᲩᲔᲛᲓᲐᲛᲘ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲕᲔᲓᲘᲗ. ᲩᲔᲛᲓᲐ ᲡᲐᲣᲑᲔᲓᲣᲠᲝᲓ, ᲠᲝᲛ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲕᲮᲓᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲙᲠᲣᲒᲗᲐᲜ. ᲓᲠᲝᲖᲔ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲕᲘᲫᲚᲝ ᲛᲝᲠᲗᲛᲔᲕᲐ ᲛᲐᲒᲒᲕᲐᲠᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ. ᲐᲛᲐᲓ ᲛᲘᲖᲔᲖᲡ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲘᲮᲘᲚᲐᲕᲗ ᲩᲔᲛᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲙᲠᲣᲒᲗᲐᲜ. ᲓᲠᲝᲖᲔ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲕᲘᲫᲚᲝ ᲛᲝᲠᲗᲛᲔᲕᲐ ᲛᲐᲒᲒᲕᲐᲠᲘᲡ ᲰᲐᲖᲠᲘᲗᲐ. ᲛᲔ ᲒᲐᲕᲑᲔᲓᲐᲕ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲐᲖᲔ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲣᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲔᲡᲐᲓ ᲓᲐᲒᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲗ. ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲕᲨᲠᲝᲛᲝᲑᲗ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲣᲚ (?). ᲕᲐᲠᲗ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲡ (?)... ᲛᲐᲒᲐᲡᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲔ ᲐᲛ ᲮᲔᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐᲜ ᲗᲥᲕᲔᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲗ ᲩᲔᲛᲓᲐᲛᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲘᲡᲣᲠᲕᲔᲑᲗ ᲫᲕᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲬᲔᲠᲘᲚᲗᲐ. ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲗᲡ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲘᲮᲘᲚᲐᲕᲗ ᲩᲔᲛᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲙᲠᲣᲒᲗᲐᲜ. ᲓᲠᲝᲖᲔ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲕᲘᲫᲚᲝ ᲛᲝᲠᲗᲛᲔᲕᲐ ᲛᲐᲒᲒᲕᲐᲠᲘᲡ ᲰᲐᲖᲠᲘᲗᲐ. ᲛᲔ ᲒᲐᲕᲑᲔᲓᲐᲕ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲐᲖᲔ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲣᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲔᲡᲐᲓ ᲓᲐᲒᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲗ. ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲕᲨᲠᲝᲛᲝᲑᲗ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲣᲚ

კროსვორდი



თარაზულად: 1. ხანმოკლე შესვენება მეტუველების დროს; 4. მოძრაობის რიტმი; 6. ბუნებრივი, ცოცხალი ნიმუში, რომელსაც ხატავენ, იღებენ და სხვ.; 8. უკიდურესად განსხვავებული, საპირისპირო, საწინააღმდეგო რამ; 10. ფოლადის ვიწრო ძელი, რომელზედაც ვაგონის თვლები მოძრაობს; 12. ტოლი, თანამონაწილე, თანამოზიარე; 13. მუსულმანთა ღმერთი; 14. დღის, წლის რაიმე მონაკვეთი; 15. საქართველოს რაიონული ცენტრი; 17. მცირე ზომის სტროფული ლექსი, ზღაპრული, ლეგენდარული ან ისტორიული შინაარსისა; 18. მდინარე საბჭოთა კავშირში; 19. ერთი ყანრის მხატვრული ნაწარმოები; 22. ლომის ან ვეფხვის ლეკვი; 27. ბრალდებულის უდანაშაულობის დამტკიცება; 28. გარკვეული წესით დალაგებული ასოები; 29. ქალაქი საქართველოში; 30. ქართული ანბანის ასო; 32. წერილობითი საბუთი, რომელშიც ჩამოთვლილია პირები ან საგნები; 33. სასპორტო ინვენტარი; 36. ემბლემა, განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც მიკუთვნებული აქვს ამა თუ იმ სახელმწიფოს; 38. კვადრატული ფორმის მოედანი კრივში შეჯიბრებისათვის; 39. ავღანეთის დედაქალაქი; 40. სოფელი ახმეტის რაიონში; 41. საოლქო ცენტრი რსფსრ-ში; 42. სოფელი მარნეულის რაიონში;

შვეულად: 1. ტყის მსხალი; 2. კურკოვანი მცენარე; 3. გარეული ფრინველი; 4. რაიმე ნივთიერების ცომისებური მასა; 5. თვალის ფერადი გარსი; 7. ნიკო ლომოურის სამშობლო; 8. ვაზის ჯიში; 9. რისამე ბოლო, დასასრული; 11. საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა გუნდი; 14. თარიღი; 16. იაპონური ფულის ერთეული; 19. ოფიციალური საბუთი რისამე დასადასტურებლად; 20. ყანის გალეწვის საშუალება (იარაღი); 21. მდინარე ვირგინიის შტატში (აშშ), 24. ხვიარა, ბალახოვანი ორსახლიანი მცენარე კანაფისებრთა ოჯახისა; 25. ევროპის მდინარე; 26. თევზის სახეობა; 31. საქართველოს მდინარე; 32. ერთწლოვანი კულტურული მცენარე პარკოსანთა ოჯახისა; 33. ამერიკელი ზანგების სიმღერიანი საკრავი; 34. სხვადასხვა ფერის მინერალი. 35. სოფელი სიღნაღის რაიონში; 36. ძვირფასეულობა; 37. ხემცენარე.

შეადგინა ალექსანდრე გორგიშვილმა

„დროშა“ № 1 გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ამბიცია; 6. სორგო; 7. ტოკიო; 8. მორტირა; 9. აკინი; 13. ავიზო; 16. მილიცია; 17. ირიგაცია; 18. ბრაზილია; 20. კლიმატი; 21. არმია; 23. მეტრი; 27. ბარიერი; 28. აგარა; 29. ტანგო; 30. თარანგი.

შვეულად: 1. ატომი; 2. იმიტაცია; 3. ალტაი; 4. რომბი; 5. ბიეფი; 9. ამფიბია; 10. ნარგიზი; 11. ფილიალი; 12. ჰიდრატი; 14. ვარიეტე; 15. ოპტანტი; 19. ამუნიცია; 22. მანგო; 24. ტაიგა; 25. აბატი; 26. ტიტრი.



ათობით საათი იფრინეს ვერტმფრენებმა დათოვლილ მწვერვალებზე.

დიდთოვლობის შედეგებთან ბრძოლის შტაბი.

გარეკანის პირველ გვერდზე: საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის დელეგატი პაატა ბურჭულაძე. **მეოთხე გვერდზე:** პეიზაჟი. ფოტო ბონდო დვალიშვილისა.

გადაეცა წარმოებას 30. 12. 86. ხელმოწერილია დასაბეჭდად 9. 02. 87. უე 04340. ქაღალდის ზომა $70 \times 108^1/_8$. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 50 000. შეკვეთა 3114. ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.
Адрес редакции: 380008. Тбилиси 8. пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების 93-28-42. 99-01-39, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



ვერტმფრენი მწვერვალის თავზეა.

უშგული ძნელბილობის ჟამს.

ბრძოლა სტიქიასთან



მიუდგომელ ადგილებს — პროდუქტები, მედიკამენტები...

ევაკუაცია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინდექსი 76050